[illegible]

მეხუთე წელიწადი

კომუნისტი

საქართ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე, გარდა კვირა-უქმეებისა, 10—11 ს.
ტელეფონები: რედაქტორის 14—76
მდივნის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24; მეორე სართული, ტელეფონი № 10—49
ხელის მოწერის ფასი: მუშა-მოსამსახ. 90 კაპ., დანარჩენებისათვის—1 მ. და 20 კ. ხელისმომწერნი მიიღებენ ჟურნალ „დროშას“ და „მეცნიერება და ტეხნიკას“. განცხადებები: ნონპარელის სტრიქ.—40 კ., ტექსტში ორჯერ მეტი. სამგლოვიარო—10—15—20 მან. დოკუმენტების დაკარგვა—1 მ., განცხადებები მიიღება 3 ს-დე.
ექსპედიციის ტელეფ. 5—43, სტამბის ტელ. 13—80.

ხუთშაბათი, 31 დეკემბერი 1925 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 5 კაპ. № 300 (1455)

— ამერიკიდან მოსკოვში დაბრუნდა ელექტროფიკაციის საქმის შესწავლელი დელეგაცია.

— იაპონიაში გაემგზავრა საბჭოთა ინჟინრების ერთი ჯგუფი.

— ბერლინში დასრულდა ამიერ-კავკასიის საბჭოთა სტუდენტების ყრილობა.

— დაიხურა სამხრეთ-ოსეთის ცაკის მეორე სესია.

ისევ ემიგრაციის შესახებ

ჩვენს პრესაში ჩვენ არა ერთხელ შევეხებივართ ქართულ ემიგრაციას. და, მართლაც, რამდენიმე ხნის წინათ ქართული ემიგრაცია კიდევ წარმოადგენდა ერთგვარ პოლიტიკურ ინტერესს. ჩვენ იძულებული ვყავდით ზოგჯერ საკმაოდ მკაცრი პასუხი გაგვეცა ზოგიერთ გამოსვლებზე ჩვენი მოწინააღმდეგეებისათვის, რომლებიც, [illegible] იქით [illegible] სიურპრიზებით გვიმასპინძლდებოდნენ.

მარტო ის გარემოება, რომ ქართული ემიგრაციის წიაღში წარმოიშვა და მუშავდებოდა 1924 წ. აგვისტოს აჯანყების გეგმა, საკმაო იყო იმისათვის, რომ ჩვენ მტკიცეთ შევსდგომოდით ჩვენი რესპუბლიკის საზღვრების დაცვას პოლიტიკურ შარლატანების ამგვარი ავანტიურებისაგან.

მაგრამ გავიდა სულ ცოტა ხანი და ემიგრაციის საკითხი თავისთავად სწყდება. გადასწყვიტა ეს საკითხი მოვლენების ლოღიკამ, ცხოვრებისა და ფაქტების ლოღიკამ. ქართული ემიგრაციის მოღვაწეობა უკვე ისტორიის საგანი ხდება, დღევანდელმა სინამდვილემ კი მას უმკაცრესი, ყველაზე ულმობელი განაჩენი გამოუტანა: საბჭოთა საქართველო სწრაფად მიიწევს წინ ეკონომიური, კულტურული და სახელმწიფო მშენებლობის გზით და ეს ახალი, აღორძინებული ცხოვრება ნაცარტუტად აქცევს ყოველივე უსიცოცხლოს, ყოველივე ზედმეტს, გამოუსადეგარ ძველ ფორმებს და ძველ ცნებებს.

საქართველოს მუშათა კლასი, რომელიც სათავეში ჩაუდგა სახელმწიფო მშენებლობას, შეუჩერებლად მიდის წინ, გლეხობისა და მშრომელი ინტელიგენციის ფართე წრეები კი, რომლებმაც შეიგნეს უკანასკნელი წლების განმავლობაში მომხდარი ამბების აზრი და მნიშვნელობა, სავსებით უჭერენ მხარს მშრომელთა ხელისუფლებას. ხედავს რა ახალი წყობილების უპირატესობას, თვითეული პატიოსანი მოქალაქე უწყობს მას ხელს თავისი გამოცდილებით, ცოდნით და შრომით.

ასე შენდება ახალი საქართველო, ასე ანხორციელებს მუშათა კლასი საკუთარი, შრომის სახელმწიფოს იდეალს.

და საბრალოა იგი, ვინც რჩება ამ ახალი ცხოვრების გარეშე, ვინც თავის დროზე არ ჩაებმება მის ფერხულში. ამის გარეშე არის სიკვდილი, ფიზიკური და სულიერი. ამას ხედავს ყველა, განსაკუთრებით კარგად ხედავენ ამას ჩვენი მტრები, რომლებსაც ჩვენთან მრავალი წლების ბრძოლის დროს დამარცხებამ ბევრი რამ ასწავლა.

და სრულიად გასაგებია, რომ მოვლენათა ლოღიკა აიძულებს მათ მოახდინონ თავიანთ ძველ ცნებათა ლოზუნგების და შეხედულებათა გადაფასება. ეს ხდება და უნდა მოხდეს ჩვენის მხრივ ყოველგვარი „ძალდატანების“ გარეშე.

არავის, გარდა ჭეშმარიტ პროლეტარებისა და პატიოსან მუშაკებისა ჩვენ არ შევხვეწნივართ ჩვენთან მოდითო და არც შევეხვეწებით. ჩვენ ვშრომობთ, ვმუშაობთ და ოფლით ვაშენებთ ჩვენს მუშურ-გლეხურ სახელმწიფოს იმპერიალიზმისა და კაპიტალის გარეშე.

ჩვენ საშუალებას ვაძლევთ ყველას, ვისაც არ სურს ჩვენთან ერთად გაიზიაროს პასუხისმგებლობა ჩვენი შრომისა და ისტორიული ეპოქის სიძნელე, მოგვცილდეს ჩვენ. მტრებს ვეპყრობით ისე, როგორც ჩვენ გვეპყრობიან ჩვენი მტრები დასავლეთში და აღმოსავლეთში. მაგრამ ჭეშმარიტ მეგობრებს, რომლებიც, თუ გინდ დაგვიანებით, მაგრამ მაინც მოვიდნენ ჩვენთან, ჩვენ ხელს არ ვკრავთ არასოდეს და ყოველთვის ღირსეულად ვაფასებთ მათ.

სასაცილო იქნებოდა გვეფიქრა, რომ პროლეტარული რევოლუციის მერვე წლისთავს, როცა მუშათა კლასმა უკვე გაიარა ყველაზე ძნელი გზა ბრძოლისა, ძალაუფლებისა და ქვეყნის სამეურნეო მდგომარეობის განმტკიცებისათვის,—ჩვენ დავუწყებთ ძებნას მომხრეებს სწორეთ იმათ შორის, რომელთაც სძულთ ჩვენი წყობილებაც, ჩვენი ძალაუფლებაც და ჩვენი კლასობრივი ამოცანებიც. არა, ჩვენ არ ვეძებთ მეგობრებს ჩვენი მტრების ბანაკში. და ამ მხრივ ემიგრაციის საკითხი საბოლოოთ ამოწურულია და შეიძლებოდა მას სრულიადაც არ შევხებოდით, მაგრამ არის ისეთი გარემოებანი (იხ. გაზეთის მეორე გვერდზე პარიზიდან მიღებული ცნობები), რომლებიც გვაიძულებენ კვლავ ჩამოვაგდოთ სიტყვა ემიგრაციაზე, სიტყვა მტკიცე და კატეგორიული.

საქმე იმაშია, რომ ემიგრაციის ლიკვიდაციაზე ევროპაში მენშევიკები უპასუხებენ სრულიად დაუშვებელი და აღმაშფოთებელი საშუალებებით.

კუზიან რამიშვილს არ უნდა გონს მოვიდეს და ყველას, ვინც აღიარებს თავისი ნებსითი თუ უნებლიე შეცდომებს, ტერორითა და მუშტიკრივით ემუქრება.

ასეთი შემთხვევები არა ერთი და ორი ყოფილა მოყვანილი ჩვენს პრესაში და აქ აღარ შევუდგებით მათ ჩამოთვლას. მაგრამ ძველ „გმირულ“ საქმეებს მენშევიკები დაუღალავად უმატებენ ახალს და ახალს.

ჩვენს გაზეთებში მოთავსებული იყო ცნობა პარიზიდან იმის შესახებ, რომ საქართველოში მოემგზავრება ემიგრანტების ახალი ჯგუფი. ჩვენ გვაცნობებენ, რომ მათ მიმართაც შესაძლებელია თავისებური რეპრესიები რამიშვილის „ოსობოოტრიადჩიკების“ და საფრანგეთის საიდუმლო პოლიციის მხრივ.

მეორე მხრივ, ასეთია [illegible] ცნობილი დავით მხეიძე, აგვისტოს აჯანყების ხელმძღვანელი სამეგრელოში. ჩვენ უკვე გვქონდა გუშინწინ მოთავსებული ცნობა, რომ მოქალაქე დავით მხეიძე გამოცხადდა ჩვენს წარმომადგენლობაში, პარიზში, თხოვნით—გაეგზავნათ ის საქართველოში, სადაც მას სურს წარსდგეს რესპუბლიკის სასამართლოს წინაშე, როგორც ბრალდებული.

მოქალაქე მხეიძეს ვიცნობთ ჩვენ მაგრამ უფრო კარგათ იცნობენ მას ემიგრაციაში, სადაც მას თვლიან დიდ ეროვნულ გმირათ და „მთავარსარდლის“ როლის ღირსათ.

არ არის საინტერესო თუ რა დამსახურება მიუძღვის მას მარჯვენით და რა ცოდვები—მარცხნით. მაგრამ ჩვენთვის საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მოქალაქე მხეიძე, რომელიც აუჯანყდა საქართველოს მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას, დამარცხდა, მაგრამ მაინც სურდა ჩვენთან ბრძოლა ემიგრაციაში,—გამოცდილებით დარწმუნდა თავისი გზის შეცდომაში და თავისი ბელადების უპატიოსნებაში. მას ეყო გამბედაობა ეთქვა ეს, ეღიარებია თავისი შეცდომა და ნებაყოფლობით წამდგარიყო ასეთი განცხადებით ჩვენი წარმომადგენლის წინაშე ევროპაში. ამისათვის ის დევნას განიცდის ყოფილი მთავრობის მხრივ, რომელმაც პროვოკაციულად არა მარტო მხეიძე ჩაბა აგვისტოს ავანტიურაში.

ჩვენთვის საკმაოა მარტო ეს ფაქტი, რომ გულგრილად არ ვუცქიროთ იმას თუ რა მოელის მოქ. მხეიძეს და სხვებს, რომლებიც მის მსგავსათ დაადგენ საბჭოთა ხელისუფლებასთან საბოლოოთ შერიგების გზას.

საბჭოთა ხელისუფლება შურს არ იძიებს. ამაში დარწმუნდნენ არა მარტო ისინი, რომლებიც აქ, ადგილობრივ, მოვიდნენ ჩვენთან პატიოსანი თანამშრომლობის მიზნით, არამედ ის ქართველი ემიგრანტებიც, რომლებიც უცხოეთიდან დაბრუნდნენ საქართველოში.

მაგრამ იცოდენ ბატონმა რამიშვილ-ჩხენკელებმა, რომ ჩვენ მივაღწიეთ მოთმინების საზღვარს და თუ ბატონი ჩხენკელი არ შესწყვეტს პარიზში თავის სისაძაგლეს (რომელიც უკანასკნელად „ელჩი“-ს სრული მარცხით დამთავრდა), ჩვენ იძულებული შევიქნებით სისრულეში მოვიყვანოთ ის სიტყვები, რომლებიც საკმაო გარკვევით ვთქვით ჩვენი გაზეთის 28 აგვისტოს ნომერში.

„ჩვენ ვამბობთ—ვწერდით მაშინ, საქართველოს ხელისუფლების საკითხი გადაჭრილია. ბოლშევიზმმა ჩაიბარა აქ პოლიტიკური, სამეურნეო და სამხედრო გამოცდები. მისი პოზიციები უფრო მტკიცეა, ვიდრე ოდესმე. სწარმოებს დიდი აღმშენებლობითი მუშაობა. გულმოდგინედ დარაზმული შრომით ჩვენ თავი დავახწიეთ სიღარიბეს და ნგრევას. ჩვენ ვიზრდებით ყველა მიმართულებით. უდიდეს დანაშაულს ქართველი ხალხის წინაშე სჩადიან ისინი, ვინც სცდილობს ამ დიდი მშვიდობიანი მუშაობის ჩაშლას, ვინც კვლავ ოცნებობს, რომ აღმართოს ქვეყანაში პოლიტიკური ომის დროშა. როგორც ცოფიან ძაღლებს, ისე უნდა მოვეპყრათ ამ დამნაშავეთ. რკინის ხელებით უნდა აღვკვეთოთ ყოველი ცდა, მიმართული ძველი მენშევიკურ-პარტიტეტული სისხლის მღვრელი თამაშის განმეორებისაკენ.

ხელი, რომელიც დააპირებს იარაღის აღებას, მშვიდობიანობის და წესრიგის დარღვევას,—მოკვეთილი იქნება დაუყოვნებლივ“.

ბატონი ჩხენკელი და რამიშვილი გვაიძულებენ ჩვენ შევასრულოთ ეს დაპირება და ჩვენ ამას არ დავაყოვნებთ.

ამ ხელს ჩვენ მოვკვეთთ.

ჩვენს მეგობრებს კი, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი, ჩვენ დავიცავთ.

მეთოთხმეტე პარტიული ყრილობა

პროფკავშირების მუშაობის შესახებ

ამხ. ტომსკის მოხსენება

მოსკოვი, 30 დეკ. პარტყრილობის 29 დეკემბრის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა ტომსკის მოხსენება პროფკავშირების მუშაობის შესახებ.

— პროფკავშირების ამოცანები,—ამბობს ტომსკი,—ახალი ეკონომიური პოლიტიკის პერიოდში სავსებით განსაზღვრა ლენინმა თავის თეზისებში ჯერ კიდევ პარტიის მე-9 ყრილობაზე. რეზოლიუციის მთავარი თეზისი ამ საკითხის შესახებ ლაპარაკობს, რომ ისეთ პირობებში, როცა წარმოებები [illegible] ანგარიშის საფუძველზე, უწყებრივ ერთგულების და ბიუროკრატიულ გადამახინჯებათა შემთხვევების შესაძლებლობის დროს, პროფკავშირების უპირველეს ამოცანას წარმოადგენს მუშების ინტერესების დაცვა. მაგრამ განა შეგვიძლია ჩვენ ვსთქვათ, რომ ეს ამოცანა სავსებით და ნამდვილად ტარდება ცხოვრებაში? სამწუხაროდ, არა. ამას მოწმობენ ის სამწუხარო მოვლენები, რომელთაც ადგილი ჰქონდა წელს, როცა მუშები ზოგიერთ წარმოებებში, სამეურნეო დარგის მუშაკების და პროფკავშირთა წარმომადგენლების შემცდარი პოლიტიკის წყალობით, იძულებული იყვნენ მიემართათ გაფიცვისათვის. ეს გარემოებანი გვეუბნებიან იმას, რომ ჩვენმა ყრილობამ ერთხელ და სამუდამოდ მთელი თავისი სიმტკიცით ხაზი უნდა გაუსვას პროფკავშირების იმ გზის მტკიცედ გატარების აუცილებლობას, რომელიც დასახა მე-9 ყრილობამ.

ჩვენ ამჟამად ვხედავთ ჩვენი პროფკავშირების საგრძნობ რაცხობრივ ზრდას. 1923-დან 1925 წლამდე ზრდა მერყეობს 80 პროცენტიდან ტრანსპორტზე 400 პროცენტამდე [illegible]რის. გაიზარდა აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო მუშების რაოდენობა 300 პროცენტით, სამრეწველო პროლეტარიატი გაიზარდა 30 პროცენტით. დიდძალი მუშები მოდიან უმთავრესად სოფლიდან. ეს თითქმის სულ ახალგაზრდები არიან რომელთაც არ აქვთ საფაბრიკო-საქარხნო სტაჟი, რომლებიც არ გამოზრდილან რევოლიუციონურად სამოქალაქო ომის—ამ კადრისათვის უცხოა ბრძოლის სიმწარე და გამარჯვების სიხარული. ამ ახალგაზრდობას არ სჩვევია უყუროს ფაბრიკას, როგორც თავისას, ის ძალიან ნაკლებ ან სრულებით არ არის დაინტერესებული შრომის ნაყოფიერებით. სოფლიდან ამ ახალ კადრების მოზღვავება არის ის ახალი, რომელიც მოითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას პარტიისა და პროფკავშირების მხრივ სწორი გზის გატარების დროს. (გამოტოვებულია).

დასასრულ ტომსკი ჩერდება საკავშირო ცენტრალურ პროფსაბჭოს საერთაშორისო მუშაობაზე.

— საერთაშორისო პროფმოძრაობის მთლიანობის ლოზუნგი—ლაპარაკობს [illegible] ფართოთ გამოხმაურებას მთელი მსოფლიოს მუშებს შორის, მაგრამ პროფკავშირების ძველ ბიუროკრატიას ჯერ კიდევ მაგრად უჭირავს თავის ხელში გამგეობის სადავე.

პროფგაერთიანების ინგლის-საბჭოთა კომიტეტის შექმნა დიდ ისტორიულ როლს ითამაშებს. პერსელმა ამერიკის შრომის ფედერაციის კონგრესზე, როცა იცავდა პროფკავშირების მთლიანობას, სავსებით მკაფიოდ გამოხატა ის აზრი, რომელიც აღელვებს მთელს საერთაშორისო პროლეტარიატს. მან სთქვა: „ევროპის და ამერიკის მუშების წინაშე დასმულია საკითხი—ან ისინი ასწევენ ნახევრად კოლონიალურ ქვეყნების—ჩინეთის, ინდოეთის და სხვ. მუშების კულტურულ დონეს, ან თვითვე ჩამოქვეითდებიან ჩინეთის და ინდოეთის მუშების კულტურულ დონემდე“. საერთაშორისო ბურჟუაზიის გადმოსვლა ეკონომიური შემოტევიდან პოლიტიკურ შემოტევაზე ყველა ქვეყნის მუშებს ჰგვრის თავისი არსებობის შიშს. აქ იწყება სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. ამ პირობებში ჩვენს მიერ წამოსროლილი ლოზუნგი—[illegible] ომის წინააღმდეგ, ბრძოლა კაპიტალიზმის [illegible]აღმდეგ, ჩვენსკენ იზიდავს ამჟამად მილიონობით მუშებს. ჩვენ იმედი გვაქვს მალე მივაღწევთ მთლიანობას ყველა ქვეყნის პროფკავშირებთან. ჩვენ უკვე გავაბით ძლიერი კავშირი. ჩვენი უახლოესი ამოცანაა გავაბათ ასეთივე კავშირი აღმოსავლეთის, პირველყოვლისა, იაპონიის პროფკავშირებთან.

თავისი სიტყვის დასასრულს ტომსკი ამბობს; „მთელი პარტიის დახმარებით საბჭოთა კავშირის ყველა მუშების თანაგრძნობით ჩვენ ამ გზას, ისე როგორც მთელს პროფმოძრაობას, მივიყვანოთ სასურველ ბოლომდე“. (მქუხარე ტაში).

ლენინგრადის ფაბრიკა-ქარხნების დელეგაცია

ტომსკის მოხსენების შემდეგ ყრილობის თავმჯდომარე რიკოვი აცხადებს, რომ ყრილობაზე ლენინგრადიდან ჩამოვიდა სხვადასხვა ფაბრიკა-ქარხნების დელეგაციები. რიკოვი წინადადებას იძლევა მოსმენილ იქნეს ხსენებული დელეგაციების მისალმებანი. ყრილობა ამ ცნობას და დელეგაციების გამოჩენას მხურვალე ოვაციებით ეგებება.

პირველად სიტყვა ეძლევა ვიბორგის რაიონის ლითონის ქარხნის წარმომადგენელს შნეეფელდს.

შნეეფელდი ლითონის ქარხნის მუშების—ათას კომუნარის სახელით მხურვალე სალამს უძღვნის მეთოთხმეტე ყრილობას და სასტიკ პროტესტს აცხადებს ყრილობაზე ლენინგრადის დელეგაციის მოქმედების და აგრეთვე „ლენინგრადსკაია პრავდას“ პოზიციის გამო.

შემდეგ გამოვიდნენ კუპრინი ქარხანა „კრასნაია ზარია“-სგან, რუსოვი ქარხანა „კრასნი არსენალი“-სგან, ლიტოვკინი—ფაბრიკა „რაბოტნიცა“-საგან, ანდრეევი—ქარხანა „პრომეთეი“-საგან, ჩერკასოვი—პეტროგრადის რაიონის სახელით და ქარხანა „ზნამია ტრუდა“-საგან, რიუგინი—ვოლოდარსკის რაიონიდან და ვოლოდარსკის სახელობის ფაბრიკისაგან და ბოგდანოვი—ქარხანა „რუსკი დიზელი“-საგან.

ყველა მისალმებებში, რომლებიც მოსმენილ იქნა ლენინგრადის ფაბრიკა-ქარხნების სხვადასხვა კოლექტივებისაგან აღნიშნულ იყო ლენინგრადის დელეგაციის ყოვლად დაუშვებელი მოქმედება პარტყრილობაზე და გაკიცხულ იქნა „ლენინგრადსკაია პრავდა“-ს პოზიცია. ლენინგრადის სხვადასხვა რაიონების ფაბრიკა-ქარხნების კოლექტივების წარმომადგენლები აღნიშნავდენ, რომ ლენინგრადის ორგანიზაციამ დელეგაციას დაავალა ხმა მიეცა ცეკას ხაზისათვის, მაგრამ დელეგაციამ არ შეასრულა ლენინგრადის ორგანიზაციის სურვილი. გამოსული ამხანაგები სთხოვდნენ ყრილობას მიიღოს სასტიკი ზომები პარტიის მთლიანობის დამრღვევთა წინააღმდეგ და მოუწოდოს წესრიგისაკენ ლენინგრადის ორგანიზაციის ცალკე ხელმძღვანელებს, რომლებიც აწარმოებენ ფრაქციონულ ბრძოლას ყრილობის დადგენილებათა წინააღმდეგ. თავის მხრივ ლენინგრადის კოლექტივების წარმომადგენლებმა აღუთქვეს ცეკას სრული დახმარება და მხარის დაჭერა ამ მუშაობაში.

ამხ. კალინინის საპასუხო სიტყვა

მოსმენილ მისალმებებზე პასუხი გასცა კალინინმა.

მე დავალებული მაქვს—ამბობს კალინინი—უძნელესი ამოცანა პასუხი გავცე მისალმებებზე ლენინგრადის მუშების დელეგაციას. ეს ამოცანა ძნელია, რადგან ამ მისალმებებში მუშური პათოსი, მუშური გრძნობა გადახლართულია იუმორთან. ერთის მხრივ ლენინგრადის მუშების სიტყვებმა საზეიმო ხასიათზე დამაყენა მე და ამასთანავე ერთად ჩემს გონებას ხრავს აზრი, რომელიც დაიბადა პრეზიდიუმში: სადღა არის ზინოვიევის 100 პროცენტი? როცა მოვხსენით ზალუცკი ზინოვიევმა გულწრფელად და ღრმა რწმენით წარმოსთქვა: „იმას ხომ კომუნისტების 100 პროც. უჭერს მხარს“. ჩვენ ვამბობთ: „თქვენ სცდებით—იქ არა ჰყავს 100 პროც. არამც თუ ზალუცკის, არამედ არც თქვენ ამას. ზინოვიევო, და არც შეიძლება გყავდეთ“.

დღევანდელი ამბავი აშკარად გვიჩვენებს, რომ ლენინგრადის ორგანიზაციის ბელადები ვერ იცნობენ თავის ორგანიზაციას. ლენინგრადის ქარხნების კომუნისტური უჯრედების და ვიბორგის მთელი რაიონის წარმომადგენელთა დელეგაციების ჩამოსვლა არ არის გრძნობების აფეთქება, არამედ მას აქვს ღრმა პოლიტიკური აზრი.

მე ვფიქრობ, რომ ყრილობას დიდის კმაყოფილებით შეუძლია აღნიშნოს, რომ მის დადგენილებებს მხარს უჭერს ჩვენი პროლეტარიატის საუკეთესო ნაწილი. მე მგონია, რომ ვიბორგის რაიონის და სხვა ფაბრიკა-ქარხნების მუშების ჩამოსვლა გვეუბნება ჩვენ, თუ რამდენად მოსტყუვდით თქვენ, ლენინგრადელო ამხანაგებო, პროლეტარული ძალების არა საკმაოდ შეფასებაში სოციალისტური აღმშენებლობის დროს. ოპორტიუნისტული აზრები იმალება არა მარტო მარჯვენა ლოზუნგებში, ოპორტიუნისტული აზრები, რომლებიც [illegible] ლოზუნგებში არ არის იმდენად საშიში. მაგრამ ოპორტიუნისტული აზრები, რომლებიც ეფარება უკიდურეს მემარცხენე ლოზუნგებს დიდათ საშიშია, რადგან მოქმედებს ზოგიერთების გრძნობაზე.

სწორედ აი აქ ვიბორგის პროლეტარიატმა მუშური ინსტინქტით ალღო აუღო იმას, რომ მეთოთხმეტე ყრილობამ არსებულ კონკრეტულ მდგომარეობაში ამჟამად აირჩია ყველაზე უფრო სწორი რევოლიუციონური ტაქტიკა. ყველაფერი, რაც უპირდაპირდება მას, რა კეთილი მიზნებითაც არ უნდა ხდებოდეს ის, ყველაფერი რაც მის წინააღმდეგია თავის შინაარსით არის ოპორტიუნისტული, და მუშათა კლასისადმი უნდობლობის გამომწვევი.

ვიბორგის რაიონის მუშების ავანგარდი, რომელიც ყოველგან და ყოველთვის ემხრობოდა ყველაზე უფრო სწორ და ნამდვილ რევოლიუციონურ ტაქტიკას—დღეს ჩვენთან არის, და თუ ის ჩვენთან არის ეს იმას ნიშნავს, რომ მეთოთხმეტე ყრილობის ტაქტიკა არის სწორი, ერთად ერთი სწორი რევოლიუციონური ტაქტიკა ამ მომენტისათვის. (ტაში).

ამხ. კლარა ცეტკინის გამოსვლა

კალინინის სიტყვის შემდეგ ყრილობისადმი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა კლარა ცეტკინმა.

„მე თქვენ გადმოგცემთ,—ამბობს ცეტკინი,—გერმანიის ყველა კომუნისტების მხურვალე სალამს. არა მარტო კომუნისტების, არამედ გერმანიის ყველა დიდ და პატარა ქალაქების—ხემნიცის, ბერლინის და სხვ. მუშების და მუშა-ქალების სახელით. ყველგან დიდ კრებებზე მოხუცი ქალები და კაცები, ენერგიით და სიცოცხლით აღსავსე ახალგაზრდები და ბავშვები მეუბნებოდნენ მე: „როდესაც შენ დაბრუნდები იქ, მოსკოვში, გადაეცი მათ, რომ ჩვენ შევიყვარეთ ისინი, ჩვენ თვალყურს ვადევნებთ საბჭოთა რესპუბლიკის აღმშენებლობას, რომ ჩვენ ვიცნობთ და ვსწავლობთ მათი გზით სიარულს. ის იზოლიაცია, ის ყალბი ხმები, რომლითაც გარშემორტყმული იყო რუსეთის კომუნისტური პარტია, გაქარწყლებულია. ტომსკის ბრძნული პოლიტიკა, პროფკავშირთა მთლიანობის გატარება, ინგლის-საბჭოთა პროფორგანიზაციების კავშირის მოახლოვება, დიდძალი მუშათა დელეგაციები, რომლებიც მოდიან აქ—ყველაფერი ეს ხელს უწყობს იმას, რათა ბოლო მოეღოს ყალბ ხმებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის შესახებ. არა მარტო მუშათა კლასი, არამედ ბურჟუაზიაც პატივისცემით იმსჭვალება საბჭოთა რესპუბლიკისადმი. არა სიყვარულით, არამედ სიძულვილით და შიშით თვალყურს ადევნებს მსოფლიო ბურჟუაზია თქვენი ძლიერების ზრდას, მაგრამ იგი ამჟამად პატივისცემით უთვალთვალებს თქვენი მეურნეობის აღორძინებას.

„ჩვენ თვალყურს ვადევნებთ, განაგრძობს ცეტკინი—თქვენს ყრილობას და დაწყებულ დისკუსიას. უდიდესი მღელვარებით და ინტერესით ვადევნებთ თვალყურს, ვინაიდან ყრილობის გარშემო დაიწყო განხეთქილების თამაში. ჩვენ თვალყურს ვადევნებთ დისკუსიას, არა მარტო იმიტომ რომ რ.კ.პ. ბედი არის ჩვენი ბედი, არა იმიტომ, რომ საბჭოთა კავშირის ბედი არის ჩვენი ბედი, არამედ იმიტომ, რომ დასავლეთის კომუნისტური პარტიები ძალიან ახალგაზრდა არიან, მათ არ აქვთ გამოცდილება, თქვენ კი წარმოადგენთ მაგალითს; თქვენი გამოცდილებით სწავლობენ კომინტერნის ახალგაზრდა პარტიები თავიანთ რკინის რიგების შეკავშირებას. მცირეოდენი განხეთქილების აჩრდილი წარმოადგენს უდიდეს საფრთხეს, პირველ რიგში გერმანიის კომუნისტური პარტიისათვის. თქვენ იცით, რომ გერმანიის კომპარტიამ არასწორი პოლიტიკის წყალობით განიცადა არა მარტო შინაპარტიული დისკუსიის მძიმე პერიოდი—პარტიამ დაჰკარგა გავლენა მუშათა მასებზე. ეხლა კომინტერნის აღმასკომის ცნობილი ღია წერილის გამოქვეყნების შემდეგ დაიწყო გაჯანსაღების პროცესი, მძიმე, ძნელი და ნელი პროცესი. აი ასეთი პროცესის დროს, თუ იქ მივიდა ხმები განხეთქილების თამაშის შესახებ, ეს ძალიან გაართულებს ჩვენს მუშაობას. ის ელემენტები, რომლებიც აწარმოებენ ორმაგ ბუღალტერიას, შეიძენენ კაპიტალს ასეთი ხმების წყალობით. ჩვენი მდგომარეობა უფრო გართულდება. თქვენ კი უნდა გახსოვდეთ, რომ გერმანიაში იწყება ამჟამად მძიმე პოლიტიკური და სამეურნეო კრიზისი, რომ ჩვენმა პარტიამ ჯერ კიდევ ამ ზამთარში უნდა გაუწიოს ხელმძღვანელობა მასებს. აი ამიტომ ვადევნებთ თვალყურს ასეთი მღელვარებით აქ დაწყებულ დისკუსიას.

მაგრამ ამ მღელვარების დროს მე და ჩემ ამხანაგებს არ გვეპარება მცირეოდენი ეჭვიც კი იმაში, რომ რ.კ.პ. რკინის მთლიანობა არ იქნება დარღვეული. ჩვენ ვიცით, რომ პარტიის მთლიანობა დაცული იქნება და ამ რწმენაში მე მხარი დამიჭირეს ლენინგრადის მუშებმა, რომლებიც დღეს აქ, ამ ტრიბუნიდან ლაპარაკობდენ მთლიანობაზე. მე დავინახე საბჭოთა კავშირის ძველი მუშები, დავინახე და ვხედავ ბრძოლებში გამობრძმედილ ძველ პარტიას, რომელიც შექმნა ლენინმა და რომელიც მიდის ლენინის გზით. ვინც მოისურვებს დიდ გემიდან, რომელსაც რ.კ.პ. ეწოდება, გადაჯდეს პატარა მერყევ ნავში, ის ვერაფერს ვერ გახდება. მე დარწმუნებული ვარ, რომ არ მოიძებნება პარტიის არც ერთი წევრი, არც ერთი ორგანიზაცია, რომელიც ამ გემიდან გაიქცევა. ამ გემით, ლენინის გამოცდილი გზით, მწყობრი რიგებით, შეურყეველი რკინის დისციპლინით გასწევს წინ მტკიცე რაზმი, რომელსაც გამარჯვებისაკენ მიჰყავს მთელი მსოფლიოს პროლეტარიატი“.

კენჭის ყრის შედეგები

თავმჯდომარე აცხადებს სახელობითი კენჭის ყრის შედეგებს ამხ. ზინოვიევის მოხსენების გამო: „კომინტერნის აღმასკომში რ.კ.პ. დელეგაციის ანგარიში“: რეზოლიუციას ხმა მისცა 424 კაცმა, თავი შეიკავა—101-მა.

მუშების მისალმებები

მოსკოვი, 30 დეკ. 29 დეკემბრის საღამოს სხდომაზე ყრილობამ მოისმინა მისალმებები მოსკოვის მთელ რიგ ფაბრიკა-ქარხნებისაგან, აგრეთვე ვოლგის რაიონის ცემენტის ქარხნების და დონის ოლქის ქვანახშირის მაღაროების მუშებისაგან.

სტალინგრადის სამთომადნო მუშებმა გადასცეს ყრილობას საჩუქრად თავისი საწარმოო იარაღები—ლამპა და წერაქვი. ცემენტის ქარხნის მუშებმა გადასცეს ყრილობას დროშები.

ყრილობას მიესალმა აგრეთვე ბასკუნჩაკის მარილის სამრეწველოების წარმომადგენელი.

მისალმებებს ყრილობა ხვდებოდა მქუხარე ტაშისცემით. დელეგაციებს ყრილობის სახელით საპასუხო მისალმებებით მიმართავდა პეტროვსკი.

კამათი ამხ. ტომსკის მოხსენების გამო

მისალმებების შემდეგ დაიწყო კამათი ტომსკის მოხსენების გამო.

საკამათოდ გამოვიდნენ ლოზოვსკი, რიაზანოვი, გლებოვ-ავილოვი, მელნიჩანსკი და ანდრეევი.

ამხ. ტომსკის თეზისები მიღებულია საფუძვლად

კამათის დამთავრების და ტომსკის საბოლოო სიტყვის შემდეგ ყრილობა ერთხმად ღებულობს საფუძვლად ტომსკის იმ თეზისებს, რომლებიც უკვე გამოქვეყნებული და დამტკიცებული იყო პოლიტბიუროს მიერ. თეზისები გადაეცემა კომისიას საბოლოოდ დასამუშავებლად.

ეკონომიურ ბანდიტიზმის წინააღმდეგ

(პრაქტიკული წინადადება)

საბჭოთა რესპუბლიკებში ეკონომიური მდგომარეობა დღითი-დღე უმჯობესდება. იზრდება ხელფასიც. მაგრამ, მიუხედავათ ამ გარემოებისა, ეკონომიური დანაშაულებანი—გაფლანგვა, მითვისება—მაინც ხშირია. აღსანიშნავია ერთი გარემოება—მფლანგველთა უმეტესობა მაღალი და საშუალო ჯამაგირების მიმღებლებს ეკუთვნის (გამგეები, ხაზინადრები, ინსტრუქტორები და სხ.).

ვინ არიან ეს მფლანგველები.

უბრალო გადათვალიერება საქმეებისა სასამართლოებში გვიჩვენებს, რომ მფლანგველთა დიდი უმრავლესობა—90 პროც.—ძველი, ყოფილი „ჩინოვნიკები“, თავად-აზნაურობა ინტელიგენცია არის, ხოლო დაახლოვებით 10 პროცენტამდე მუშებისა და გლეხების წრეებიდან გამოსული. ერთი სიტყვით, დამნაშავეთა უმრავლესობა ისინი არიან, რომლებიც ამ ხელობაზე ძველი მთავრობების ხელში იწვრთნებოდნენ.

მეფის დროს გაფლანგვა, მექრთამეობა აუცილებელი ხელობა იყო მოხელეებისათვის. მენშევიკების დროს ამ „ხელობამ“ თითქმის ლეგალური ხასიათი მიიღო. ჟურნალ „ეშმაკის მათრახის“ ერთ-ერთი ნომერი 1919 წლისა ითხოვდა მთავრობისაგან, რათა მექრთამეთა, მფლანგველთა და ყალბ მოწმობებით მოვაჭრე-მოხელეთა პროფკავშირები დაეკანონებინა. ამას, რასაკვირველია, ოხუნჯობის ხასიათი ჰქონდა, მაგრამ მაშინდელ მწარე სინამდვილეს გამოხატავდა.

აი ასეთი მოხელეები დარჩა უმრავლესათ მემკვიდრეობით საბჭოთა ხელისუფლებას.

როგორ ვებრძვით ჩვენ ზემოაღნიშნულ ბოროტებას.

სამხედრო კომუნიზმის დროს გაფლანგვა-მექრთამეობა ისჯებოდა უმაღლესი სასჯელით. დღეს ასეთი ბოროტება ისჯება გამასწორებელ სახლში სხვადასხვა ვადით მოთავსებით. მე არ შევეხები სასჯელის ხარისხს, ამის შესახებ უკანასკნელ დროს ბევრი დაიწერა; აქ მე მსურს აღვნიშნო მაგალითი იმისა, თუ რას წარმოადგენს სასჯელის მოხდა დღეს ჩვენ გამასწორებელ სახლებში.

ვინმე ნ-მა მიითვისა 3,000 მან. ხაზინის ფული. სასამართლომ მიუსაჯა 3 წელი. ამნისტიის ძალით შემცირებულ იქნა ეს ვადა წელიწად ნახევრამდე. გამასწორებელ სახლში კარგი ქცევისათვის (არავის აწუხებს) გადარიცხეს გამასწორებულთა რიგში. ეძლევა შვებულება შაბათობით ორშაბათამდე თავის ოჯახში. აღნიშნულ დროისთვის მის სახლში (ცხოვრობს რუსთაველის პროსპექტზე) თავს იყრის მრავალი მოქეიფე სტუმრები. სტუმრებში უმრავლესობა საბჭოთა დაწესებულებების სპეცი—ეკონომისტებია. ეს უკანასკნელნი ნ—ს უკვე ახალ გამოსარჩენ ადგილს უმზადებენ თავიანთ დაწესებულებებში. თანაც ჰპირდებიან სათანადო შუამდგომლობას, რათა ნ—ი განთავისუფლებულ იქნეს ვადის შესრულებამდე, როგორც გამოსწორებული პირი.

ასე, ამ რიგად, ნ—ი იხდის „სასჯელს“—კვირაში სამი დღე ქეიფობს ოჯახში მხიარულ სტუმრებში, ორშაბათიდან შაბათამდის ისვენებს ციხეში თბილ ტახტზე (და არავის აწუხებს, რადგანაც „გამოსწორებული“ კაცია) ახალ ნადავლის მოლოდინში.

რა თქმა უნდა გამასწორებელი სახლის ასეთი რეჟიმი მსუნაგ „ჩინოვნიკს“ ვერ გაასწორებს. თავისთავად ცხადია, რომ საქმე სასჯელის მარტო რაოდენობაში არ არის და ყურადღება უნდა მიექცეს მისი მოხდის ხარისხსაც. მფლანგავ-მექრთამეებისათვის ციხეში განსაკუთრებული რეჟიმი უნდა არსებობდეს. სასურველია მათთვის არსებობდეს იძულებითი სამუშაო, რომლის საშუალებითაც გაფლანგულის ანაზღაურება ხდებოდეს. დღეს კი ჩვენი ციხეები ნამდვილ დასასვენებელ სახლებს წარმოადგენენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ იქ აგზავნებიან შრომით მოქანცულები კი არა, არამედ ლოთობითა და გარყვნილობით დაღლილები.

ტ.

უცხოეთის პრესა

ლაყბობა მეგობრობაზე და ჯაშუშობა „მეგობრებს“ შორის

ეს ერთი ერთმანეთს როდი ეწინააღმდეგება. პირიქით, როგორც ბურჟუაზიული სახელმწიფოების „პრაქტიკა“ გვიჩვენებს, ერთი (ლაყბობა მეგობრობის შესახებ) დამატებაა და აუცილებელი დამატებაც მეორესი (ე. ი. ჯაშუშობისა „მეგობრებს“ შორის).

თვით განსაჯეთ:

„მოხდა“ „ლოკარნო“. სახელმწიფოებმა ერთმანეთს ვითომ მეგობრობა შეჰფიცეს: ერთმანეთს ნუ შევესევითო, მშვიდობიანობა ჩამოვაგდოთო. დღეს ლაპარაკობენ „განიარაღებაზეც“. ამ მიზნით სპეციალური კონფერენციის მოწვევაცაა განზრახული. და სწორედ იმ დროს, როდესაც მშვიდობიანობაზე და ურთიერთ მეგობრობაზე ყვირილით ყველას ყურები გამოუჭედეს, ჩუმათ ერთმანეთს საიდუმლო ჯაშუშურ ორგანიზაციებს უწყობენ. ეს გამოაშკარავდა უცაბედათ ამ დღეებში საფრანგეთში. აქ აღმოაჩინეს (რამდენია კიდევ აღმოუჩენელი—ვინ იცის!) და დააპატიმრეს ინგლისელების ჯაშუშური ორგანიზაცია, რომლის მიზანი იყო საფრანგეთის საჰაერო სამხედრო ფლოტის საიდუმლოების გაგება და ინგლისისათვის გადაცემა. დაჭერილია სამი ინგლისელი. ამ ფაქტმა დიდი აურზაური გამოიწვია საფრანგეთის პრესაში და ფართო გამოხმაურება ინგლისშიაც. საქმეში ჩარეულია ინგლისის თვით სამხედრო სამინისტროც, რომელიც აცხადებს: ამ ჯაშუშების შესახებ ჩვენ არაფერი ვიცით. მაგრამ, რომელი სულელი გასცემს თავის ჯაშუშებს

რადიკალ-სოციალისტების ხელმძღვანელი გაზეთ „კოტიდიენ“-ში საფრანგეთის რევოლიუციის ცნობილი ისტორიკოსი ოლარი ეხება ამ ჯაშუშობას და სწერს შემდეგს:

„სამწუხაროა, ფრიად სამწუხაროა ეს ისტორია... კიდევ უფრო სამწუხაროა ის, რომ უცხო სახელმწიფო, რომლის სასარგებლოდ მუშაობდენ ჯაშუშები, არის ჩვენი მოკავშირე და მეგობარი, ამხანაგი ომის დროს, ამხანაგი მშვიდობიანობის დროსაც. მაგრამ ის, რაც ყველაზე უფრო სამწუხაროა და სავალალო—ეს ის, რომ თქვენ გრძნობთ, თქვენ რწმუნდებით იმაში, რომ ურთიერთ შორის ჯაშუშობის სისტემა, რომელსაც ადგილი ჰქონდა ომამდი, ეს სისტემა გრძელდება ომის შემდეგაც, ერთა ლიგის რეჟიმის დროსაც. ჩვენ ვართ მეგობრები, მაგრამ გამოდის ისე, რომ მე შენ მოგზავნი ჯაშუშებს, შენ მე გიგზავნი ასეთ, სხვა ჯაშუშებს... ლოკარნოს შემდეგ ურთი-ერთ შორის ჯაშუშობა! ვაი სირცხვილო“!..

ჩვენ მკითხველებს შეუძლიათ არ დაეთანხმონ პატივცემულ პროფესორს, როდესაც ის—„კოტიდიენ“-ის კათედრიდან სახარებას უკითხავს მგლებს „სირცხვილის“ შესახებ. რა „სირცხვილი“, სადაური „სირცხვილი“, როდესაც ერთმანეთს ორმოს უთხრიან დიდი ყაჩაღები და დანას ლესავენ. მაგრამ ოლარის გამოსვლა მაჩვენებელია, რომ მისი ყაიდის მოღვაწეებიც ხედავენ თანდათან „где раки зимуют“.

დაინახავენ თუ არა ისინი დაბოლოს იმასაც, რომ ერთა ლიგა, რომელზეც ოლარები იმედებს ამყარებენ, გულისხმობს სწორედ ერთა შორის ალიანსის, ომს, ჯაშუშობას და სხვა მსგავს ლამაზ ატრიბუტებს „შეიარაღებული მშვიდობიანობისას“ და საერთოდ ბურჟუაზიული რეჟიმისას...

ყრილობის მიმართვის გამო ლენინგრ. ორგანიზაციისადმი

მოსკოვი, 29 დეკემბერი. პარტყრილობის 28 დეკემბრის სხდომაზე ზინოვიევი გამოვიდა სიტყვით, რომელშიაც იცავდა იმ აზრს, რომ ყრილობას არ გაეგზავნა მიმართვა რ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის ორგანიზაციის წევრების მიმართ. მას პასუხი გასცა რიკოვმა, რომელსაც ყრილობა შეხვდა მქუხარე ტაშისცემით. ქვემოდ მოგვყავს მათი სიტყვები.

ამხ. ზინოვიევის სიტყვა

— ლენინგრადის დელეგაციის დავალებით მე უნდა განვაცხადო, რომ იმის მტკიცება, თითქოს ლენინგრადის ორგანიზაციის წარმომადგენლობს ყრილობისათვის რაიმე ულტიმატუმი, არ შეეფერება სინამდვილეს. კამენევის წინადადებაში ნათქვამია: გთხოვთ ის შესწორებები, რომლებიც ჩვენ შემოგვაქვს, გადასცეთ კომისიას განსახილველად. ეს შესწორებები შეგიძლიათ ან მიიღოთ ან უარყოთ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ არავითარ ულტიმატუმს ეს შესწორებები არ შეიცავდა.

ყრილობის დელეგაციებიდან არავის არ შეუძლია იმ ფაქტის უარყოფა, რომ რეზოლიუცია, რომელსაც ასე დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ პირობებში, ეცნობა ლენინგრადის დელეგაციას 2 საათით წინ კენჭის ყრამდე. არავის არ შეუძლია უარყოს ის ფაქტი, რომ ამ რეზოლიუციის შემუშავება მოხდა ლენინგრადის ორგანიზაციის მონაწილეობის გარეშე. ეს არის ფაქტი, გაუგონარი ჩვენი პარტიის ისტორიაში. არავის არ შეუძლია იმის უარყოფა, რომ თხოვნის [illegible] ვერ უარყოფს იმას, რომ კენჭის ყრა, რეზოლიუციის მიღება არა საფუძვლად, არამედ მაშინათვე მთლიანად, არის ფაქტი, უჩვეულო ჩვენი ყრილობის ისტორიაში. აი ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ უმრავლესობამ ანუ უმრავლესობის ხელმძღვანელმა ნაწილმა ყოველგვარი ზომები მიიღო იმისათვის, რომ ხელი შეეშალა ისეთი ერთსულოვნობის მიღწევისათვის, რომელიც უნდოდა ლენინგრადის დელეგაციას. და ეხლა იმის თქმა, თითქოს ლენინგრადის დელეგაცია აყენებდა ულტიმატუმს, არა თუ სიმართლეს მოკლებულია, არამედ ეს არის დაცინვა. იყო ცდა დაეყენებინათ ლენინგრადის დელეგაცია ასეთი ფაქტის წინაშე—ან ხმა მიეცა რეზოლიუციისათვის მთლიანად, მისი შინაარსის გაუცნობლად, ან უარეყო ის მთლიანად.

რაც შეეხება ცნობას ვიბორგის რაიონის შესახებ—ესეც სავსებით ტენდენციურია. ლენინგრადის ორგანიზაციას, რომელსაც ჰყავდა თავისი ხელმძღვანელები თვით ყრილობაზე, ბუნებრივია, უნდა გადაეწყვიტა ორში ერთი. მდგომარეობის განხილვა მომხდარიყო დელეგაციის დაუსწრებლად ყრილობის გათავებამდე, ან ყრილობის დამთავრების შემდეგ დელეგაციის თანადასწრებით. მოსკოვის დელეგაცია ამ გზით არ წავიდა. ჯერ კიდევ არ იყო გამშრალი მელანი რეზოლიუციაზე, რომ მოაწყვეს რაიონული კრებები სადაც გამოდიოდენ ორატორები ყოვლად დამამცირებელი სიტყვებით პარტიის მთელ რიგ წევრების მიმართ, რომლებმაც პარტიაში დაიმსახურეს, ყოველ შემთხვევაში სხვაგვარი მოპყრობა. არ მოუსმინეს მეორე მხარეს, არ დაუცადეს ყრილობის მუშაობის დამთავრებას. ჯერ არასოდეს არ მომხდარა, რომ ყრილობის მუშაობის დროს ყოფილიყოს სხვა ბაასი და დისკუსია.

დაბოლოს, ბეჭდვითი სიტყვის შესახებ. ჩვენ არ ვფარავთ, რომ „ლენინგრადსკაია პრავდა"-ში არის მკაცრი პოლემიკური წერილები. დელეგაცია აცხადებს, რომ ის მზად არის ყოველთვის მიიღოს ზომები, რათა პოლემიკა შეწყდეს, მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ შეწყდება ცენტრალური პრესის გამოლაშქრებაც. (ხმა: „კიდევ ულტიმატუმი!"). აქ არავითარი ულტიმატუმი არ არის. სანამ არ არის მიღებული ყრილობის ოფიციალური დადგენილება, რომ ჩვენ გვევალება გავჩუმდეთ, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ გვაცხადებენ „პორაჟენცებათ", სანამ სწარმოებს ყრილობა და დისკუსია, თვითეული ორგანიზაცია, რომელიც თავის თავს პატივს სცემს, დაიცავს თავის თავს თავისი მკითხველების და თავისი ორგანიზაციის წევრების წინაშე. თუ ყრილობა აუცილებლად სთვლის პოლემიკის შეწყვეტას პრესაში, მან უნდა მიიღოს სპეციალური დადგენილება სხვა გაზეთების შესახებაც.

აქ მოქმედებას იწყებენ ისეთი ძალები რომლებსაც მიყავთ ეხლანდელ უმრავლესობის ხელმძღვანელ კადრი უფრო იქით, ვინემ ეს მას სურს. მე არ ვიცი შემოიტანს თუ არა კალინინი წინადადებას ყრილობაზე იმის შესახებ, რომ მივმართოთ იმ ორგანიზაციებს, ორგანიზაციების იმ წევრებს, რომელთა სახელით დელეგაციამ ხმა მისცეს კომუნისტურ ინტერნაციონალის ანგარიშის შესახებ გამოტანილ რეზოლიუციის წინააღმდეგ. (ხმა ადგილიდან: „წინააღმდეგ კი არა თავი შეიკავეს"). თავის შეკავება ასეთ პირობებში უდრის წინააღმდეგ ხმის მიცემას. კომუნისტური ინტერნაციონალის ანგარიში, რომელიც გაკეთებულ იქნა პარტიის ცეკას დავალებით, არის არა ნაკლებ მნიშვნელოვანი პოლიტიკურად, ვინემ ანგარიში ჩვენი პარტიის ცეკას მუშაობის შესახებ. არ ვიცი ჰქონდათ თუ არა დელეგატებს დავალებული თავის შეკავება? არა მგონია.

მაგრამ თავი დავანებოთ ყოველგვარ [illegible] ზომებს, რომელიც მიღებულია ლენინგრადის დელეგაციის წინააღმდეგ, მიმართულია უთანხმოების გაღრმავებისაკენ, მის გაფართოებისაკენ. არ ყოფილა და არც უნდა იქნეს ჩვენს პარტიაში ისეთი მდგომარეობა, რომ უმცირესობას არ ჰქონდეს საშუალება საკითხების გარჩევის დროს გამოსთქვას ესა თუ ის თვალსაზრისი და ხმა მისცეს მას. იმის თქმა, რომ 65 დელეგატი, რომელთაც ხმა მისცეს განსაზღვრულ რეზოლიუციის წინააღმდეგ, საფრთხეს უმზადებენ პარტიის მთლიანობას, ყოვლად დაუშვებელი და მიუღებელია. ჩვენი პარტიის ისტორიაში იყო მრავალი შემთხვევა, როცა რეზოლიუციას ღებულობდა უმრავლესობა 60 ხმის, 100 ხმის წინააღმდეგ და მიუხედავად ამისა რეზოლიუცია უმცირესობისათვის ხდებოდა კანონი. პარტიული ყრილობის გადაწყვეტილებანი ჩვენთვის სავალდებულოა ისევე, როგორც პარტიის ყოველი წევრისთვის. მაგრამ ლენინგრადის დელეგაცია აცხადებს, რომ უფლებებს, რომელიც მას მინიჭებული აქვს ყრილობის და პარტიის წესდების მიერ, ის გამოიყენებს ბოლომდის. ლენინგრადის დელეგაცია აცხადებს, რომ მიმართვა, რომელიც წაკითხულ იქნა აქ, დაატეხეს მას თავზე ყოველგვარი ცდის გარეშე გაეფრთხილებინათ ის.

განა თვითეული დელეგაციის ელემენტარულ უფლებას არ შეადგენს, რომ ის გაფრთხილებულ იქნეს? ეს არის ყოველი უმცირესობის ელემენტარული უფლება, თუ უმრავლესობა ნამდვილად არ აწარმოებს სპეციალურად უთანხმოების გაღრმავების პოლიტიკას. გაფრთხილებას ადგილი არ ჰქონია, ნამდვილი პარლამენტარული წესით, კომუნისტური ინტერნაციონალის ანგარიშის რეზოლიუციისათვის კენჭის ყრის შემდეგ ერთ ნახევარ წუთში შემოდის განცხადება, რომელიც ნავთს ასხამს ცეცხლზე. არ ყოფილა არავითარი ცდა მომხდარიყო რაიმე შეთანხმება ლენინგრადის ორგანიზაციასთან. ლენინგრადის ორგანიზაცია აცხადებს, რომ ის სულ მოკლე ხანში შემოიტანს თავის კონტრ-განცხადებას. ლენინგრადის ორგანიზაცია ამასთანავე ერთად აცხადებს, რომ უთანხმოების გაღრმავების ცდა ვერავითარ შემთხვევაში ვერ გამოიწვევს მის მხრივ რაიმე ნაბიჯს, რომელიც შეიძლება შეფასებულ იქნეს, როგორც პარტიული დისციპლინის დარღვევა. ლენინგრადის ორგანიზაცია ჩვენი პარტიის რიგებში იბრძოლებს თავის შეხედულებათა დასაცავათ იმ ფარგლებში, რომლის უფლებას მას აძლევს პარტიის წესდება. ლენინგრადის ორგანიზაციისათვის არა ნაკლებ ძვირფასია მთლიანობა, ვინემ აქ მყოფთათვის. პასუხად ხმისა: „გაუმარჯოს ლენინგრადის ორგანიზაციას",—ის უპასუხებს: „გაუმარჯოს რუსეთის კომპარტიის მთლიანობას". (ტაში ლენინგრადის დელეგაციის მხრიდან).

ამხ. რიკოვის სიტყვა

ნება მომეცით მოკლედ უპასუხო ზინოვიევს.

არ არის სწორი ზინოვიევის განცხადება, თითქოს ლენინგრადის დელეგაცია წინდაწინვე არ იცნობდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოხსენების შესახებ გამოტანილ რეზოლიუციის პროექტს. დელეგაციას ჰქონდა შესაძლებლობა არამც თუ დაწვრილებით გასცნობოდა ხსენებული რეზოლიუციის პროექტს, არამედ შეედგინა ამ რეზოლიუციის დასაპირისპირებლად და დასამატებლად დაწვრილებითი, დეტალური, დაბეჭდილი კონტრ-პროექტი. კამენევმა შემოიტანა წინადადებები და შესწორებები, რომლებსაც ის კითხულობდა სავსებით ჩამოყალიბებულ და დაბეჭდილ ტექსტით.

ვამტკიცებ, რომ არ შეესაბამება სინამდვილეს განცხადება, თითქოს ლენინგრადის დელეგაციის ამ დოკუმენტში, რომელიც გამოაქვეყნა კამენევმა, არ ყოფილიყო ულტიმატუმი. რომ ეს დავამტკიცო წავიკითხავთ ერთ ფრაზას ამ დოკუმენტიდან. იხილავს რა რეზოლიუციის პროექტს ლენინგრადის დელეგაცია მიდის იმ დასკვნამდე (დამახინჯებულია ტელეგრაფის მიერ) ცდას დეკლარატიული მოთხოვნილების გზით აიძულოს ყრილობა მიიღოს ის შესწორებები, რომლებიც აქ, საბოლოო ჩამოყალიბების და რედაქციის გაკეთების შემდეგ, წაკითხულ იქნა დაბეჭდილ ტექსტით ოპოზიციის ორატორის მიერ. ჩვენ არასოდეს არ ვამბობდით უარს საკითხების ერთად განხილვაზე. დაასახელეთ თუნდაც ერთი ყრილობა მსოფლიოში, რომელსაც მიეცეს ოპოზიციისათვის საშუალება გამოეთქვას თავის აზრი ისე ფართოთ, როგორც ამას ადგილი აქვს რ. კ. პ. მეთოთხმეტე ყრილობაზე. 60 დელეგატმა 700-დან წაგვართვეს თითქმის იმდენივე დრო, რამდენიც ყველა დანარჩენმა ორატორებმა. და ამის შემდეგ გამოდიან ტრიბუნაზე და ამბობენ: „ჩვენ ერთხმად დაუჭერთ მხარს რეზოლიუციას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყრილობა პარტიის უზენაესი ორგანო მიიღებს ჩვენ შესწორებებს და წინადადებებს". ეს განა ულტიმატუმი არ არის? ეს არის ცდა მოახდინონ ძალდატანება ყრილობის ნებისყოფაზე.

ზინოვიევმა სთქვა, რომ ის იდგა, სდგას და მომავალშიაც დარჩება პარტიულ დისციპლინის ნიადაგზე, ჩვენი პარტიის მთლიანობის და დარაზმულების ნიადაგზე; როგორ იდგა ის წარსულში ამის შესახებ ყრილობამ უკვე მოისმინა. როგორ სდგას ის და ლენინგრადის დელეგაცია ამჟამად, ეს ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ იქიდანვე თუ როგორ დამოკიდებულებაში არიან ისინი ჩვენი პარტიის უზენაეს ორგანოს— რ. კ. პ. მეთოთხმეტე ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებებთან. ჩვენ ხმის უმრავლესობით მივიღეთ რეზოლიუცია [illegible] საკითხზე—პარტიის ცეკას მოხსენების შესახებ. თუ ეს რეზოლიუცია, რომელიც დამტკიცებულ იქნა ყრილობის მიერ, სავალდებულოა პარტიისათვის, უნდა იყოს თუ არა ის სავალდებულო ლენინგრადის დელეგაციისათვის? სავალდებულოა თუ არა „ლენინგრადსკაია პრავდა"-სთვის? სავალდებულოა თუ არა ლენინგრადის მთელი ორგანიზაციისათვის? წაიკითხეთ „ლენინგრადსკაია პრავდა", ნახეთ რა ხდება ლენინგრადის ორგანიზაციაში ყრილობის მიერ დადგენილებათა მიღების შემდეგ. დღიდან დღეზე, ერთი ფურცლიდან მეორე ფურცელზე, ერთი სტრიქონიდან მეორეზე ცდილობენ ჩაშალონ ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებანი.

იმ წინადადების აზრი, რომელიც დელეგატების მნიშვნელოვან რაოდენობის სახელით შემოიტანა კალინინმა, მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი პარტიის ცხოვრებაში ყოვლად დაუშვებელი ელემენტარული დისციპლინის უქონლობა, რომელიც საფრთხეს უმზადებს ჩვენს მთლიანობას, რომ ეს უდისციპლინობა დაუყოვნებლივ მოსპობილ უნდა იქნეს. ამ ყრილობამ უნდა დაამთავროს თავის მუშაობა, დარწმუნებული იმაში, რომ პარტიის მთლიანობა შენარჩუნებულ იქნება. წინადადებას [illegible] მიღებულ იქნეს კალინინის მიერ გამოქვეყნებული [illegible] ორგანიზაციისადმი (მქუხარე ტაში).

მხარს უჭერენ ცეკას ხაზს

უკრაინაში.

ხარკოვი, 30 დეკემბ. უკრაინის ახალგ. ლენინურ კომკავშირის ცეკას ბიუროს გაფართოებულმა სხდომამ, რომელზედაც მონაწილეობა მიიღეს ხარკოვში მყოფმა ცეკას წევრებმა და პასუხისმგებელმა მუშაკებმა, განიხილა რა ყრილობაზე გამართულ დისკუსიის საკითხი, მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„უკრაინის ახალგ. ლენინურ კომკავშირის ცეკას ბიურო სავსებით უერთდება რუსეთის ახალგ. ლენინურ კომკავშირის ცეკას პლენუმის 1925 წ. 17 დეკემბრის რეზოლიუციას და ჰკიცხავს ახალ ოპოზიციის ზინოვიევის, კამენევის და სხვ. ხაზით, რომელიც ძირს უთხრის ჩვენი პარტიის მთლიანობას, რადგან ისინი უსაფუძვლოთ ესხმიან თავს რ. კ. პ. ცეკას. უკრაინის ახალგ. ლენინურ კომკავშირის ცეკა სავსებით უერთდება მე-14 ყრილობის გადაწყვეტილებებს რ. კ. პ. ცეკას პოლიტიკურ ანგარიშის შესახებ და მოუწოდებს კომკავშირის უკრაინის ორგანიზაციის შეამჭიდროოს თავისი რიგები ლენინის ბოლშევიკურ გვარდიის გარშემო".

უკრაინა

ხარკოვი, 30 დეკ. კუპიანსკიდან, ნიკოლაევიდან და უკრაინის სხვა ქალაქებიდან მოდის ცნობები, რომ ადგილობრივ მნიშვნელოვან უჯრედების პარტაქტივების კრებებზე გამოაქვთ რეზოლიუციები, რომლითაც ჰკიცხავენ ოპოზიციის გამოსვლას საერთო საკავშირო პარტყრილობაზე. რეზოლიუციები სავსებით ეთანხმებიან ცეკას მიერ აღებულ ხაზს.

ლენინგრადში.

ლენინგრადი, 30 დეკემბ. პეტროგრადის რაიონის აქტივის კრებამ მიიღო რეზოლიუცია, რომელშიაც ნათქვამია:

„ლენინგრადის ორგანიზაციის დელეგაცია თავისი პოზიციით დაუპირდაპირა მთელ პარტიას და მის ცენტრალურ კომიტეტს, პარტყრილობაზე თანამოხსენებით გამოსვლით და ცეკას ანგარიშის გამო გამოტანილ რეზოლიუციის წინააღმდეგ ხმის მიცემით. პარტყრილობის გადაწყვეტილებებს ჩვენ ვთვლით სავსებით სწორად და მთლიანად უერთდებით მას. დელეგაციის ყოფაქცევა ყრილობაზე ამტკიცებს იმას, რომ ჩვენ შეცდომაში შეგვიყვანა ლენინგრადის ორგანიზაციის პასუხისმგებელ ხელმძღვანელების ნაწილმა. ჩვენ დარწმუნებული ვართ რომ ლენინგრადის ორგანიზაცია გადაჭრით გაიმიჯნება დელეგაციის დეზორგანიზატორულ-ფრაქციონულ მოქმედებისაგან ყრილობაზე. და სავსებით მხარს დაუჭერს უკანასკნელის გადაწყვეტილებებს.

„ლენინგრადსკაია პრავდა"-ს გამთიშველი კამპანია პირდაპირ ემუქრება პარტიის მთლიანობას და ჩვენ ამ კამპანიას გადაჭრით ვგმობთ და მოვითხოვთ მის დაუყოვნებლივ შეწყვეტას. საჭიროთ მიგვაჩნია, რათა დელეგაციის ყოფაქცევა ყრილობაზე ფართოთ იქნას განხილული პარტიის მთელი კოლექტივის მიერ, რათა გამოაშკარავებული იქნას ლენინგრადის ორგანიზაციის ნამდვილი სახე. ეს ორგანიზაცია ყოველთვის იყო ლენინის პარტიის მთლიანობის საყრდენი და დარჩება ასეთად მომავალშიაც".

ასეთივე რეზოლიუციები მიიღეს სამხედრო-საექიმო აკადემიის რ. კ. პ. კოლექტივის ბიურომ და ბალტფლოტის და კრონშტადტის ციხის კომისართა კურსების მსმენელებმა.

მოსკოვში.

მოსკოვი, 30 დეკემბ. კავშირის სხვადასხვა ადგილებიდან მიღებულია მისასალმებელი დეპეშები პარტყრილობისადმი. დეპეშებში დაგმობილია ლენინგრადელების მოქმედება.

პარტიის საოლქო კომ[illegible] კრება პერმში აღნიშნავს, რომ პარტყრილობა მიდის სწორი ლენინური გზით და გამოსთქვამს რწმენას, რომ ყრილობა აირჩევს ისეთ ცეკას, რომელიც სავსებით გაატარებს ცხოვრებაში მიღებულ გადაწყვეტილებებს.

სევასტოპოლის ქარხნის უჯრედი გადაჭრით უჭერს მხარს ყრილობის უმრავლესობას და ილაშქრებს ლენინგრადის დელეგაციის გამოსვლების წინააღმდეგ.

ნოვოჩერკასის გარნიზონის პარტკოლექტივი გამოსთქვამს რწმენას, რომ პარტია ყრილობის შემდეგ იქნება კიდევ უფრო შეკავშირებული და მტკიცე.

ვოლოგდის აქტივი დარწმუნებულია, რომ საბჭოთა კავშირის ყველა პარტორგანიზაციები კიდევ უფრო მჭიდროთ გაერთიანდებიან ლენინურ ცეკას გარშემო.

ქ. სტალინოში

სტალინო, 30 დეკ. საერთო საქალაქო პარტკრებაზე მიღებულია რეზოლიუცია, რომლითაც გამოსთქვამენ იმედს, რომ ის ამხანაგები, რომლებიც მეთოთხმეტე პარტყრილობაზე სცდილობენ პარტია გადაახვიონ ლენინიზმის გზიდან—დიდი უმრავლესობის მხრივ შეხვდებიან ერთსულოვან წინააღმდეგობას. პარტია, როგორც ყოველთვის, ეხლაც ადვილად გადაიტანს დროებითი უთანხმოებას და ახლად აღადგენს ფოლადისებურ ლენინურ მთლიანობას.

ზაპოროჟიეში

ზაპოროჟიე, 30 დეკ. უჯრედების პარტკრებებზე მიღებულია რეზოლიუცია, რომლითაც გმობენ ოპოზიციის გამოსვლას და გამოსთქვამენ იმედს, რომ პარტიის მთლიანობა აღდგენილ იქნება ლენინიზმის საფუძველზე და მთელ პარტიას საშუალებას მიეცემა—საუკეთესოდ გადასწყვიტოს მის წინაშე მდგომი ძნელი ამოცანები.

ლენინგრადელ კომუნარების ნამდვილი ხმა

„იზვესტია"-ს წერილი

მოსკოვი, 30 დეკ. „იზვესტია" მოწინავე წერილში ამ სათაურით სწერს:

„ლენინგრადის დელეგაცია რ. კ. პ. მე-14-ე ყრილობაზე გამოდის პარტიის სურვილის წინააღმდეგ და ირწმუნება თითქოს მისი პირით ლაპარაკობდეს მთელი ლენინგრადის ორგანიზაცია. მაგრამ ყრილობამ უკვე საკმაოდ გამოამჟღავნა ახლად მოვლენილი ოპოზიციონერები. ლენინგრადის ქარხნების დელეგაციის გამოსვლებიდან აშკარად სჩანს, რომ ლენინგრადის დელეგაციამ არ გაამართლა ნდობა პარტიულ მასების, რომლებიც არ მოელოდენ, არ ფიქრობდენ, რომ ის შორს, სასტიკ ოპოზიციაში ჩაუდგებოდა პარტიის უმაღლეს ორგანოს—ყრილობას და უნდობლობას გამოუცხადებდა პარტიის ცენტრალურ კომიტეტს.

მაგრამ ოპოზიციამ თავი აიშვა არა მარტო ყრილობაზე: ის თავის ანტიპარტიულ მუშაობას აწარმოებს ლენინგრადშიაც, ის ამახინჯებდა იმას, რაც ხდება ყრილობაზე, ის წინააღმდეგ პარტიის წესდებისა და ტრადიციებისა განაგრძობდა თავის მკაცრ პოლემიკას „ლენინგრადსკაია პრავდა"-ს ფურცლებზე მას შემდეგაც, რაც ყრილობამ უკვე სთქვა თავისი ურყევი ავტორიტეტული სიტყვა. ლიდერებმა თავი აიშვეს, ლიდერები უსათუოდ მოსწყდენ მასებს, რომელთა სულისკვეთებას ისინი ველარ გრძნობდენ და ვერ იგებდენ.

აი ამიტომ აბობოქრდა ლენინგრადის პარტიული ზღვა, აი ამიტომ მისი მქუხარე უკმაყოფილო ტალღები შეიჭრა მოსკოვში, შეიჭრა თვით ყრილობის სხდომის დარბაზშიაც, რათა იქ მაღალი ტრიბუნიდან ემცნო ყრილობისათვის აღშფოთება თავისი დელეგატების წინააღმდეგ, მთელი თავისი აღშფოთება მათი საქციელის გამო ყრილობაზე".

„იზვესტია" ასახელებს ლენინგრადის ფაბრიკა-ქარხნების მრავალ რიცხოვან დელეგაციებს, რომლებიც გამოცხადდენ ყრილობაზე ოპოზიციონერებისაგან გამიჯვნის მიზნით და განაგრძობს:

„ისინი ერთხმად იწონებენ ყრილობის გადაწყვეტილებას, რომელიც შეეხება „ლენინგრადსკაია პრავდა"-ს.

მაგარ პროლეტარულ სიტყვებს, ბოლშევიკურ აზრებს, ლენინურ სიმტკიცეს ესალმება მთელი ყრილობა. მაგრამ სდუმს ლენინგრადის ოპოზიცია. მას თავისი განაჩენი გამოუტანა ყრილობამ. დღეს კი მას ჰკიცხავს მისი საკუთარი ორგანიზაცია. ეს იყო ჭეშმარიტი სიტყვა ლენინგრადელ კომუნარების, რომლებმაც წესრიგისაკენ მოუწოდეს გათავხედებულ და მასებისაგან მოწყვეტილ ოპოზიციონერებს. ეს იყო ხმა ბოლშევიკურ პროლეტარულ მასების, რომლებიც მხარში ამოუდგენ ყრილობას და დაადასტურეს მისი გადაწყვეტილებების სისწორე".

მისალმება ყრილობას

ბაქო, 30 დეკ. 1905 წლის რევოლიუციის ოცი წლის თავის აღსანიშნავად შეკრებილ სხვადასხვა წარმოებების მუშა-მოსამსახურენი კომუნისტები და უპარტიონი—მხურვალე სალამს უძღვნიან რ. კ. პ. ცეკას და მე-14 ყრილობას.

გაკოტრებული არამზადების პროვოკატორული მუშაობა

(მენშევიკების გმირობა პარიზში)

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო ცნობები „საქართველოს დემოკრატიულ მთავრობის" ახალ გმირების შესახებ პარიზში. დაკარგეს რა ყოველგვარი პატიოსნება და რიგიანობა, რაც კი გაყვათ ემიგრაციაში, ბატონ ჟორდანია-რამიშვილი-ჩხენკელი პირდაპირ ზღაპრულ ნიჭს იჩენენ გახრწნასა და გათახსირებაში. მათ დაიჭირეს კავშირი პარიზის საიდუმლო პოლიციასთან, რომლის ზნე-ჩვეულებანი ყველასათვის ცნობილია, და უკანასკნელ დროს, როდესაც არც ფიზიკურ ძალმომრეობამ და არც ადმინისტრატიულ განახლებამ არ იმოქმედა „ბოლშევიკებზე", ემიგრაცია თანდათან დნება არა დღეობით, არამედ საათობით. გაუგონარ საშუალებებს მიმართავენ იმათ წინააღმდეგ, ვინც მათ სტოვებს: ვინც მათ არ უჯერებს,—იმათ სულით ავადმყოფებათ აცხადებენ და ახერხებენ მათ დამწყვდევას სულით ავადმყოფთა სახლში. აი როგორი გათახსირებისა და სისხლის სამართლის გარყვნილების რეკორდი აიღეს საქართველოს მენშევიზმის ნოებმა და აკაკიებმა.

[illegible] მოუტანა რაიმე ნაყოფი გაკოტრებულებს. მათ სტოვებენ ისინიც კი, ვინც სისხლით დაკავშირებული იყო მათთან. წავიდა მათგან ზუგდიდელი აჯანყებული მხეიძე, რომელმაც გადასწყვიტა წარსდგეს საბჭოთა საქართველოს სასამართლოს წინაშე. მენშევიკების კამარილია ააღელვა ამან და სცადა ჯერ მუქარით, და შემდეგ „სარდლის ჯამაგირის" შეთავაზებით შეეჩერებინა მხეიძე, მაგრამ ეს უკანასკნელი ამან ვერ შეაცდინა. ამიტომ რამიშვილ-ჩხენკელის ხროვამ მიმართა პარიზის პოლიციას, სხვათა შორის ამ მიმართვის შემდეგ იყო გრიგოლ ვეშაპელის დატუსაღება. მხოლოდ საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ჩარევით განთავისუფლებულ იქნა, მაგრამ იმ პირობით, რომ და[illegible] საზღვრებს [illegible] საქართველოში.

[illegible]

რა ხდება ჩინეთში

ლი-ჩინ-ლინი იმალება

პეკინი, 29 დეკ. [illegible] თავი ლი-ჩინ-ლინმა. ზოგიერთა ცნობით, ის გაიქცა დაირენში. რეიტერის ცნობით, მან მოასწრო ნავთსადგურ ჩიფუში გაქცევა, საიდანაც ის გაემართა შანხაისკენ. ჩინურის წყაროებით კი, ლი-ჩინ-ლინი ისევ ტიან-ცზინში იმალება იაპონიის ტერიტორიაზე. (ლი-ჩინ-ლინი ტიან-ცზინის გენერალ გუბერნატორია).

შუ-ში-ინუს კაბინეტი

პეკინი, 29 დეკ. შუ-ში-ინუს მიენდო ახალი კაბინეტის შედგენა. რამდენიმე საკანდიდატო სიებიდან გაზეთები აღნიშნავენ გომინდანის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წევრს და ვან-ჩან-ჰუიას. კაბინეტში დუან-ცზი-იანის დატოვებას ბევრი დაბრკოლება ელობება წინ. ელიან, რომ რამდენიმე დღეში გამოირკვევა მდგომარეობა.

იაპონიის მახინაციები

ლონდონი, 29 დეკ. „დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიური კორესპონდენტის ცნობით, გო-სუნ-ლინის არმია უკვე გადაჭრით ბრძოლამდის გახრწნილი იყო იაპონელების მახინაციებით.

კორესპონდენტის აზრით—ჩან-ძო-ლინს ისევ ახლათ ეძლევა საშუალება, გაილაშქროს პეკინზე და ამ ჯერობაზე ის აღარ შეხვდება არავითარ წინააღმდეგობას.

გო-სუნ-ლინის მკვლელობა მტკიცდება

პეკინი, 29 დეკ. როგორც მუკდენიდან იუწყებიან, დასტურდება ხმები გო-სუნ-ლინისა და მისი ცოლის მკვლელობის შესახებ სინ-ხინ-ტინში. მათი გვამები გადატანილია მუკდენში და სახალხოთ არის გამოტანილი ქალაქში საჩვენებლად.

მდგომარეობა სამხრეთ მანჯურიაში

პეკინი, 29 დეკ. მდგომარეობა სამხრეთ-მანჯურიაში ჯერ ისევ გამოურკვეველია, გაზეთების ცნობით, ჩან-ძო-ლინის წინააღმდეგ მებრძოლი ჯარები თავს იყრიან შანხაი-გუანში და ემზადებიან თავდასაცავათ.

სახალხო არმიები ტიან-ცზინში

პეკინი, 29 დეკ. ყველა ნაციონალური ორგანიზაციები სიამოვნებით შეეგებენ სახალხო არმიების ტიან-ცზინში შესვლას. მუშები და სტუდენტები, რომლებიც მთელი თვეების განმავლობაში ლპებოდენ ციხეებში ჩან-ძო-ლინისა და გუბერნატორ ლი-ჩინ-ლინის ბრძანებით განთავისუფლებულ იქნენ ციხიდან განთავისუფლებულებს ნაციონალური ორგანიზაციები შეეგებენ დიდის აღფრთოვანებით, შემდეგ შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგი, ყველა ორატორები ლაპარაკობდენ ბრძოლის გაგრძელების აუცილებლობაზე.

იაპონელების დახმარებით

ხარბინი, 29 დეკემბ. გო-სუნ-ლინის დამარცხებას მუკდენთან ხელი შეუწყვეს იაპონელებმა, რომლებიც თვალ-ყურს ადევნებდენ ბრძოლას. ისინი დაკავებულ ტელეფონის საშუალებით აწვდიდენ მუკდენში ცნობებს ოპერაციების მსვლელობის შესახებ. მუკდენის ცხენოსანმა ჯარმა ალყა შემოარტყა გო-სუნ-ლინის ჯარს ყოველ მხრიდან და ხელში ჩაიგდო შტაბი, რის შემდეგ გო-სუნ-ლინი გაიქცა. იაპონელები, როგორც სჩანს თვალ-ყურს ადევნებდენ მას იმ მიზნით, რომ მოეგოთ დრო, რომელიც საჭირო იყო გო-სუნ-ლინის ჯარების გარშემოსარტყმელად იაპონელებმა გამართეს საზავო მოლაპარაკება გო-სუნ-ლინის და მუკდენის წარმომადგენელთა შორის.

[illegible] ევროპის წინააღმდეგ

[illegible] 30 დეკ. ლონდონის გაზეთების ცნობით, გუვერის განცხა[illegible]ბობს კომერციული ომის საფრთხე ამერიკასა და ევროპის შორის [illegible] უკანასკნელი ავიწროებს ამერიკას მონოპოლიებით.

საბჭოთა კავშირი და უცხოეთი

ამიერ-კავკასიის სტუდენტთა ყრილობა

ბერლინი, 29 დეკ. ბერლინში გაიმართა ამიერ-კავკასიის საბჭოთა სტუდენტთა ყრილობა.

საბჭოთა სომხეთი ეკრანზე

პარიზი, 29 დეკ. ეკრანზე აჩვენებენ ფილმას, რომელიც გამოხატავთ საბჭოთა სომხეთის მიღწევებს.

უმუშევრობა გერმანიაში

ბერლინი, 30 დეკ. იმ უმუშევართა რიცხვი, რომლებიც ღებულობენ დახმარებას მთავრობისაგან, 15 დეკემბერს ავიდა 1.057,000-დე, პირველ დეკემბერს კი უდრიდა 673.000 კაცს. **ეს იმას ნიშნავს, რომ უმუშევართა რაოდენობა გასული წლის დეკემბერთან შედარებით გაიზარდა ორჯერ, ხოლო იმავე წლის აგვისტოსთან შედარებით—ხუთჯერ.**

სოციალ-გამყიდველები

უნგრეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში

ვენა, 29 დეკ. საშობაო დღესასწაულობის განმავლობაში ბუდაპეშტში გაიმართა უნგრეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მე-34 ყრილობა, რომელსაც დაესწრო 360 დელეგატი.

ყრილობის გახსნისას თავმჯდომარე კაიერმა (სამთო-მადნო მუშათა კავშირის თავმჯდომარე და გუსარის კონტრ-რევოლიუციონურ მთავრობის ყოფილი მინისტრი) ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა ბრძოლა მემარცხენე მიმდინარეობის წინააღმდეგ პარტიაში. ეს მემარცხენე მიმდინარეობა იცავს ბრძოლის რადიკალურ მეთოდებს. ყრილობამ ხელახლა აირჩია ცეკას ძველი შემადგენლობა.

ცანკოვის ძმის გამორიცხვა

ვენა, 9 დეკ. ბულგარეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა 15 ხმის უმრავლესობით წინააღმდეგ 4-ისა მიიღო გადაწყვეტილება პარტიიდან პარლამენტის დეპუტატის და ცეკას წევრის—ცანკოვის (მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის) ძმის გამორიცხვის შესახებ.

ცანკოვს ბრალად ედება პარტიულ დისციპლინისათვის არ დამორჩილება.

ოსმალეთი ომისათვის ემზადება?

ლონდონი, 29 დეკემბ. გაზეთ „დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიური და სტამბოლელი კორესპონდენტები ფიქრობენ, რომ ოსმალეთის საზოგადოებრივ აზრის განწყობილების მიხედვით, ოსმალეთი ემზადება ომისათვის.

სტამბოლის კორესპონდენტის სიტყვით, რუშდი-ბეი სცდილობს ბელგრადში უზრუნველჰყოს სამხრეთ-სლავიის, საბერძნეთის და იტალიის ნეიტრალიტეტი ომის დროს.

ბრიანის ფინანსიური „რეფორმები"

ეკონომიის პრინციპი

პარიზი, 29 დეკემბ. „ჰავასის" სააგენტო იუწყება, რომ მინისტრთა საბჭომ დაავალა ფინანსთა მინისტრს დუმერს წარუდგინოს დეპუტატთა პალატას საფინანსო პროექტი, რომელიც მიმართულ უნდა იქნეს ეკონომიის პრინციპის გატარებისაკენ.

კრიზისი თავიდან აცილებულია

პარიზი, 29 დეკ. მთავრობის კრიზისი, რომელიც შეიძლებოდა შედეგად მოჰყოლოდა მინისტრთა საბჭოს უკანასკნელ სხდომას თავიდან აცილებულია, რადგან რადიკალებმა ხმა მისცეს საფინანსო პროექტს.

რადიკალების კაპიტულიაცია გამოიწვია ჯერ ერთი ბრიანის კატეგორიულმა განცხადებამ, რომ თუ რადიკალი მინისტრები არ მიემხრობიან ბრიანის პროექტს ის არ გადადგება, არამედ 24 საათში შესცვლის მინისტრებს სხვა ე. ი. მემარჯვენე მინისტრებით, — მეორე იმან, რომ აუცილებელი იყო სახელმწიფო ხაზინის ნაწილის დაუყოვნებლივ შევსება, რაც არ იყო გათვალისწინებული რადიკალების პროექტში.

მინისტრები შეთანხმდნენ.

პარიზი, 29 დეკ. უკანასკნელი ცნობების თანახმად მიღწეულია შეთანხმება კაბინეტის ყველა წევრებს შორის. მათ გამოიჩინეს შე[illegible] დიდი სურვილი. მთავრობის პროექტში ნაგულისხმევია გასავლის ახალი შემცირება, გადასახადის აკრეფის წესების დაუყოვნებლივ გაუმჯობესება, ექსპორტის დაბეგვრა, საბირჟო ოპერაციების დაბეგვრა, თამბაქოს ფასების გადიდება და დროებითი საგანგებო გადასახადი ფულის ოპერაციებზე. პროექტი იძლევა 8.800.000.000 ფრანკ შემოსავალს. ფრანგული გაზეთები ესალმებიან მინისტრების შეთანხმებას საფინანსო პროექტის საკითხში და აქებენ ბრიანს იმ სიმტკიცისათვის, რომელიც მან გამოიჩინა.

უკანასკნელი ცნობები

პოლონეთის დეპუტატების გამგზავრება საბჭოთა კავშირში.

ვარშავა, 29 დეკ. პოლონეთის სეიმის დეპუტატების გამგზავრება საბჭოთა კავშირში დანიშნულია 8 იანვრისთვის. მიემგზავრებიან ვიზვოლენიის, გლეხთა კავშირის, შრომის ჯგუფის, დამოუკიდებელ გლეხთა პარტიის, სეიმის უკრაინის, ბელორუსიის, ებრაელთა და გერმანელი ფრაქციების წარმომადგენელნი.

საბჭოთა კავშირის სამეურნეო მდგომარეობასთან გაცნობის გარდა, უმრავლესობას სურს აგრეთვე გაეცნოს მიწის საკითხის მდგომარეობას საბჭოთა კავშირში.

დეპუტატები საბჭოთა კავშირში დარჩებიან 12 დღეს, ინახულებენ მოსკოვს, ლენინგრადს, ხარკოვს, მინსკს და სოფლებს.

პილსუდსკი გენშტაბის უფროსი.

ვარშავა, 29 დეკ. სეიმის წრეებში დადის ხმები, რომ პილსუდსკი, მემარჯვენე პარტიების თანხმობით, დანიშნულ იქნება პოლონეთის არმიის გენერალური შტაბის უფროსათ.

აშკარა ინტერვენცია

პარიზი, 29 დეკემბ. ზოგიერთი ფრანგული გაზეთები ამტკიცებენ, რომ დიდმა სახელმწიფოებმა გადასწყვიტეს მოახდინონ აშკარა ინტერვენცია ჩინეთში, სადაც ერთდროულად გაგზავნილი იქნება სამხედრო ძალები. ამ განზრახულ ინტერვენციას ამართლებენ იმით, რომ საჭიროა წინააღმდეგობა გაეწიოს იაპონიის დაპყრობითი გეგმებს ჩინეთში.

კომუნისტური საფრთხე ბრიტანეთის ჯარში

ლონდონი, 29 დეკ. რეიტერის სააგენტო იუწყება: „ინგლისის სამხედრო საბჭომ დაუგზავნა მთელს უმაღლეს საკომანდო შემადგენლობას ინსტრუქცია იმ მოწოდებების შესახებ, რომელიც ახლო წარსულში გაავრცელეს კომუნისტურ აგიტატორებმა დიდი ბრიტანეთის ჯარში. საბჭო კმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ მთელი ჯარი აღშფოთებით უარყოფს შეურაცხმყოფელ ცდას, გამოწვეულ იქნეს სამხედრო დისციპლინის დარღვევა. ინსტრუქციაში აღნიშნულია, რომ კომუნისტები ცდილობენ შეასუსტონ ჯარის სულიერი განწყობილება და გამოიწვიონ უნდობლობა მასში, მიელიან რა აქედან სარგებელს თავის თავისთვის. ეს ინსტრუქცია გამოქვეყნებულ იქნება [illegible]. ის არის [illegible] ანალოგიური ბრძანებისა ფლოტისადმი."

თავს იცავენ

კონსტანტინოპოლი, 29 დეკ. ოსმალეთის სახალხო პარტიის ორგანო „ხალკ" სწერს:

„ევროპა უკმაყოფილოა საბჭოთა კავშირისა და ოსმალეთის შეთანხმებით, და სთვლის მას მუქარათ თავისა და ერთა ლიგის მიმართ. საბჭოთა კავშირი და ოსმალეთი, რომელთაც გამოიღვიძეს დიდი ხნის ძილისაგან, ამ ხელშეკრულებით იცავენ თავის არსებობას".

გერმანია ერთა ლიგის სამდივნოში.

ბერლინი, 29 დეკემბ. ვოლფის სააგენტო იუწყება:

„ჟენევიდან პრესაში ადგილი ჰქონდა ცნობებს იმის შესახებ, რომ გერმანიის ცალკე პარტიებმა მიმართეს ერთა ლიგის გენერალურ სამდივნოს წინადადებით გერმანიის წარმომადგენლის მიერ ერთა ლიგის სამდივნოში ამა თუ იმ ფოსტის დაჭერის შესახ. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტრო იუწყება:

„ამ ცოტა ხნის წინად გერმანიის გენერალურმა საკონსულომ ჟენევაში გვაცნობა, როგორც მას შეატყობინეს ერთა ლიგის გენერალურ სამდივნოს ხელმძღვანელ წრეებმა, გერმანიის სხვადასხვა პოლიტიკურმა პარტიებმა შეადგინეს საკანდიდატო სიები ერთა ლიგის სამდივნოში გერმანიის მომავალ მონაწილეობასთან დაკავშირებით. ამ ცნობამ გამოიწვია მღელვარება ჟენევაში, რამდენათაც ერთა ლიგის გენერალურმა სამდივნომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საკითხი გერმანიის მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილ უნდა იქნეს გერმანიის მთავრობასთან ერთად. საგარეო საქმეთა სამინისტრო აცხადებს, რომ მისსა და ერთა ლიგის გენერალურ სამდივნოს შორის აქამდის არავითარი მოლაპარაკება არ ყოფილა ამ საკითხის შესახებ".

ცეცხლზე ნავთი დაასხა

პარიზი, 29 დეკ. საფრანგეთის პრესაში ხშირათ აქვს ადგილი საყვედურებს, რომ საფრანგეთის მთავრობა ჩაიფლო შინაურ საქმეებში და თვალყურს არ ადევნებს, თუ რა ხდება აღმოსავლეთში. გაზ. „ერ ნუველ" უთითებს რამდენიმე ამბავზე, რომელიც მოწმობს აზიის ხალხების გამოღვიძებას (საბჭოთა კავშირისა და ოსმალეთის შეთანხმება, ჩინეთის ბრძოლა ნაციონალურ დამოუკიდებლობისათვის) და ამბობს:

„გადაუმეტებლად შეიძლება იმის თქმა, რომ ინგლისმა მოსულის ირაკთან შეერთებით ცეცხლზე ნავთი დაასხა".

მუშათა ცხოვრება

მოსკოვის ქუჩებზე

(მუშის მოგონება 1905 წ. რევოლუციიდან)

„ცარ ისპუგალსია
იზდალ მანიფესტ,
ვსემ მერტვიმ სვობოდა,
ჟივიხ პოდ-არესტ!"..

ხალხური

17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ 1905 წელს მთელი რუსეთი თითქმის მიტინგების არენად გადაიქცა, სადაც მხოლოდ ნიკოლოზის დაცინვასა და მისი მინისტრების გამასხარავებაზედაც ბევრი ხალხური ლექსები იყო ხმარებაში. ზემორე მოყვანილი პატარა ლექსიც მიძღვნილია ხალხისაგან 1905 წლის რევოლიუციის დროს, როდესაც ცნობილმა მეფის ჯალათმა ტრეპოვმა ბრძანება გამოსცა პეტერბურგში ჯარისადმი: „ცარიელი [illegible] ტონებით არ ისროლოთ! [illegible] დაზოგავთ!"ო. მოს[illegible] დეკემბრის ჯარის ნაწილებს ზურგში მოუარონ... მაუზერთა ზალპი იწვევს გააფთრებულ სიმხეცეს და ხმარებაში ადგილი ზარბაზნების ყუმბარებს დაეთმო. მტერი არა სჩანს, მაგრამ ყუმბარები მაინც ანადგურებენ ქუჩის გასწვრივ სახლების აივნებს, რომლებიც შემდეგ საზარლად გამოიყურებიან გაპარტახებულები...

ქალაქში ხმა გავარდა, რომ წითელ პრესნელების დრუჟინამ არტილერისტებს ზარბაზანი წაართვა; ეს იწვევს მებრძოლთა რიგებში დაუსრულებელ აღტაცებას და ბრძოლის ენერგია მტკიცდება...

ამ ხმას თან მოჰყვა მეორე უფრო გამამხნევებელი ხმაც: რევოლიუციო[illegible] ერთ-ერთ ქუჩაზე ხელში ჩა[illegible] მოსკოვის „ოხრანკის" უფ[illegible], რომელიც სიკვდილით იქვე [illegible] ბარიკადებთან... სიკვდილის განაჩენი ამ ჯალათს რევოლიუციონერთა სამჯელმა გამოუტანა.

სახალხო ჯანმრთელობა

ჭიათურა, 30 დეკ. შორაპანის მაზრაში ითვლება 24 საექიმო პუნქტი, 5 საავადმყოფო, 12 აფთიაქი, 5 გოგირდის აბანო. ემჩნევა ექიმების ნაკლებობა. 1 ოქტომბრამდის ყველა პუნქტების მიერ აღრიცხულია 60,000 ავადმყოფი, რომელთაგან დაზღვეულია 25.000. საექიმო დახმარების მიღებულთაგან—56 პროც. მალარიით ავადმყოფნი არიან.

აფხაზეთი

თამბაქოსი და თხილის გაზიდვა

სოხუმი, 30 დეკ. ა/კ. სახ. ვაჭრობის მიერ განზრახულია ჰამბურგში და ამერიკაში გადაგზავნოს 10.000 ფუთი თხილი და 6.000 ფ. თამბაქო.

ბამბის დამზადება

ქუთაისი, 30 დეკ. სახ. ბამბის საწმენდ ქარხნის მიმღებ პუნქტის მიერ მიღებულია 10500 ფუთი პირველი ხარისხის ბამბა, 12.000 ფ.—მეორესი, 1000 ფ.—მესამესი და 2000 ფ. ამერიკული.

გაფლანგვა და გატაცება

ქუთაისი, 30 დეკ. შეიპყრეს ლიის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილების გამგე დიმიტრი შელია, რომელსაც უნდოდა გაეტაცა 28.160 მანეთი და მიმალულიყო. შეპყრობის დროს მას აღმოაჩნდა 3000 მანეთი.

პასუხისგებაში მიცემულია აგრეთვე 26 კომუნარის სახელობის თამბაქოს ქარხნის გამგე იუზბაშევი, რომელსაც ბრალად ედება ნისიად და უთავდებოთ საქონლის გაცემა და აგრეთვე ფაბრიკის საქმეების უთადარიგოთ წარმოება, რის გამოც ფაბრიკამ იზარალა 100.000 მანეთი.

ტვერის და სადოვოი ქუჩების ნეო ბანკისაგაც რევოლიუციონური მიერ შესყიდულ სანიტარები დაჭსამეურნეო იარაღეულიდან და პატსულ 100.000 მანეთი შეტაკებები დაურიგდება გლეხო[illegible]ცემულ დაჭვადიან სესხის სახით [illegible]ს ექიმი ეხმადით. ამას გარდა ბანკმა დევ საწამლი ნივთიერებანი: [illegible]ათასათდი, ძაღა და სხვა, სულ 150.000 მანეთისა.

მექვენაში, ზესტაფონში, ახალ-სენაკში, ახალ-აბაშაში, ხონში, დარჩელში, ამაღლებაში და სხვა ცენტრებში საკრედიტო ამხანაგობებმა დაიწყეს საშუამავლო ოპერაციები სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესასყიდათ.

სომხეთი

ოსმალეთის კონსულის განცხადება

ლენინკანი, 30 დეკ. დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბრის დროს ოსმალეთის კონსულმა განაცხადა:

„ოსმალეთ-საბჭოთა შეთანხმება მნიშვნელოვანია არა მარტო მოსულის საკითხის თვალსაზრისით, არამედ დარდანელისაც. ამ პოლიტიკურ შეთანხმებას აუცილებლად მოჰყვება ეკონომიური შეთანხმებასაც, რომელშიაც ორთავე სახელმწიფო ძალიან არიან დაინტერესებული. საბაჟოს უკანასკნელი ცნობები ნამდვილ სურათს გვიშლიან, თუ რა მნიშვნელოვანათ გაიზარდა სავაჭრო ურთიერთობა ორთავე მხარეს შორის. დიდის კმაყოფილებით უნდა აღვნიშნო აგრეთვე, რომ მიმდინარე წლის განმავლობაში მოსაზღვრე ადგილებში არა ყოფილა ძარცვა-გლეჯა.

სომხური კომუნისტური ჟურნალი პარიზში.

ერევანი, 30 დეკ. პარიზიდან მიღებული ცნობებით იქ 1 იანვრიდან გამოსვლას იწყებს მეცნიერული კომუნისტური ჟურნალი სომხურ ენაზე.

კლასის სისხლის ღვრას მეფის ჯალათების მიერ მხოლოდ 1917 წლის ოქტომბრის დიადმა რევოლუციამ მოუღო ბოლო.

დიდება 1905 წელს რევოლიუციაში დაღუპულ მებრძოლთ!

მუშა—უ. ჯაში.

მოხმარების მაგიერ ხელს გვიშლიან

(მთავარ მილიციის საყურადღებოდ)

ხშირი შემთხვევაა, როდესაც რომელიმე ღვინით გალეშილი მოქალაქე, ან ხულიგანი ქუჩაში წესრიგს არღვევს და მის წინააღმდეგ მილიციელი კანონიერ ზომებს ღებულობს (ე. ი. მიყავს ის კომისარიატში, რომ დამნაშავემ პასუხი აგოს კანონის წინაშე თავის უმსგავსო და ხულიგანური საქციელისათვის). რა თქმა უნდა, ყოველი პატიოსანი მოქალაქე ვალდებულია ასეთ შემთხვევის დროს დახმარება გაუწიოს მილიციელს, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი მოქალაქე დახმარების მაგიერ თავიანთი უხეირო ჩარევით ადმინისტრაციის საქმეში ზოგჯერ ხელს უშლიან.

მაგალითად, ხულიგანი ჭირვეულობს, იგინება, ულანძღება, არ მიყვება კომისარიატში მილიციელს და ზოგჯერ ხელითაც კი ეცემა.

მოთმინებიდან გამოსული მილიციელი იძულებული [illegible]

რევიზიამ გამოარკვია შემდეგი: კომუნალური მეურნეობის განყოფილების ტექნიკურმა ქვე-განყოფილებამ დახარჯა 7.586 მან. 37 კაპ., მაგრამ გამამართლებელ საბუთებს დართული არ აქვს სათანადო აქტები. წარმოდგენილ გასამართლებელ საბუთებზე დაკრული არ არის საღერბო მარკები, ამიტომ ცნობები ამ დოკუმენტების შესახებ გადაეცა ფინსახკომის საღერბო მაგიდას სათანადო ზომების მისაღებათ. აღმასკომის ბუხჰალტერია არ აწარმოებს აღმასკომის ქონების აღრიცხვას.

ადგილობრივი „კონკის" სადგურის ფაქტიურმა რევიზიამ გამოარკვია შემდეგი:

თანამშრომლები თავის დროზე არ ცხადდებიან სამსახურში; ცხენების მოვლა ცუდათაა დაყენებული; ცხენების საკვებ მასალას ჩიჩქნიან ღორები, რაც იწვევს ცხენების დაავადმყოფებას.

რევიზიამ დაამტკიცა, რომ სადგურის გამგე ჩიჯავაძე და მოანგარიშე პროსტოსერდოვი გულგრილად ეკიდებიან თავის თანამდებობას, ამიტომ საკონტროლო თათბირმა დაადგინა მოიხსნან ისინი სამსახურიდან პასუხისგებაში მიცემით.

ახალციხის მაზრა

ახალციხის სამაზრო აღმასკომის სატყეო განყოფილებამ 1923 წლის 1-ლი თებერვლიდან 1 ოქტომბრამ-

გამოგზავნილი წერილებიდან

— მხეცი კონდუქტორი. ტრამვაის კონდუქტორი, ვინმე მახია ძალიან უხეშად ეპყრობა მგზავრებს და ხშირად უმიზეზოდ ლანძღვითაც უმასპინძლდება.

საჭიროა მისი ჭკუაზედ მოყვანა.

მგზავრი.

— ასეთი მსმენელი მუშფაკს არცხვენს. ქართულ მუშფაკში სწავლობს ვინმე ჯუმბურ კახაია, რომელიც თავის ყოფა-ქცევით ქუჩის ბიჭს წარმოადგენს. ამასთან ერთად უყვარს „ტარიელ მკლავაძეობა". თავის სტიპენდიას უზნეო ქალებში და ლოთობაში ფლანგავს. ასეთი პირი უნდა რკინის ცოცხით გაიწმინდოს.

შ—არი.

— „უბედური ბედნიერება". კალინინის ქუჩა (ყოფ. ნიკოლოზის ქ.) ხელახლად მოკირწყლეს, შეასწორეს, მაგრამ, საუბედუროდ, იმოდენა სილა წააყარეს, რომ ქუჩაში სულ ან ტალახი, ან და მტვერის კორიანტელი სდგას და ხალხი მტვრით იხრჩობა. მოგვხედეთ.

ერთი მსხვერპლთაგანი.

— ხალხის პატრონი თავხედი. [illegible] № 44 სახლის პატ-

ამოიგათ, დანაკლისი გამოიხატება 114.236,83 კვ. ვერშოკში, რომელზედაც არ არის არც აქტები და არც დოკუმენტები.

1924 წლის სატყეო ოპერაცია ისეთივეა, როგორც 23 წლის მუშაობა, იგივე წინააღმდეგობა ახალციხის სატყეოს და აღმასკომის ბუხჰალტერიის ცნობებს შორის: ისეთივე დანაკლისი და დოკუმენტების უქონლობა.

ასეთივე მდგომარეობა მიმდინარე წელშიც; სატყეო მასალა მზადდებოდა ყოველგვარი აღრიცხვის გარეშე, ბუხჰალტერიას არ ჰქონდა ცნობები დამზადებული სატყეო მასალის შესახებ.

კერძო პირებს სატყეო განყოფილება საშენებლო-მასალის უფრო იაფათ აძლევდა, ვიდრე სახელმწიფო დაწესებულებებს. ასე, მაგალითად, ვინმე ლებანიძეს მიეცა 208 ბოძი 25—30 კაპ. კვ. ვერშოკი, იმ დროს, როდესაც დაწესებულებებს ასეთივე ბოძები ეძლეოდა 38 კაპ. კვადრატი ვერშოკი.

ამას გარდა, რევიზიამ გამოარკვია, რომ 1925 წლის დასაწყისში სატყეო განყოფილებიდან გატაცებული იქნა 5.643 მანეთის დოკუმენტები, რის გამო შეუძლებელი ხდება იმის გამორკვევა, თუ რაზე დაიხარჯა ეს თანხა.

წერილები სოფლიდან

განვახორციელოთ პარტიის დავალება

ჩვენი მიზანია მომავალ არჩევნებში მოსახლეობის რაც შეიძლება მეტ ნაწილმა მიიღოს აქტიური მონაწილეობა. ამასთან ერთად ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველივე ზომები, რომ ამ არჩევნებში სრული გამარჯვება ვარგუნოთ სოფლის ღარიბებს და საშუალო შეძლების გლეხობას. როგორც ვიცით, რუსეთის კომპარტიის ცეკას პლენუმზე, რომელიც შესდგა წარსულ ოქტომბერში, ღარიბი გლეხობის ორგანიზაციის საკითხი დიდი ყურადღებით იქნა განხილული და ამ მხრივ ჩვენ გვაქვს გარკვეული მითითებანი.

ცეკას პლენუმის რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ უნდა მოეწყოს ღარიბ გლეხთა ცალკე ჯგუფები. ეს ჯგუფები უნდა ღებულობდენ აქტიურ მონაწილეობას, როგორც არჩევნების სამზადისში და კანდიდატების შერჩევაში, ისე თემაღმასკომების, გლეხკომების, კოოპერატივების და სხვა ორგანიზაციათა მუშაობაში სოფლად. მომავალ არჩევნების სამზადისის დროს პარტიის ამ დადგენილებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

როგორც გაზეთებში მოთავსებულ ცნობებიდან სჩანს, ყველგან ხდება უპარტიო გლეხთა კონფერენციები, თემსაბჭოების გაფართოვებული კრებები და სოფლის საერთო ყრილობები, სადაც აღმასკომები აკეთებენ მოხსენებას თავიანთ მუშაობის შესახებ, მაგრამ ჯერ არ ყოფილა ცნობა, შესდგა თუ არა რომელიმე თემში ღარიბ გლეხთა კრება და გეგმო კომისიისა, ამ გაერთიანე-

თემებში მომუშავე ამხანაგებმა წინდაწინ უნდა შეადგინონ ღარიბ გლეხთა სია და ამ სიის მიხედვით მოიწვიონ ისინი კრებაზე. ამასთან ერთად ზედმეტი არ იქნება, თუ ასეთ კრების მოწვევის შესახებ გაკრული იქნება თემის სხვადასხვა თვალსაჩინო ადგილას საგანცხებო განცხადება. ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო იქნება ღარიბ გლეხობის სათითაოდ ჩამოვლა და მათი კრებაზე გამოძახება.

ერთი სიტყვით უნდა მიღებულ იქნას ყოველივე ზომები სოფლის ღარიბ მოსახლეობის დასარაზმავად, როგორც არჩევნების დროს, ისე არჩეულ ორგანოთა ყოველდღიურ მუშაობაში აქტიურად ჩაბმის მიზნით. მაგრამ აქ შეიძლება ადგილი დაურჩეს ერთ მავნე გადახრას.

ჩვენი მიზანია მჭიდრო კავშირი გავაბათ საშუალო შეძლების გლეხობასთან. ჩვენ უნდა ვეცადოთ შევქმნათ სოფლად მთლიანი ფრონტი ღარიბ და საშუალო გლეხობისაგან. ამ ჩვენს მისწრაფებას შეუძლია ერთგვარი დაბრკოლება შეუქმნას ღარიბ გლეხთა გაერთიანებამ, თუ ეს გაერთიანება სწორათ არ იქნა გაგებული და შესრულებული.

ჩვენ ვაწყობთ ღარიბ გლეხობის ცალკე კრებებს, მაგრამ ეს კრებები არ უნდა იყოს დახურული. აქ თავისუფლად უნდა შეეძლოს დასწრება საშუალო შეძლების გლეხსაც. გარდა ამისა ღარიბ გლეხთა კრებაზე უნდა ირჩეოდეს სოფლის ყველა საჭირბოროტო კითხვები და უნდა გამოტანილ იქნას ისეთი დადგენილებები, რომელიც ხელს შეუწყობს [illegible]შუალო შეძლების გლე-

ბაზრის მ

ბაზარზე ბლომადაა მოზიდული თაფლი. ვორონცოვის თაფლი ღირს 60 კაპ. გირ. მარიენფელდისა—50 კაპ. გირ. ბორჯომის—45 კ. გირ. სარაჯი—80 კაპ. გირ. გამხმარი ხილეულობა—25 კ.—50 კ. გირვანქა. ბლომადაა დაკლული ფრინველები და გოჭები. ფასები აწეულია: მგ. ქათამი ფასობს—1 მ. და 60 კ.—3 მანეთამდე. არის უფრო მეტ ფასიანიც. ინდაური ღირს—3 მანეთიდან ექვს და შვიდ მანეთამდე. ასევე ფასობს გოჭები ცალობით. გირვანქობით გოჭები იყიდება—40 კაპ.—60 კაპიკამდე, ბატი—2 მან.—3 მან. 50 კ., იხვი—1 მ. 50 კ.—2 მ.—2 მ. 50 კ., საჭმელი ზეთი—25 კ.—30 კ. „ვიჩინა"—45 კ.—70 კ., [illegible] 40 კ.—60 კ., სიმინდის ფქვილი—გირ. 8 კ.—10 კ., „სმეტანა"—70 კ., კობის ყველი—60 კ., თელავის—60 კ.—65 კ., ძროხის—60 კაპ., საერთოდ რძის პროდუქტები ბლომადაა.

ლიმონი—10 კ.—20 კ. ცალი, ფორტოხალი—10 კ.—20 კ., მანდარინები არ იშოვება. კომბოსტო ნედლი—5 კ., სისერი—15 კ., გირ., კვერცხი ათი ცალი—60 კ., ზეთისხილი—60 კ. გირ., ხიზილალა მეორე ხარისხის 2 მ. 40 კ. გირ., ხრამული—60 კ.—80 კ. გირ., ტომატი—20 კ.—30 კ.

ეკონომიური ქრონიკა

— შაქარი. აჭარაში 1926 წელში შეტანილი იქნება 400 ათასი ფუთი შაქარი.

— შუშეულობა. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ აჭარისათვის რუსეთში შეიძინა 25 ათასი მანეთის შუშეულობა.

— მეღვინეთა კავშირი თავის წევრთა საჭიროებისათვის იძენს 20 ათასს ფუთ გოგირდს და ამდენსავე შაბიამანს.

— ღვინის გატანა. საქ. სახელმწიფო ვაჭრობის სამმართველომ რუსეთში გასასაღებლად გაგზავნა 2 ათასი ფუთი ღვინო.

— მეფუტკრეობის განვითარების მიზნით ბათომში დაარსდა მეფუტკრეთა კოოპერატიული ამხანაგობა.

— ასანთი. 1926 წელში საქართველოში შემოტანილი იქნება 70 ვაგონი ასანთი.

— შეშის დამზადება. შეშის დასამზადებლად წყნორის სატყეოში (კახეთშია) ამ ჟამად მუშაობს 600 მუშა.

— სპირტის დამზადება. მიმდინარე წელს დასავლეთ საქართველოში სახ. ვაჭრობის სამმართველომ დაამზადა 200,000 გრადუსი სპირტი, აღმოსავლეთ საქართველოში 300,000 გრადუსი.

გადასახადი სავსებით [illegible]

სურამის თემი (გორის მაზ.)

სას.-სამ. გადასახადი ყველგან ერთნაირად არ იკრიბება. გორის მაზრაში, მაგალითად, ზოგან ერთი მესამედიც არ არის აკრეფილი, ზოგან კი სრული 100 პროცენტით ამოწურულია გადასახადის აკრეფის საქმე. აქედან ჩვენ ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ, რომ იმ ადგილებში, სადაც ჩატარებულია წინასწარი მუშაობა, გადასახადის შეკრეფის საქმეც წარმატებით მიმდინარეობს.

მაგალითისათვის საჭიროა მოვიყვანოთ ერთ-ერთი თემის საგადასახადო მდგომარეობა, რომელმაც წარსულ წელშიაც პირველი ადგილი დაიჭირა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფაში მთელ გორის მაზრაში. ჩვენ ვლაპარაკობთ სურამის თემზე, რომელიც გორის მაზრის სხვა თემის მცხოვრებლებთან შედარებით ეკონომიურად გაცილებით დაბლა სდგას, მაგრამ მიუხედავად ამისა, სურამის თემის გლეხობამ მოლოდინს გადააჭარბა. ამჟამად გადასახადი სრულიად აკრეფილად უნდა ჩაითვალოს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში დარჩენილ სამას მანეთს, რომელიც არ არის შეკრეფილი აქნობამდე უმთავრესად იმ მიზეზით, რომ გადამხდელები ამჟამად არა სცხოვრობენ დასახელებულ თემში. ამნაირად ეს გამარჯვება აიხსნება იმით, რომ სურამის თემი დროზე შეუდგა გადასახადის აკრეფის სამზადისს. საჭიროა სხვა თემებმაც მაგალითი აიღონ სურამისგან მოქალაქეობრივ მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებაში.

ი. აბრამაშვილი.

წერილებიდან

ს. ღორეში (შორ. მ.)

— შორს ეკლესიიდან. ჩვენი ოთხწლედი სკოლა მოთავსებულია ეკლესიის გალავანში. რადგან მოწაფეებზე ცუდ გავლენას ახდენს წირვა-ლოცვა სხვა სარწმუნოებრივი ცერემონიები, გლეხებმა გადასწყვიტა ააგონ ახალი შენობა და დაარსონ შვიდწლედი სკოლა. განათლების კომისარიატმა ღორეშლებს შესაფერი დახმარება აღუთქვა.

ხარჯთ-აღრიცხვა უკვე შედგენილი და გადაგზავნილია თბილისში. ვიმედოვნებთ, რომ განათლების კომისარიატი გაამართლებს თავის დაპირებას.

ლ. ქ.

ცაგერი. (ლეჩხუმი.)

— რათ დახურეს? სამაზრო აღმასკომის [illegible] საავადმყოფო ბაღი. [illegible] განყოფი- [illegible] მოახერხა საკითხის მიჩქმალვა. საჭიროა ახალი სარევიზიო კომისია, რომ ყოველივე გაუგებრობა გაიფანტოს.

ლამხურე.

ს. პიპილეთი (რაჭა).

— მამაცი მასწავლებელი. ამას წინათ ადგილობრივ ქსენონში გამოცხადდა შეშინებული მოწაფე ვასილ ერისთავი, რომელმაც განაცხადა: „მასწავლებელმა [illegible] მეტრეველმა ისე დამიყვირა, გული გადამიტრიალდაო". ასეთი მაგალითები ხშირია პიპილეთის სკოლაში. გარდა იმისა, რომ მეტრეველი უვარგისია, როგორც პედაგოგი, მას არც სკოლის მოვლა-პატრონობის უნარი შესწევს. მინები დამტვრეულია, ოთახებში საშინელი სიცივეა, ბავშვებს ფული აქვთ, მაგრამ სახელმძღვანელოები ვერ [illegible] და სხვა. შორს გლეხებისაგან [illegible] მასწავლებელი.

იასამანი.

მიმდინარე წელში საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აღსადგენათ გადადებულია 50.700.000 მანეთი. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიამ ამიერ-კავკასიისათვის გადასდო ამ თანხის 4 პროცენტი, ე. ი. 2.000.000 მანეთი, რომელიც უნდა მიეცეს ამიერ-კავკასიის ყველა სახის კოოპერაციას.

ამ თანხიდან საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის დადგენილებით, სამომხმარებლო კოოპერაციას უნდა მიეცეს 200.000 მანეთი, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას—1.650.000 და სამრეწველო კოოპერაციას—150.000 მან.

ცეკავშირმა აღძრა საკითხი იმის შესახებ, რომ ეს თანხა არ არის საკმარისი სამომხმარებლო კოოპერაციისათვის. ცეკავშირი ეყრდნობა საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს დადგენილებას, რომელიც მიღებული იქნა მიმდინარე წლის მარტში და რომელიც ამბობდა, რომ ამიერ-კავკასიის კოოპერაციას საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის აღსადგენათ გადადებულ თანხიდან უნდა მიეცეს 7 პროცენტი.

[illegible]ლიკაურის თემი (შორ. მ.)

[illegible]ლდება? ჩვენს სო-

და მი[illegible] იქნეს ამიერ-კავკას[illegible] ისათვის მისაცემი თანხ[illegible] განაწილება სხვადასხვა სახის კოოპერატივებს შორის, ცეკავშირის აზრით, უნდა მიენდოს ამიერ-კავკასიის სათანადო ორგანოებს.

ეს საკითხი ირჩეოდა საქართველოს სახელმწიფო საგეგმო კომისიაში, რომელიც დაეთანხმა ცეკავშირს; საგეგმო კომისიის აზრით, ამიერ-კავკასიის კოოპერაციისათვის მისაცემი თანხა გადიდებულ უნდა იქნეს 7 პროცენტამდე.

საქართველოს საგეგმო კომისია ფიქრობს, რომ იმ პირობების გათვალისწინება, რომლებშიაც უხდება მუშაობა კოოპერაციას, ყველაზე უკეთესათ შეუძლიათ ცალკე რესპუბლიკებს. ამიტომ საგეგმო კომისია მიზანშეწონილად სთვლის კრედიტების განაწილება სხვადასხვა სახის კოოპერაციის შორის დაეკისროს სათანადო რესპუბლიკებს.

ამ თანხების განაწილების დროს რესპუბლიკანური ორგანოები იხელმძღვანელებენ საბჭოთა კავშირის შრომის და თავდაცვის საბჭოს დირექტივებით.

რამ შემაცვლევინა აზრი?

(წერილი საფრანგეთიდან)

რომ დიდი კალმოსანი არ გახლავართ, ამაში პირადათ მეც არ მეპარება ეჭვი. მხოლოდ თუ ცოტა რამეს ვიტყვი, ეს გაკადნიერება, მეპატიება; ვინაიდან იგი სინამდვილის შედეგია. სინამდვილის, რომელმაც ჩემს გარდა სხვებსაც ბევრს აუხილა თვალები და დაუბრუნა მშრომელთა ოჯახს. სინამდვილის, რომელმაც ფარდა ახადა და მზის სინათლეზე გამოიტანა „საქმენი საგმირონი" ჩვენი მესვეურებისა. ეს ის სინამდვილეა, რომელიც კიდევ უქადის განწირვას ზოგიერთებს თუ ისინი გონივრულად არ შეაფასებენ არსებულ მდგომარეობას. ჯერ თებერვლის გადატრიალების შემდეგ, როდესაც ყოფილი აწმყომ შესცვალა, მოვრთეთ ყვირილი: არიქა წითელ ქურქში გახვეული შავი რეაქცია მოგვევლინაო. შხამს და გესლს ვანთხევდით. ამით გვსურდა „ჩვენებურად" დაწყებული საქმე „ჩვენებურადვე" დაგვემთავრებია. ყოველი ჩვენგანი დაფაცურდა: ვის რა შეგვეძლო იმას ვაკეთებდით და ვაფერხებდით ჩვენის მოქმედებით დიდ მსოფლიო საქმეს. და რასაც ვაკეთებდით ამას მხოლოდ ახლა ვხედავთ, როდესაც ეს ბრმისათვისაც კი ნათელი გახდა.

დასავლეთში გადახვეწილებმა განგაში ასტეხეს, აღმოსავლეთში დარჩენილებმა ბანი მიეცით. ჩვენის შეგნებით ვითომ საქართველოს ვაშენებდით, ბევრი რამ ვქენით, ბევრი რამ ბოლოს სანანებელი ჩავიდინეთ, მაგრამ ამას ჩვენ ვერ ვხედავდით, თუ არ ვიცით—არ გვინდოდა დაგვენახა, ჩვენ ფიქრისა და საქმიანობის საგნად ის გავხადეთ თუ როგორ მოგვეხერხებია არსებული წყობილების საქმიანობის შეფერხება და დანგრევაც კი. ის გარემოება კი, რომ ხელისუფლებასთან ერთად დაიღუპებოდა მიღწევები იმ მშრომელი ხალხის, რომელსაც მოჭირნახულეთ ვევლინებოდით,—გვავიწყდებოდა. გვავიწყდებოდა, რომ ხალხს დიდ ლახვარს ვსცემდით, ჩვენის მოქმედებით. გვავიწყდებოდა, რომ ჩვენის ხელით აგვყავდა გოლგოთაზე შვილები, მამები, ძმები, მეგობრები და მერე კი ხელისუფლებას ვაბრალებდით. მაგრამ მიუხედავათ ყოველივე ცდისა, მიუხედავათ ჩვენს მიერ საბჭოთა წინააღმდეგ მიმართული ყოველგვარ საშუალებათა, საქართველოს მშრომელი მასსა დიდის უმრავლესობით დაირაზმა საბჭოთა დროშის ქვეშ. საქართველომ, აქამდე წელში გატეხილმა, ხერხემლის გამაგრება იწყო. ეკონომიურად ის ჯანსაღდებოდა. პოლიტიკურად საბჭოების მდგომარეობა მტკიცდებოდა, აღმშენებლობითი მუშაობა, წარსულში მკვდარი, მიწა მიყრილი, მკვდრეთით აღსდგა. დაიწყო რკინის გზის, გზატკეცილების გაყვანა, დაარსდა უამრავი ქარხნები, სწავლა-განათლების საქმე ნორმალურ კალაპოტში ჩადგა, კულტურული მუშაობა ფრთებსა შლიდა. ერთის სიტყვით ქვეყანა ჯანსაღდებოდა, მშრომელი მასსა წელში სწორდებოდა, საბჭოთა წყობილება მტკიცდებოდა. ამ გარემოებამ ჭკუიდან შეშალა დასავლეთში გადახვეწილი ემიგრაცია. იგი ილწეოდა, რათა გაენადგურებია ყოველივე, რაც კეთდებოდა, ცდილობდა ყოველივე გაეჩანაგებია, ჩარხი წაღმა მოტრიალე, უკუღმა შემოეტრიალებია და ამ ტრიალისათვის ამოეყოლებია თავისი ბატონობა, რომელიც ძველის ენით ედემათ ინათლებოდა და საქართველოს მშრომელი მასსის ინტერესებათ იხატებოდა. იმ დროს, როდესაც კმაყოფილი მუშა და გლეხი მშვიდობიანათ თავის ბედს სჭედდა, ჩვენი თაოსნები „რაღაცას" აწყობდენ და ამ „რაღაცაში" მონაწილეობას გვაღებინებდა.

აი ეს „რაღაცა" იყო რომ აჯანყებათ მოგვევლინა.

თუ რა ბედი ეწვია ამ „თავიან" საქმეს,—ეს დღეს უთაოსათვისაც ცხადია. მხოლოდ მე აქ იმის თქმა მინდა თუ რით გვაიმედებდენ ასეთი „რაღაცის" მოწყობის დროს.

თუ არა ვსცდები და რაც ითქვა არ დამავიწყდა, მგონი ჩვენ ასე გვეუბნებოდენ. „იარაღი აიღეთ, ბრძანებას ელოდეთ, პირველი თოფი გაისროლეთ, დანარჩენი ჩვენ და დასავლეთის თანამებრძოლებმა ვიცოდეთო. თაოსანთა თქმით ხოფაში გენერალ მაზნიაშვილი იდგა ჯარით და შავი ზღვა,—ხომ სულ სავსე იყო ინგლის-საფრანგეთის დესანტებით, სავსე გემებით. ერთი დაკვრა და კომუნისტების სეირს გიჩვენებთო. ჩვენსკენ არის დასავლეთის სიმპატია, ჩვენსკენ არის მთელი მათი ყურადღება მოქცეული და ჩვენ განა სიჩუმე შეგვშვენისო?

ბრძანება გასცეს, თოფი გავისროლეთ. პირველი ტყვია ძმას მოხვდა, გამოისროლეს შვილს მოხვდა, აირია ერთმანეთში მამა-შვილის, მეგობარძმის სისხლი. დავმარცხდით, მოვსტყუვდით. „არც გენერალი მაზნიაშვილი თავისი ჯარით და არც ინგლის-საფრანგეთის დესანტები. ჩვენ მოგვატყუილეს, საშინელი პროვოკაციის ანკესზე წამოგვაგეს. ჩვენი ქვეყნის სასიცოცხლო ძალები, რომელთაც შეეძლოთ მხარში ამოსდგომოდენ მოძმეებს და მათთან ეწიათ მაშვრალთა კეთილდღეობის ჭაპანი, გოლგოთაზე აიყვანეს, ნუ თუ იმ იმედით, რომ, როგორც ზღაპარშია, ქრისტესავით პარასკევს დასაფლავებული კვირას აღსდგებოდი? ან შეიძლება იმიტომ, რომ ეს საქართველოს მშრომელი მასსის ინტერესებში შედიოდა? არა მგონია. ამას თუ მოითხოვდა, ისევ ძველათ პრივილეგიამოსილი წოდების ინტერესები მოითხოვდა იმ წოდების, რომლის იდეალი წარსულშია დამარხული.

„აწმყო და მომავალი თუ არ გწყალობს წარსული ხომ თქვენიაო!..

საქართველო [illegible] მინდვრად გაიხადეს. ვინ იცის კიდევ რა იქნებოდა, ზოგიერთების თავს, ვინ იცის კიდევ რამდენი „სანჩო პანჩო" ვყავდით აწ განსვენებულ „დონკიხოტს".

მაგრამ ანაზდათ ახალი გზა გაჩნდა და რამოდენიმე უკვე თვალ ახელილმა, მუშებმა შეაკავშირა ახეული თავისი მოძმენი და მოუწოდა საბჭოთა პლატფორმისაკენ, და განა არ უნდა დავეთანხმებულიყავით, როდესაც ვგრძნობდით რომ დანაშაულება ჩავიდინეთ? როდესაც ვგრძნობდით, რომ ამას ჩვენივე მშრომელების ინტერესები მოითხოვდა? განა არ უნდა ჩავკვროდით გულში ახალ გზას. როდესაც მით საშუალება გვეძლეოდა დანაშაული გამოგვესყიდა და მშრომელთა ოჯახს დავბრუნებოდით? განა წყევლა-კრულვით არ უნდა მიგვემართა მათთვის, ვინცამ საშინელებაში მონაწილეობა მიგვაღებინა. გვეწერეთ თქო? დიახ, უნდა მიგვეხარებია, მეტიც ანგარიში მოგვეთხოვნა, მაგრამ ჩვენ ხომ „რჯულის ხალხი" ვიყავით. მუშათა კომისიის ერთ-ერთი წევრის მიმართვაზე ახალი გზა გაგვეხარებია, სხვებთან ერთად თქვენმა „მორჩილმა მონამაც" ვუპასუხე, მოსკოვის ბაჟაღლოები თქვენ ჩაიჩრიალეთ და ჩვენ როგორმე გავათრევთ განაწამებს სულსათქო. თანაც ვგრძნობდი, რომ აქ ყოველივე წაგებულია, ძალები დაიშალა.

საქართველოში იმედი გადამიწყდა და იმის შესახებ ვიწყე ფიქრი რომ ჩემის თვალებით მენახა, ჩემის ყურებით მომესმინა ის რაც კეთდებოდა ჩვენების და ევროპის მიერ ჩვენის ქვეყნის სასარგებლოდ.

თუმცალა დიდის გასაჭირით, მაგრამ გაპარვა მოვახერხე. იმ წლის გაზაფხულზე საქართველოს დავემშვიდობე, და დასავლეთს მივაშურე, რომ იქ არამც თუ სულიერი სიმშვიდე, არამედ წლობით აშლილი ნერვები დამეწყნარებია „ჩვენების" მიერ მოწყობილი საქმით, რომელიც მათის აზრით, რაღა თქმა უნდა, ახლო მომავალში საქართველოში დაგვიბრუნებდა წარსულს. წავედი, მაგრამ, თუ რა ვნახე აქ, ამ საოცნებო ქვეყანაში, ამასაც გიამბობთ.

პირველად შემთხვევა მქონდა სტამბოლში შემეხვედრა სოციალისტის ერთ-ერთ „მოციქულთან", რომელიც, მეგონა, ბრძოლის კოცონს აღმინთებდა გულში. მაგრამ ჩემს განცვიფრებას საზღვარი [illegible] და, როდესაც ჩემს შეკითხვაზე, როგორ არის ჩვენი საქმე დასავლეთშითქო, სახეწარკვეთილმა იმედდაკარგულმა მიპასუხა: „ეჰ ჩახვალ და ნახავო".

მარსელში ჩამოვედი, შრომის სამინისტროს განკარგულებით ქალაქ ლიონის მახლობლად მდებარე პროვინციაში გამგზავნეს სადაც ექვსი თვეს კონტრაქტი უნდა შემესრულებია (ეს იგივეა რაც იძულებითი მუშაობა), რომ საფრანგეთში (ცხოვრების უფლება, „Garte D'idantite" მიმეღო.

პირველად რამაც ხელი შეუწყო ჩემს გამორკვევას, ეს „Grammont"-ის ელექტროტექნიკური ქარხანა გახლდათ. ქარხანა მაკვირვებს და განცვიფრებაში მოვყავარ მუშაობის პირობებს. ვკითხულობ ყველგან ასეა საფრანგეთის ქარხნებში თუ ეს მხოლოდ უცხოელებისთვის არის ასეთი პირობებითქო. პასუხად მითხრეს: სამოთხე იქ არის, თქვე გონება დახშულო, საიდანაც თქვენ მოდიხართო.

ქარხანა ამერიკული შრომის განაწილებით იტევს ათი ათას მუშას. რომელთაც დღეში ცხრა, ათს და თორმეტ საათსაც კი ამუშავებენ. კაცი, ქალი, ბავშვი, ყველას ერთად სულს უხუთავს ქარხნის უსაშინელესი ატმოსფერა. მუშაობა ყველასათვის საათობითაა და აძლევენ საათში ერთს ფრანკს და სამოცდახუთ სანტიმს, რაც ჩვენს ფულზე გადატანილი ახლა უდრის თექვსმეტ კაპეიკს. ამ ერთ ფრანკს და სამოცდახუთ სანტიმს აძლევენ მამაკაცს, ქალები კი მის ნახევარს და ბავშვები მესამეს ღებულობენ. აქ უკვე ნათლად დავინახე, რომ ის არ ყოფილა რასაც გვიმტკიცებდენ. დავინახე არამც თუ იმ მხრივ, რომ შრომის პირობები აუტანელია, არამედ იმ მხრივაც, რომ თავისუფლება წარმოდგენილი „ჩვენების" (მენშევიკების მიერ) ისეა მოწყობილი, რომ ორ მუშას ერთად თავის მოყრა და თავის პირ-ვარამზე ბაასი ვერ მოუხერხებია.

თუ რომელიმე გაკადნიერდება და ერთ საათს გააცდენს, ის და მისი ოჯახი იშიმშილებს, ვინაიდან კაპიტალისტების გამოანგარიშებას წუთიდან წუთზე გადაყავს მშრომელთათვის არსებობის შენარჩუნება. აქ რომ მუშამ ერთი დღე გააცდინოს ქარხნის მმართველის დაუკითხავათ იმავე წუთში რომ სული გასძვრეს, არავინ ყურადღებას არ მიაქცევს და ვალდებულია ქარხანა დასტოვოს. მერე უჩივლებს ვისთანმე? ან გამოესარჩლება ვინმე? არავინ იგი საშინელი ხვედრის წერაა.

საფრანგეთში ჩასვლისთანავე შემთხვევით ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ლიდერი (თუ კი ასეთი ლა არსებობს) ვნახე და მასთან ხანგრძლივი მუსაიფი გვქონდა. როდესაც ჩვეულებრივი მისალმების შემდეგ საქართველოს მდგომარეობას და მასზე მათ მიერ თავზე დატეხილ უბედურებას შევეხეთ, ბატონმა კედიამ განაცხადა, რომ ეს საშინელება იყო და ამით ჩვენ ლახვარი ჩავეცით საქართველოს—ამას ვერვინ ვერ უარყოფს, მაგრამ გიძლევ ადამიანურ სიტყვას, რომ ამ აჯანყების მოწყობაში არ ამც თუ მონაწილეობა არ მიმიღია, არამედ არც კი მცოდნია ამის შესახებ არაფერი მანამ, სანამ სასო მიხდილი ნოე რამიშვილმა თავისი მინისტერ-კომანდირებით აჯანყების დამარცხების ცნობა არ მიიღო. შემდეგ დასძინა: ეს, ცხადია საშინელება იყო, უშედეგო მსხვერპლი გავიღეთ და ჩვენს თავს ვერა უშველეთ რა, მაგრამ საქმის მოგვარება ხუთმეტიოდე წლის შემდეგ მოხერხდებაო. მანამდი კი ჩვენ უნდა ვეცადოთ ახალგაზრდობა ჩვენსკენ გადმოვიყვანოთო.

კედიას დავემშვიდობე, მე რომ მინდოდა ის ვერ მითხრა, და ლეგაციას (მენშევიკური „მთავრობის" წარმომადგენლობა) მივაშურე, სადაც თავი მოუყრიათ სისხლის ღვრის კომანდირებს. აქაც ვინახული „ჩვენები". ვინახულე ისინი ვინც ასეთი კარგი საქმე მოგვიწყო საქართველოში აკაკი ჩხენკელი, ნოე რამიშვილი, გობეჩია და სხვები. ახლად საქართველოდან ჩამოსულს შეკითხვებით დამაყარეს და გაჰკვირდენ როდესაც სინამდვილე ვსთქვი და საქართველოს მდგომარეობა ჯოჯოხეთად არ დავსახე მსმენელთა წინაშე. არ ესიამოვნათ, რომ გაიგეს ჩემგან მშრომელი მასსის წყევლა-კრულვა მათდამი: ვერ წარმოედგინათ, რომ მუშები, ძველი და ახალგაზრდობა ჩამოსცილდეთ, რომ საბჭოთა პლატფორმაზე სრულის შეგნებით გადასულან. და ერთ უმწეო კუნჭულში მიდენილნი თავს ერთმანეთს აიმედებენ, ნუ გეშინიათ გოლოვინის პროსპექტზე მალე გავისეირნებთო.

ვინც თავის დანაშაულს გამოისყიდის—ის რუსთაველის პროსპექტზე გაისეირნებს—ეს საეჭვო არ არის.

მხოლოდ რომელნიც სცდილობენ კვლავ ახალი უბედურება დაატეხონ საქართველოს მშრომელთ და არ სცხრებიან, ისინი საქართველოში დაბრუნებას ვერ მოესწრებიან. და რომ ვერ მოესწრებიან ეს იქიდან სჩანს, რომ გზა დაბნეულები იმედებს საქართველოში დაბრუნებისას საერთაშორისო კატასტროფაზე ამყარებენ.

განა ამ ილუზიების შემდეგ, იმ, საშინელი მოტყუილების სისხლის, ვერაგულად დაღვრილ სისხლის შემდეგ არ შეგვიძლია უთხრათ: „თქვენ გვკვებავდით და თვით იკვებებოდით ამ ილიუზიებით; თქვენ ბოროტათ სარგებლობდით ჩვენის ნდობით, და კვლავად ახე გინდათ? უკაცრავად ამიერიდან აღარ მოგცემთ საშუალებას ჩვენის სახელით ისარგებლოთ, ჩვენი სახელით რაიმე ილაპარაკოთ ამიერიდან გამორკვეულებს, მტკიცე გადაწყვეტილებით მშრომელთა ოჯახში მოსულებს, გვესმის ვისთან ვართ ჩვენ, და ვინ არის ჩვენთან. ამიერიდან სიტყვა, რომელიც აღმოხდება თქვენს შესახებ ან ერთ მუშას გლეხს, ახალგაზრდას, ინტელიგენტს, იქნება სიტყვა თქვენი დასამარების. ამიერიდან უკვე თითოეული ქართველი, მუშა—ის თუ გლეხი, მოხუცებულია თუ ახალგაზრდა ინტელიგენტია ის თუ არა ინტელიგენტი, რომელსაც კი თვალში მხედველობის უნარი არ დაკარგვია, რომელსაც კი შეუძლია ავისა და კარგის გარჩევა: ზურგს შეგაქცევთ თქვენ და გვერდში ამოუდგება მათ, ვისიც საქმე და სიტყვა ერთია, ვისიც მოქმედება ტყვიაა მუშათა და გლეხთა ინტერესების მოწინააღმდეგეთათვის.

შეიძლება კიდევ მოიპოვებიან მორწმუნენი, და შემეკითხებიან ვინ ამბობს ამასო. ამას ამბობს სულ უმნიშვნელო ვინმე, განვლილი ბრძოლის ისტორიაში, სულ პატარა კაცი. ამას ამბობს ის რომელმაც იძულებული გახადა თავისი თავი საქართველო არალეგალურად დაეტოვებია და დასავლეთში ლეგალურად ჩასულიყო. რომელიც თოფით ხელში მხურვალე მონაწილეობას იღებდა თავის ბელადების „საქმიანობაში". ამბობს ის, რომელიც, მართალია მოკლე ხნის განმავლობაში, მაგრამ საკმაოდ მტკიცეთ საფუძვლიანათ გაერკვა მდგომარეობაში, რომელმაც თავის თვალით ნახა, რომ დასავლეთ ევროპაში არამც თუ არავითარი რეალური დახმარების, არამც თუ რაიმე რეალური თანაგრძნობის იმედები არ არსებობს, არამედ თვით ლიდერებიც ვერ ახერხებენ ასეთების გამოჩიჩქნას, რომ სასომოხდილებმა თავისი თავი მაინც ინუგეშონ.

ვამბობ ამას და მოუწოდებ ყოველ ქართველს, გაიგოს, რომ ჩვენ, რომელნიც გაბოროტებულები მივსდევდით ყოფილ ბელადებს, მხოლოდ პროვოკაციისათვის ვყოფილვართ საჭირო და რომ კვლავ უბედურება არ მოგვახვიონ თავზე, ერთხელ და სამუდამოდ დაჭშოს გზა, რომელსაც საქართველო დაღუპვის კარამდე მიყავდა, დაჭშოს გზა, რომლის მეოხებითაც მშრომელი მასა წელში ტყდებოდა და შეერთებულნი, შეკავშირებულნი ილტვოდენ არსებული ხელისუფლების განმტკიცებისაკენ.

ყოფილი მენშევიკი
გრიგოლ კობახიძე.
პარიზი.

ყრილობის მიმართვის გამო ლენინგრ. ორგანიზაციისადმი

მოსკოვი, 29 დეკემბერი. პარტყრილობის 28 დეკემბრის სხდომაზე ზინოვიევი გამოვიდა სიტყვით, რომელშიაც იცავდა იმ აზრს, რომ ყრილობას არ გაეგზავნა მიმართვა რ. კ. პ. (ბ) ლენინგრადის ორგანიზაციის წევრების მიმართ. მას პასუხი გასცა რიკოვმა, რომელსაც ყრილობა შეხვდა მქუხარე ტაშისცემით. ქვემოდ მოგვყავს მათი სიტყვები.

ამხ. ზინოვიევის სიტყვა

— ლენინგრადის დელეგაციის დავალებით მე უნდა განვაცხადო, რომ იმის მტკიცება, თითქოს ლენინგრადის ორგანიზაციის წარმოედგინოს ყრილობისათვის რაიმე ულტიმატუმი, არ შეეფერება სინამდვილეს. კამენევის წინადადებაში ნათქვამია: გთხოვთ ის შესწორებები, რომლებიც ჩვენ შემოგვაქვს, გადასცეთ კომისიას განსახილველად. ეს შესწორებები შეგიძლიათ ან მიიღოთ ან უარყოთ, მაგრამ საქმე იმაშია, რომ არავითარ ულტიმატუმს ეს შესწორებები არ შეიცავდა.

ყრილობის დელეგაციებიდან არავის არ შეუძლია იმ ფაქტის უარყოფა, რომ რეზოლუცია, რომელსაც ასე დიდი მნიშვნელობა აქვს ასეთ პირობებში, ეცნობა ლენინგრადის დელეგაციას 2 საათით წინ კენჭის ყრამდე. არავის არ შეუძლია უარყოს ის ფაქტი, რომ ამ რეზოლუციის შემუშავება მოხდა ლენინგრადის ორგანიზაციის მონაწილეობის გარეშე. ეს არის ფაქტი, გაუგონარი ჩვენი პარტიის ისტორიაში. არავის არ შეუძლია იმის უარყოფა, რომ თხოვნის [illegible] შესწორებები, რომლებიც [illegible] ვერ უარყოფს იმას, რომ კენჭის ყრა, რეზოლუციის მიღება არა საფუძვლად, ა-ამედ მაშინათვე მთლიანად[illegible]ში ჩაგმას.

[illegible] ლემიკის შეწყვეტას პრესაში, მან უნდა მიიღოს სპეციალური დადგენილება სხვა გაზეთების შესახებაც.

აქმოქმედებას იწყებენ ისეთი ძალები რომლებსაც მიყავთ ეხლანდელი უმრავლესობის ხელმძღვანელი კადრი უფრო იქით, ვინემ ეს მას სურს. მე არ ვიცი შემოიტანს თუ არა კალინინი წინადადებას ყრილობაზე იმის შესახებ, რომ მივმართოთ იმ ორგანიზაციებს, ორგანიზაციების იმ წევრებს, რომელთა სახელით დელეგაციებმა ხმა მისცეს კომუნისტურ ინტერნაციონალის ანგარიშის შესახებ გამოტანილ რეზოლუციის წინააღმდეგ. (ხმა ადგილიდან: „წინააღმდეგ კი არა თავი შეიკავეს“). თავის შეკავება ასეთ პირობებში უდრის წინააღმდეგ ხმის მიცემას. კომუნისტური ინტერნაციონალის ანგარიში, რომელიც გაკეთებულ იქნა პარტიის ცეკას დავალებით, არის არა ნაკლებ მნიშვნელოვანი პოლიტიკურად, ვინემ ანგარიში ჩვენი პარტიის ცეკას მუშაობის შესახებ. არ ვიცი ჰქონდათ თუ არა დელეგატებს დავალებული თავის შეკავება? არა მგონია.

მაგრამ თავი დავანებოთ ყოველ[illegible] ზომებს, რომლებიც მიღებულია ლენინგრადის დელეგაციის წინააღმდეგ, მიმართულია უთანხმოების გაღვივებისაკენ, მის გათარ[illegible]

ხების ერთად განხილვაზე. დასახელეთ თუნდაც ერთი ყრილობა მსოფლიოში, რომელსაც მიეცეს ოპოზიციისათვის საშუალება გამოთქვას თავის აზრი ისე ფართეთ, როგორც ამას ადგილი აქვს რ. კ. პ. მეთოთხმეტე ყრილობაზე. 60 დელეგატმა 700-დან წაგვართვეს თითქმის იმდენივე დრო, რამდენიც ყველა დანარჩენმა ორატორებმა. და ამის შემდეგ გამოდიან ტრიბუნაზე და ამბობენ: „ჩვენ ერთხმად დაუჭერთ მხარს რეზოლუციის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ყრილობა პარტიის უზენაესი ორგანო მიიღებს ჩვენ შესწორებებს და წინადადებებს“. ეს განა ულტიმატუმი არ არის? ეს არის ცდა მოახდინონ ძალდატანება ყრილობის ნებისყოფაზე.

ზინოვიევმა სთქვა, რომ ის იდგა, სდგას და მომავალშიაც დარჩება პარტიულ დისციპლინის ნიადაგზე, ჩვენი პარტიის მთლიანობის და დარაზმულების ნიადაგზე: როგორ იდგა ის წარსულში ამის შესახებ ყრილობამ უკვე მოისმინა. როგორ სდგას ის და ლენინგრადის დელეგაცია ამჟამად, ეს ჩვენ შეგვიძლია დავინახოთ იქიდანვე თუ როგორ დამოკიდებულებაში არიან ისინი ჩვენი პარტიის უზენაეს ორგანოს— რ. კ. პ. მეთოთხმეტე ყრილობის მიერ მიღებულ დადგენილებებთან. ჩვენ ხმის უმრავლესობით მივიღეთ რეზოლუცია [illegible] თავრეს საკითხზე—პარტიის ცეკას [illegible]

მოხსენების შესახებ. თუ ეს რეზოლუცია, რომელიც დამტკიცებულ იქნა ყრილობის მიერ, სავალდებულოა პარტიისათვის, უნდა იყოს თუ არა ის სავალდებულო ლენინგრადის დელეგაციისათვის? სავალდებულოა თუ არა „ლენინგრადსკაია პრავდა“ სთვის? სავალდებულოა თუ არა ლენინგრადის მთელი ორგანიზაციისათვის? წაიკითხეთ „ლენინგრადსკაია პრავდა“, ნახეთ რა ხდება ლენინგრადის ორგანიზაციაში ყრილობის მიერ დადგენილებათა მიღების შემდეგ. დღიდან დღეზე, ერთი ფურცლიდან მეორე ფურცელზე, ერთი სტრიქონიდან მეორეზე ცდილობენ ჩაშალონ ჩვენი პარტიის გადაწყვეტილებანი.

იმ წინადადების აზრი, რომელიც დელეგატების მნიშვნელოვან რაოდენობის სახელით შემოიტანა კალინინმა, მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი პარტიის ცხოვრებაში ყოვლად დაუშვებელი ელემენტარული დისციპლინის უქონლობა, რომელიც საფრთხეს უმზადებს ჩვენს მთლიანობას, რომ ეს უდისციპლინობა დაუყოვნებლივ მოსპობილ უნდა იქნეს. ამ ყრილობამ უნდა დაამთავროს თავის მუშაობა, დარწმუნებული იმაში, რომ პარტიის მთლიანობა შენარჩუნებულ იქნება. წინადადებას [illegible] მიღებულ იქნეს კალინინის [illegible]

სიტყვა. ლიდერებმა თავი აიშვეს, ლიდერები უსათუოდ მოსწყდენ მასებს, რომელთა სულისკვეთებას ისინი ველარ გრძნობდენ და ვერ იგებდენ.

აი ამიტომ აბობოქრდა ლენინგრადის პარტიული ზღვა, აი ამიტომ მისი მქუხარე უკმაყოფილო ტალღები შეიჭრა მოსკოვში, შეიჭრა თვით ყრილობის სხდომის დარბაზშიაც, რათა იქ მაღალი ტრიბუნიდან ემცნო ყრილობისათვის აღშფოთება თავისი დელეგატების წინააღმდეგ, მთელი თავისი აღშფოთება მათი საქციელის გამო ყრილობაზე“.

„იზვესტია“ ასახელებს ლენინგრადის ფაბრიკა-ქარხნების მრავალ რიცხოვან დელეგაციებს, რომლებიც გამოცხადდენ ყრილობაზე ოპოზიციონერებისაგან გამიჯვნის მიზნით და განაგრძობს:

„ისინი ერთხმად იწონებენ ყრილობის გადაწყვეტილებას, რომელიც შეეხება „ლენინგრადსკაია პრავდა“-ს.

მაგარ პროლეტარულ სიტყვებს, ბოლშევიკურ აზრებს, ლენინურ სიმტკიცეს ესალმება მთელი ყრილობა. მაგრამ სდუმს ლენინგრადის ოპოზიცია. მას თავისი განაჩენი გამოუტანა ყრილობამ. დღეს კი მას ჰკიცხავს მისი საკუთარი ორგანიზაცია. ეს იყო ჭეშმარიტი სიტყვა ლენინგრადელ კომუნარების, რომლებმაც წესრიგისაკენ მოუწოდეს გათავხედებულ და მასებისაგან მოწყვეტილ ოპოზიციონერებს. ეს იყო ხმა ბოლშევიკურ პროლეტარულ მასების, რომლებიც მხარში ამოუდგენ ყრილობას და დაადასტურეს მისი გადაწყვეტილებების სისწორე“.

მისალმება ყრილობას

ბაქო, 30 დეკ. 1905 წლის რევოლიუციის ოცი წლის თავის აღსანიშნავად შეკრებილ სხვადასხვა წარმოებების მუშა-მოსამსახურენი კომუნისტები და უპარტიონი—მხურვალე სალამს უძღვნით რ. კ. პ. ცეკას და მე-14 ყრილობას.

გაკოტრებული არამზადების პატრიოტული [illegible]
(მენშევიკების [illegible])

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭომ მიიღო ცნობები „საქართველოს დემოკრატიულ მთავრობის“ ახალ გმირების შესახებ პარიზში. დაკარგეს რა ყოველგვარი პატიოსნება და რიგიანობა, რაც კი გაყვათ ემიგრაციაში, ბატონ ჟორდანია-რამიშვილი-ჩხენკელი პირდაპირ ზღაპრულ ნიჭს იჩენენ გახრწნასა და გათახსირებაში. მათ დაიჭირეს კავშირი პარიზის საიდუმლო პოლიციასთან, რომლის ზნე-ჩვეულებანი ყველასათვის ცნობილია, და უკანასკნელ დროს, როდესაც არც ფიზიკურ ძალმომრეობამ და არც ადმინისტრატიულ განახლებამ არ იმოქმედა „მოღალატეებზე“, ემიგრაცია თანდათან დნება არა დღეობით, არამედ საათობით. გაუგონარ საშუალებებს მიმართავენ იმათ წინააღმდეგ, ვინც მათ სტოვებს: ვინც მათ არ უჯერებს,—იმათ სულით ავადმყოფებად აცხადებენ და ახერხებენ მათ დამწყვდევას სულით ავადმყოფთა სახლში. აი როგორი გათახსირებისა და [illegible] სამართლის გარყვნილო[illegible] და აილეს საქარ[illegible] ნოებმა უმრავლესობას ად[illegible] მნიშვნელობა აქვს და

მაგრამ არც ამ[illegible]
მოუტანა რაიმე ნ[illegible]
ლებს. მათ სტოვებ[illegible]
სისხლით დაკავშ[illegible]
თან. წავიდა [illegible]
აჯანყებული მხ[illegible]
დასწყვიტა წარს[illegible]
ქართველოს ს[illegible]
ნაშე. მენშევიკ[illegible]
აღელვა ამან [illegible]
მუქარით, და შემდ[illegible]
მაგირის“ შეთავაზ[illegible]
მხეიძე, მაგრამ ეს [illegible]
ვერ შეაცდინა. ამი[illegible]
ჩხენკელის ხროვამ [illegible]
პოლიციას, სხ[illegible]
თვის შემდეგ [illegible]
ლის დატუსაღება [illegible]
კავშირის სრულუფ[illegible]
მადგენლის ჩარევით [illegible]
ი. მაგრამ ამ პირო[illegible]

კომის[illegible] ბაში უნდ[illegible] ფედერაციის სხვა დაინტერესებული დაწესებულებების წარმომადგენლები.

ფაქტი, უჩვეული ჩვენ[illegible] ისტორიაში [illegible] საბედისწეროთ [illegible] ვანელი გვყავს, რომ [illegible] ავითარ ყურადღებას არ გვაქცევსო“. ეს ხელმძღვანელი იწვევს კრებას და თვითონ ან სასადილოში [illegible]

„მკითხავ-ფეფელები“ და სხვ. ამდაგვარ ტიპებს ადგილი არ უნდა ექნეს ამ საქმეში.

უჯრედებმა და თემკომებმა აქაც უნდა მიმართონ ყურადღება.

ლ.

[illegible] რომა ღარიბი და საშუალო გლეხები,“ შეგირდები და მოჯამაგირეები. ქალთა რიცხვი ჩვენ ორგანიზაციაში ძალიან მცირეა. ორგანიზაცია დაყოფილია 7 უჯრედად, ყველა უჯრედთან არსებობს პოლიტკოდნის წრეები; კრებები იმართება კვირაში ერთხელ, რომელზედაც ესწრებიან უპარტიო ახალგაზრდებიც. კავშირის წევრები ჩაბმული არიან სხვადასხვა კულტურულ და სააღმშენებლო საქმეებში: როგორიც არის, სოფლის საბჭოები ქოხ-სამკითხველოები, კლუბებში მუშაობა, კოოპერაცია და სხვა. ა. ლ. კ. კ. ორგანიზაცია ხელმძღვანელობს პიონერთა ორგანიზაციას. რომელიც აერთიანებს 500-მდე გლეხის ბავშვს. მუშაობა კიდევ უკეთ შეიძლებოდა, რომ მოგვეპოებოდეს სათანადო სასწავლო ლიტერატურა და ჟურნალ-გაზეთები.

მ—ძაძე.

[illegible] ფათა მასის [illegible] ნაწილი, და[illegible]რულებით არ არიან საკლუბო მუშაობით დაინტერესებული. ზედმეტია ლაპარაკი ჩვენი მუშაქალების საკლუბო მუშაობაში მონაწილეობაზე. ქალებს აქ იშვიათად დაინახავთ. არც მოზარდი ახალგაზრდობაა ჩაბმული ამ მუშაობაში. კლუბები დღითი-დღე ცარიელდება. მა[illegible] პროგრამის მუშათა ფართე მასის უშუალო მონაწილეობის შემუშავებით, პროფმუშაობის, პროფკადრების გაძლიერებით, ლექცია-საუბრების და საღამოების მოწყობით და სხვადასხვა.

აი რას უნდა მიაქციონ, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება პროფკავშირთა საბჭოს კულტგანყოფილებებმა.

გამა.

1-ლ ქ. მ. დ. მე-5 პარტკონფერენცია

1-ლ ქ. მ. დივიზიის მეხუთე პარტკონფერენცია გაიხსნება ქალ. ქუთაისში 1926 წლის 17 იანვარს, საღამოს 5 საათზე შემდეგი დღის წესრიგით:

1. მეთოთხმეტე ყრილობის შედეგები, 2. პოლიტსამმართველოს მოხსენება, 3. პოლიტგანყოფილების მოხსენება, 4. დივპარტ. კომისიის მოხსენება, 5. პარტაღმშენებლობის საკითხი.

თანამოხსენებით ახ. ლ. კ. კ. მუშაობის შესახებ.

6. სააგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობა, 7. სამხედრო აღმშენებლობის ამოცანები, 8. არჩევნები დი. პარტ. კომისიისა და დელეგატების საარმიო კონფერენციაზე.

1-ლ ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტგანყოფილება.

თბილისის მაზრის თემაღმასკომების თავმჯდომარეების და თემკომების მდივნების თათბირი

29 დეკემბერს გაიხსნა თემაღმასკომების თავმჯდომარეებისა და თემკომების მდივანთა თათბირი. თათბირზე გამოცხადდა 10 მდივანი და 18 თავმჯდომარე. დღის წესრიგში დასმულია შემდეგი საკითხები: სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფა, საბჭოების გადარჩევა, უკვე ჩატარებულ უპარტიო გლეხთა კონფერენციების შედეგები და ადგილობრივი მოხსენებანი 3 თემკომისა და 3 თემაღმასკომისა.

დილის სხდომაზე განხილულ იქნა ამხ. გავაშელის მოხსენება სასოფლო-სამეურნეო გადასახადების აკრეფის შესახებ თბილისის მაზრაში. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიუხედავათ ზოგიერთ თემაღმასკომების საუკეთესო მუშაობისა გადასახადების აკრეფათ, მაინც მაზრაში არ არის შესრულებული დავალების 25 პროცენტი. ნაცვლად 65 პროცენტისა აკრეფილია 40 პროცენტი სასოფ.-სამეურ. გადასახადისა, ეს აიხსნება იმით, რომ გლეხებს შესაფერისად არა აქვთ ახსნილი გადასახადების აკრეფის წესი. ამ საკითხმა გამოიწვია გაცხოველებული აზრთა-გაცვლა-გამოცვლა. კამათში მონაწილეობა მიიღო 20 ამხანაგმა. ამხანაგების უმრავლესობა მოითხოვდა კანონიერ ზომების მიღებას „კულაკების“ წინააღმდეგ, რომლებიც განგებ გაურბიან გადასახადების გაღებას.

ბევრი ამხანაგები აღნიშნავდენ თემაღმასკომების სისუსტეს გადასახადების აკრეფის საქმეში.

კამათის შედეგი ის იყო, რომ სასოფ.-სამეურ. გადასახადების ასაკრეფად გარკვეულ იქნა ისეთი ხაზი რომელიც სწორათ გაატარებს პარტიის პოლიტიკას სოფლად.

კონკრეტიული რეზოლუციის შემუშავება მიენდო ექვსი კაცისაგან შემდგარ საგანგებო კომისიას, რომელშიაც შედიან: ამხ. გავაშელი, გალუსტოვი, კოსტავა, ლეჟავა, წითლიძე და ფირიაშვილი.

თათბირის მიერ მიღებულია შემდეგი რეზოლუცია:

ვაღიარებთ რა თბილისის მაზრაში სასოფ.-სამეურ. გადასახადის სუსტად აკრეფას (1925 წლის დეკემბრის ბოლომდის ნაცვლად 65 პროცენტისა შემოსულია 40 პროცენტი). თათბირის აზრით ამ სისუსტის მიზეზებს წარმოადგენს შემდეგი:

1) აუკრეფავი გადასახადები თემის ადგილობრივი კომისიების მიერ თავის დროზე არ იყო მხედველობაში მიღებული, რასაც შედეგად მოჰყვა გლეხობის ერთი ნაწილის უკმაყოფილება.

სრ. ადგილობრივ ტრანსპორტზე მომუშავეთა კავშირის მე-5 ყრილობა

მე-8-ე სხდომა

24 დეკემბერს დილის სხდომაზე გაგრძელდა კამათი „ზაკპოგრუზის“ მუშაობის ირგვლივ.

კამათისა და საპასუხო სიტყვის შემდეგ ყრილობამ „ზაკპოგრუზის“ მუშაობა დამაკმაყოფილებლათ აღიარა. დაწვრილებითი რეზოლუციაში ყრილობა აღიარებს იმ ნაკლსაც, რომელსაც ადგილი ჰქონდა საზოგადოების წარსულ მუშაობაში და მიუთითებს იმ ღონისძიებებზე, რომელიც ცხოვრებაში უნდა გატარდეს.

მე-9 და მე-10 სხდომა

24 დეკემბრის საღამოს სხდომაზე და პარასკევს 25 დეკემბრის დილის სხდომაზე მოსმენილ იქნა მოხსენება საზ. „ტრანსპორტის“. საზ. მუშაობა ცნობილ იქნა დამაკმაყოფილებლად და მომავალი მუშაობისათვის კი მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია საჭირო ზომები, რომელიც საზოგადოებამ ცხოვრებაში უნდა გაატაროს.

მე-11 სხდომაზე

პარასკევს, ამხ. ანტონიანმა გააკეთა მოხსენება ცენტრ. გამგეობის მუშაობის მომავალ პერსპექტივების შესახებ.

ყრილობამ მიიღო მთელი რიგი ღონისძიებებისა როგორც საორგანიზაციო, სატარიფო საეკონომიო, ისე კულტგანმანათლებელ სფეროში, რომელიც მომავალ ცენტ. გამგეობამ ცხოვრებაში უნდა გაატაროს.

შემდეგ მოხდა ცენტ. გამგეობის და სარევიზიო კომისიის არჩევნები.

ცენტ. გამგეობაში აირჩიეს 17 კაცი; სარევიზიო კომისიაში კი 5 კაცი.

ამით დაიხურა ყრილობა. შაბათს დილით შესდგა ახლად არჩეულ ცენტრალურ გამგეობის პლენუმი.

პლენუმმა პრეზიდიუმში აირჩია ხუთი ამხანაგი: ფრუიძე (თავმჯდომარე), ანთაძე (მდივანი), ანტონიანი (სატარ.-საეკ. განყ. გამგეთ), ორჯონიკიძე (კულტ. განყ. გამგეთ) და ხუჩუოვი (ახალგაზრდათა შორის სამუშაოდ).

პროფმუშაობის ქრონიკა

ფოთის საქალაქო პროფბიუროში

— შრომის ინსპექტორი. ფოთის შრომის ინსპექტორის თანამდებობაზე ფოთის საქალაქო პროფბიურომ წამოაყენა ამხ. სოლ. პაიჭაძის კანდიდატურა. ეთხოვა საქართველოს პროფსაბჭოს და შრომის სახ. კომისარიატს მისი დამტკიცება ინსპექტორად.

მეზღვაურთა კავშირში

— ფოთის პორტის კომიტეტის საქმიანობის გამოკვლევა. მეზღვაურთა კავშირის ც. გ. გამოიკვლია ფოთის პორტის კომიტეტის მუშაობა, რაც მოწონებულ იქნა. მიეცა წინადადება კომიტეტს შემდეგში იხელმძღვანელოს იმ დირექტივებით, რომლებიც გამომდინარეობენ დამთვალიერებელ კომისიის ოქმიდან.

დღით-დღ

რა ხდება [illegible]

ჭირის გავრცელების მიზეზია საკარანტინო წესების დარღვევა, საექიმო პერსონალის სიმცირე და საექიმო შრატის ნაკლებობა.

სოფლის ნაწარმოების დამზადება

ღვინის დამზადება, რომელიც ოქტომბერში დაიწყო, იზრდება (წინა თვესთან შედარებით გაიზარდა 34,6 პროც.-ით); სულ დამზადებულია 152,4 ათასი ვედრო, ე. ი. 265,6 ათასი ვედრო მიმდინარე წლის 1-ლ ოქტომბრიდან, რაც წლიური დამზადების გეგმის 17,7 პროც. შეადგენს.

არის ნიშნები, რომ ღვინის ბაზარზე არსებული დეპრესია, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ უკანასკნელ წელს, თანდათანობით ისპობა და ჩვენი ღვინო კვლავ საპატიო ადგილს დაიჭერს საბჭოთა რესპუბლიკების ბაზარზე.

ამის მთავარ ხელის შემწყობ გარემოებათ უნდა ჩაითვალოს: ერთის მხრივ, ღვინის ნაკლები მოსავალი ყირიმსა და თურქესტანში და მეორე მხრივ კა—ის ორგანიზაციული ზომები, რომლებიც გატარებულია ჩვენში ამ უკანასკნელ ხანებში.

არაყის და სპირტეულის დამზადება წარმატებით მიმდინარეობს. ღვინო-სპირტეულის შემაგრება რუსეთის მომხმარებელთა გემოვნებასთან შეფარდებით საგრძნობი სტიმულია ჩვენში სპირტეულის წარმოება-დამზადების გაფართოებისათვის.

საანგარიშო თვეში სულ დამზადებულია 417,2 ათასი გრადუსი სპირტეული—100,9 პროცენტით მეტი, ვიდრე ოქტომბერში; მიმდინარე წელს სულ დამზადდა 624,9 ათასი გრადუსი, რაც წლიური გეგმის 31,2 პროც. შეადგენს.

როგორც სჩანს, სპირტეულის დამზადების წლიური გეგმა საგრძნობ შემცირებით არის შედგენილი და, რამდენათაც მასთან არის შეფარდებული საჭირო კრედიტების აღება, სასურველია გეგმის გადასინჯვა.

სალაროების რევიზია

[illegible]ბერს საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციის გეგმათა [illegible] განყოფილებამ მოახდინა სალაროების უეცარი მასიური რევიზია. გამოკვლეულ იქნა სამეურნეო ორგანოების რვა სალარო.

სალაროების რევიზიამ დაამტკიცა, რომ მუშ. თა და გლეხთა ინსპექციის მიერ მიღებულმა ზომებმა მიაღწია მიზანს. სალაროებში ყველაფერი რიგზე აღმოჩნდა.

ამასთანავე ამავე რევიზიამ გამოარკვია მთელი რიგი ფორმალური დეფექტები მოლარეების მუშაობაში. ეს დეფექტები მდგომარეობენ იმაში, რომ მოლარეები ხშირათ ფულს აძლევენ ხელწერილის ქვეშ სათანადო ორდერის გამოუწერელათ. სალაროების წიგნებში გაკეთებული არ არის ყოველდღიური მუშაობის ჯამი.

ამ დეფექტების გამოსწორება ადვილათ შეიძლება.

მომავალში საქართველოს მუშათა და გლეხთა ინსპექციას განზრახული აქვს უფრო ფართო მასშტაბით ჩაატაროს სალაროების გამოკვლევა; ამ საქმეში მუშათა და გლეხთა ინსპექციის ინსპექტორების გარდა ჩაბმული იქნებიან თბილისის აღმასკომის საკონტროლო განყოფილების, ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოს საკონტროლო განყოფილების ინსპექტორები და საუწყებათაშორისო კონტროლიორები.

მომავალში, სალაროების რევიზიის გარდა, მუშათა და გ[illegible] ინსპექციას განზრახული აქვს რ[illegible]ზია გაუკეთოს ანგარიშ ქვემდებარე პირებსაც.

ტელეფონის ქსელის გაფართოება

საქართველოში ტელეფონის ქსელი სუსტათაა განვითარებული. ზოგიერთ რაიონებში ტელეფონი სულ არ არის. ტელეფონის საჭიროება კი დიდია, რადგან გაძლიერებული აღმშენებლობა, სამეურნეო აღორძინება და მოსახლეობის კულტურული დონის ზრდა მოითხოვს უფრო გაცხოველებულ ურთიერთობას სხვადასხვა რაიონებს შორის.

ადგილობრივმა ორგანიზაციებმა შუამდგომლობა აღძრეს სახალხო კავშირის ამიერ-კავკასიის ოლქის წინაშე ტელეფონის ქსელის გაფართოების შესახებ; ამასთანავე ეს ორგანიზაციები პირდებიან სახალხო კავშირის ამიერ-კავკასიის ოლქს მატერიალურ დახმარებას ქსელის გაყვანის საქმეში.

ამის გამო ოლქის სამმართველომ გადასწყვიტა არსებული ქსელის შეკეთება და ახალი ხაზების გაყვანა. პირველ რიგში საქართველოში დაიწყება არსებული სატელეფონო ჯგუფების შეერთება გრძელი ხაზებით და ეკონომიური და ადმინისტრატიული მნიშვნელობის ტელეფონის ხაზების საერთო რესპუბლიკანური ქსელის შექმნა.

საქართველოს ცენტრი შეერთებული იქნება სამხრეთ-ოსეთთან, აჭარისტანთან, აფხაზეთთან და ყველა მაზრებთან. განზრახული ქსელი მისი სიგრძისა და მნიშვნელობის გამო იქნება ორმავთულიანი. ამიერკავკასიის პირობები მოითხოვს მავთულის დიამეტრის გადიდებას 4 მილიმეტრამდე.

ამას გარდა განზრახულია ახალი ქსელის გაყვანა თბილისს, ჭიათურასა და ფოთს შუა; ეს ქსელი საჭიროა შავი ქვის ექსპორტის საჭიროებების დასაკმაყოფილებლად და კავშირის დასამყარებლად თბილისსა და ფოთს შუა.

განზრახულია ახალი ქსელის მავთულები იქნეს ბრინჯაოსი. ქსელის სრული დატვირთვის მიზნით, განზრახულია ბრინჯაოს ცალკე შტოს გაყვანა ქუთაისიდან ბათომამდე.

ახლო ხანში ახალი ქსელი გაყვანილი იქნება 4000 კილომეტრის მანძილზე.

რკინის გზებზე

თბილისის სადგურის განსატვირთავად

ა. / ჯ. რკ. გზების სამმართველოს შ. მ. ო.-ს ბიუროსთან არსებულმა კომისიამ განიხილა საკითხები თბილისის სადგურში სხვადასხვა განყოფილებათა მუშაობის მოწესრიგების შესახებ და გამოიმუშავა მთელი რიგი ღონისძიებებისა.

მგზავრთა მოძრაობის მოწესრიგებისათვის კომისიას ყველაზე უფრო მისაღებად მიაჩნია გერმანული სისტემის შემოღება (სვლა მარჯვნივ). ამ სისტემის მიხედვით მგზავრი შედის სადგურში მარჯვენა მხრიდან, სადაც გამოკიდებული უნდა იქნეს: მატარებლების მიმოსვლის ცხრილი, სამგზავრო და ბარგის გადაზიდვის ტარიფი და უნდა მოეწყოს კუთხე, სადაც გაკრული იქნება ყოველგვარი განცხადებები, რომლებიც მატარებლების გასვლას და სხვ. შეეხებიან. იმ შემთხვევაში თუ მგზავრი ამით ვერ დაკმაყოფილდა მიმართავს ცნობათა ბიუროს.

სამგზავრო ბილეთების გაცემა იწარმოებს ცალკე ოთახში და ყოველი სალაროს წინ გამოკიდებული იქნება ბილეთის ფასები. სალაროების გვერდით იდგმება პატარა მაგიდები ხელის ბარგისათვის.

ყოველგვარ სამგზავრო მატარებლებზე ბილეთების გაყიდვა იწარმოებს განსაზღვრული ნორმით ვაგონთა ნომრების აღნიშვნით. უკანასკნელებზე კი ასეთები გამოკიდებული იქნებიან თვალსაჩინო ადგილებზე.

მგზავრების უკეთ განაწილებისათვის, ვაგონებში, მატარებლების შემადგენლობა დაყოფილი იქნება გაცემული ბილეთების მიხედვით.

მატარებელთა გასვლის ნიშნები მიცემული იქნება ელექტრონის ზარის საშუალებით.

ჩამოსულ მგზავრთა სწრაფად გასასვლელად სადგურიდან განზრახულია მოეწყოს გასასვლელები: ერთი მე-2 კლასის დარბაზიდან და მეორე მესამე კლასის დარბაზიდან, რისთვისაც ბუფეტების უკანასკნელი ფანჯრები გადაკეთდება კარებებად.

ავჭალის მხრიდან ჩამოსული მგზავრებისათვის მოეწყობა სპეციალური გასასვლელი, ხოლო ნავთლუღის მხრიდან ჩამოსულ მგზავრებს გაატარებენ ის გასასვლელიდან, რომელიც ამჟამად უკავიათ რკინის გზების მცველებს (სადგურის აღმოსავლეთით) სადგურის ყველა შესავალი და გასასვლელები დანომრილი და შესაფერი წარწერით იქნებიან მომარაგებული.

ცნობათა ბიუროში დანიშნულ იქნებიან კარგად მომზადებული აგენტები, რომლებიც სწრაფად გაერკვევიან ყოველგვარ საკითხებში.

კომისია მოითხოვს, რომ ბიუროს ოთახში ეკიდოს საბჭოთა კავშირის და ევროპის რუკები, ახალი ტარიფები მგზავრობაზე და სხვა საჭირო მასალები. ამასთანავე საჭიროდ არის ცნობილი, რომ იქ გამოკიდებულ იქნეს თბილისის სახელმწიფო და სხვა დაწესებულებების სიები მისამართებით და აგრეთვე სასტუმროების თავისუფალ ნომრების სიები.

გამომუშავებულია მთელი რიგი ღონისძიებებისა, საბილეთო კასების მუშაობას გასაადვილებლად. ბილეთების გაყიდვა განზრახულია მოეწყოს ავტომატიურად, რაც მოსპობს რიგებში უმიზნოთ დგომას.

მოწესრიგებული იქნება აგრეთვე ბარგის მიღება-გაცემის საქმეც. კომისიას რაციონალურად მიაჩნია ბარგის გადასატანად შემოიღოს მოტორიანი საზიდავები.

ამ ღონისძიებათა გატარება კომისიამ მიანდო გზათა სამმართველოს, რაც საგრძნობლად განტვირთავს თბილისის სადგურს.

1905 წელი ბულგარეთში

წერილი გ. ბალაკოვისა

1905 წლის რევოლიუციის ამბავი ბულგარელმა მუშებმა დიდი სიხარულით მიიღეს. მათ ეგონათ, რომ დაიწყო მთელ დედამიწის ზურგზე არსებული ბურჟუაზიული წესწყობილების დასასრული. რუსეთის რევოლიუცია ყოველთვის დასავლეთ-ევროპის პროლეტარული რევოლიუციის შესავლად ითვლებოდა.

მუშათა პარტია ბულგარეთში რუსეთის რევოლიუციური მოძრაობის უშუალო გავლენის ქვეშ გაჩნდა. სოციალიზმი, როგორც მარქსისა, ისე მარქსის წინანდელი, ჩვენში რუსულმა ლიტერატურამ შემოიტანა და გაავრცელა. ამ გარემოებამ კეთილის მყოფელი გავლენა იქონია მუშათა მოძრაობის განვითარებაზე ბულგარეთში. ბულგარელ მუშებს იგივე საკითხები აღელვებდათ და აინტერესებდათ, როგორიც რუსის მუშებს. იდეოლოგიური მხრივ ბულგარეთის მუშათა მოძრაობა რუსეთის მუშათა მოძრაობის შემოკლებული გამოცემა იყო. მარქსისტულ ლიტერატურის უდიდესი ნაწილი ბულგარულად იყო გადათარგმნილი. არსებობდა ამ ლიტერატურის ბულგარული კომენტარიებიც. ჩვენ რუსის მარქსისტების იდეოლოგიური ცხოვრებით ვცხოვრობდით.

ბულგარული პარტია გაზეთ „ისკრის“ გამოსვლის დღიდან აღორძინდა. რუსეთის მუშათა მოძრაობის აღმაფრენამ ბულგარული მოძრაობის აღმაფრენაც გამოიწვია. რუსული გამოცემების გასავრცელებლად ბულგარეთში ლიტერატურის ტრანსპორტი მოეწყო ოდესასა და ვარნას შორის. მოეწყო აგრეთვე საგანგებო ორგანიზაცია ბულგარული პასპორტების მოსაპოვებლად უცხოეთში მყოფ ამხანაგებისათვის. რევოლიუციური მარქსიზმის გამარჯვების იდეამ, რომლითაც „ისკრა“ გამსჭვალული იყო პირველი ნომრიდან, შეგვაძლებინა ზოგიერთი ტაქტიკური საკითხი გადაგვეწყვიტა, რომლის შესახებ თავდაპირველად შეთანხმებული არ ვიყავით. ლენინის ბროშიურამ „რა ვაკეთოთ“ განსაკუთრებით ბრწყინვალე როლი შეასრულა ამ მხრივ. სწორედ რუსის მუშების რევოლიციური აღფრთოვანების დროს იყო, რომ ბულგარული პარტია განთავისუფლდა ოპორტუნისტური ელემენტების ეგრეთწოდებულ „ფართო სოციალისტების“ გავლენისაგან და რევოლიუციური მარქსიზმის პარტიათ გარდაიქცა. 1905 წლის რევოლიუციამ ჩვენი პარტია საბოლოოდ დააყენა ამ პოზიციაზე. იმის წინათ ბულგარეთში არ ყოფილა მუშათა მოძრაობა. მუშებს არ შეეძლოთ ბრძოლის დაწყება და უკეთესი ბედის მოპოვება. ეს იყო დიფერენციაციის ეპოქა, როცა მუშები წვრილ ბურჟუაზიას ეყოფოდენ და თავის კლასობრივ პარტიას ქმნიდენ. რასაკვირველია, 1905 წლის რევოლიუციას არ შეეძლო ბულგარულ მოძრაობაში ის როლი შეესრულებია, რომელიც შემდეგ 1917 წლის რევოლიუციამ შეასრულა. მაგრამ მან ამ ქვეყანაში თავისი საქმე გააკეთა მაინც, რევოლიუციური აღფრთოვანება გააძლიერა, გამოააშკარავა, რომ რევოლიუცია ერთად ერთი საშუალება იყო თავისუფლების მისაღწევათ და განამტკიცა მარქსიზმი, როგორც ბულგარეთის მუშათა კლასის იდეოლოგია.

მაგრამ მაინც არ უნდა ვიფიქროთ, რომ 1905 წლის რევოლიუციამ მხოლოდ ბულგარული მუშათა კლასის ზედა ფენებზე იქონია გავლენა. მან ბევრად უფრო ფართო პროლეტარული ფენები შეანძრია. წინათ არასოდეს არ შემდგარა ასეთი კრებები და ასეთი მიტინგები. როცა ბულგარელი მუშების მასებმა თანამოძმე რუსის მუშების მოქმედების ამბები გაიგეს, ენტუზიაზმით გაიმსჭვალენ და მათ საბოლოო გამარჯვების იმედი მიეცათ.

მთელი წლის განმავლობაში ბულგარელი ამხანაგები დაძაბული ყურადღებით ადევნებდენ თვალყურს რუსეთის ამბებს. ისინი შეხაროდენ რუსი მუშების წარმატებას და მისტიროდენ მათ დამარცხებას. მე მახსოვს, როგორ მოუთმენლად ელოდენ ისინი ბულგარეთის ნაპირზე სამხედრო გემის „პოტიომკინის“ მოსვლას. ისინი მთელ ღამეებს ათენებდენ ზღვის პირას ვარნაში და ამაოდ უცდიდენ აჯანყებულ გემს, რომელიც კონსტანცაში გაჩერებული იყო (რუმინია). რამდენიმე მეზღვაური ამ გემიდან ბულგარეთში მოვიდა, მაგრამ მთავრობამ განკარგულება გასცა, რომ ისინი გაეძევებინათ. თუმცა, ბულგარეთის მთავრობა რუსოფობი იყო, მაგრამ ამან ხელი არ შეუშალა რუსეთის მეფის მთავრობის სასარგებლო მოქმედებას. ბულგარელი ბურჟუაზიის კლასიური ინტერესები მაღლა იდგა მთავრობის რუსოფობ ტენდენციებზე.

1905 წლის რევოლიუციამ ბულგარიაში მრავალი კრებები გამოიწვია რუსეთის მეფის პოლიტიკის წინააღმდეგ. ბულგარეთის მთავრობის ყოფა-ქცევამ „პოტიომკინის“ მატროსების წინააღმდეგ, პარტიას შესაძლება მისცა, რომ მთავრობის პოლიტიკა გამოეაშკარავებინა და მუშათა მასებისთვის რევოლიუციონური ბრძოლისაკენ მოეწოდებინა.

ბულგარეთის რევოლიუციური მოძრაობა თავიდანვე რუსეთის მოძრაობასთან იყო შეკავშირებული. 1905 წელმა საბოლოოთ განამტკიცა ეს კავშირი.

განვლილი ბრძოლის მოგონებიდან

1905 წლის რევოლიუციის დროს მე ვიყავი ქ. ნახიჩევანში. ბრძოლის ქარიშხალმა, რომელმაც რუსეთში შეანძრია თვითმპყრობელობის საძირკველი, სავსებით ვერ მოაღწია ამ ყოვლად ჩამორჩენილ კუთხეში. იმ ხანებში მე სხვებთან ერთად ვმუშაობდი ჯულფის რკინისგზაზე, რომელიც ჯერ დამთავრებული არ იყო, და რომლის ლიანდაგის დაგება კიდევ გრძელდებოდა. ამ მუშაობაზე ბევრი მუშა-ხელი იყო დაგროვილი. ეს იყო ის ძალა, რომელზედაც ამ ჩამორჩენილ კუთხეში უნდა დაყრდნობოდა რევოლიუცია.

ნახიჩევანში იდგა სამხედრო ნაწილები, ჩვენი მიზანი იყო როგორმე დაგვეჭირა კავშირი ჯარისკაცებთან და მათი შემწეობით განგვეხორციელებინა ჩვენი რევოლიუციონური მიზნები. იმდენათ, რამდენათაც პირობები ხელს გვიწყობდენ, აგიტაციის, პროპაგანდის საშუალებით ვცდილობით აგვეხსნა ყველასათვის მნიშვნელობა იმ ბრძოლისა, რომელსაც აწარმოებდა რუსეთის პროლეტარიატი, და ამასთან ერთად მოუწოდებდით მშრომელ მასას მხარი დაეჭირა მებრძოლებისათვის. სამხედრო წესები ადმინისტრაციის მიერ უკვე გამოცხადებული იყო. ამას დაერთო სისხლის ღვრა სომხების და თათრების შორის. ბრძოლა მათ შორის მეტად გამწვავებული იყო. არც ერთი არ ზოგავდენ ერთმანეთს. სომხების და თათრების სოფლები ცეცხლში იყვენ გახვეული. დიდი, პატარა, ქალი და ბავშვი სისხლის მორევში ცურავდა.

ყველა ჩვენგანი კარგათ გრძნობდა მთავრობის ხელს ამ გულშემზარავ საქმეში. მთელი ჩვენი ყურადღება ამ ბოროტი საქმეზე მიიპყრო, რათა სისხლის ღვრა გაგვეჩერებინა. ერთ დღეს, ქალაქთან ცოტა მოშორებით დიდ სახლში, რომლის პატრონი გაქცეული იყო, მოვაწყეთ კრება, რომელზედაც დაესწრენ როგორც მუშები, ისე ჯარისკაცებიც. კრების დღის წესრიგში იდგა ორი საკითხი. პირველი საკითხი იყო: მიმდინარე მომენტი, რომლისმოხსენება უნდა გაეკეთებინა რკინისგზის ფერშალს; მეორე საკითხი იყო: სომხების და თათრების ომი.

ამხ. დალაქიშვილმა გააცნო კრებას რუსეთის მაშინდელი პოლიტიკური მდგომარეობა. კრებამ დაავალა ა. დალაქიშვილს წასულიყო თბილისში მომავალი მუშაობისათვის დირექტივების მისაღებათ—მეორე საკითხის გამო კრებამ აირჩია კომისია ამხ. ზუბალევის თავმჯდომარეობით, და მიანდო მის პირდაპირ მხარეებთან მოლაპარაკებით შეეჩერებინა სისხლის ღვრა.

დაშნაკელების სამხედრო ცენტრი იყო ქ. ნახიჩევანის შუა ნაწილი, კერძოდ: ბაზარი. თათრების სამხედრო ცენტრი იყო ქალაქის განაპირა ნაწილი. მოლაპარაკება ჯერ გათავებული არ იყო, როდესაც მე დამიჭირეს, და თავი ამოვყავი სამხედრო ციხეში, რომელიც ქალაქიდან დაშორებული იყო ერთი ვერსის მანძილზე. ამნაირათ მე მოვწყდი ფიზიკურად ადგილობრივ ამხანაგებს, მოვწყდი ბრძოლას.

ამხანაგები მე არ მივიწყებდენ დროგამოშვებით მომდიოდა მათგან წერილები, საიდანაც ვტყობილობდი, რომ ბრძოლა ისევ გრძელდებოდა. ამხანაგი გიორგი ელიავა. მატყობინებს თბილისის თვითმართველობის დარბაზში მოწვეულ ხალხის ამოჟლეტას. საშინელ სურათს ვგრძნობ წერილის წაკითხვის დროს, თვალები ცრემლებით მევსება: ვიცი უძლური ვარ ოთხ ცივ კედელს შუა. ვაღებ საკანის ფანჯარას, და ვსუნთქავ ცივ ჰაერს. საკანის კარებთან ყარაულებს სცვლიან. მესმის ორი ოფიცრის საუბარი. ერთი მათგანი დაცინვის კილოთი უხსნის მეორეს საოლქო კომიტეტის მიერ გამოშვებულ ფურცლის შინაარს. მათი აზრით მუქთახორები ჩვენა ვართ ჩვენ, ვინც მშრომელ მასის ბედილბლისათვის ვიბრძვით.

გადის დრო და მატყობინებენ ნაძალადევის ჯალათების მიერ აწიოკების შესახებ. ცხრა საუკეთესო ჩვენი ამხანაგი, რომლნიც იცავდენ მუშათა რაიონს, გამოესალმენ წუთისოფელს. მათ შორის გიორგი ელიავაც. „გენერალურმა რეპეტიციამ“ ბევრი საუკეთესო ამხანაგი შეიწირა. მსხვერპლმა მაინც მოიტანა ნაყოფი. ეს ნაყოფი არის დიდი ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარი.

ლ. მიროტაძე.

მუშათა ცხოვრება

მოსკოვის ქუჩებზე

(მუშის მოგონება 1905 წ. რევოლიუციიდან)

„ცარ ისპუგალსია
იზდალ მანიფესტ,
ვსემ მერტვიმ სვობოდა,
ჟივიხ პოდ-არესტ!"..

ხალხური

17 ოქტომბრის მანიფესტის შემდეგ 1905 წელს მთელი რუსეთი თითქმის მიტინგების არენად გადაიქცა, სადაც მხოლოდ ნიკოლოზის დაცინვასა და მისი მინისტრების გამასხარავებაზედაც ბევრი ხალხური ლექსები იყო ხმარებაში. ზემორე მოყვანილი პატარა ლექსიც მიძღვნილია ხალხისაგან 1905 წლის რევოლიუციის დროს, როდესაც ცნობილმა მეფის ჯალათმა ტრეპოვმა ბრძანება გამოსცა პეტერბურგში ჯარისადმი: „ცარიელი პატრონებით არ ისროლოთ! ტყვიას ნუ დაზოგავთ!"...

მოსკოვის [illegible] დეკემბრის [illegible] ტყვიებს, [illegible] ზარბაზნების ყუმბარებსაც [illegible] ადმირალი დუბასოვი, [illegible] კი აჯანყება ჩაექრო ცეცხლითა და მახვილით.

ტვერის ბულვართან ახლოს მონასტერია. ამ მონასტერის მაღალ სამრეკლოზე სდგას რამდენიმე ტყვიამფრქვეველი და დაუზოგავად მუსრს ავლებს მათ, ვინც დეკემბრის დღეებში იარაღით ხელში ბარიკადებზე ბრძოლა გამოუცხადა თვითმპყრობელობას... ეს ადგილი სტრატეგიულ პუნქტს წარმოადგენს და სიმაღლიდან დაჰყურებს მოსკოვის ყველა ქუჩებს, სადაც პარტიზანული ბრძოლაა გაჩაღებული.

აგერ მოდის კავკასიელთა მებრძოლი „დრუჟინის" პატარა ჯგუფი სცდილობენ როგორმე ჯარის ნაწილებს წააწყდენ და სროლა აუტეხონ მაუზერებიდან; ჯარიც გამოჩნდა, მაგრამ ვერაფერს აჩნევს.

— ტრახ... ტრახ... ტრახ...—ისმის „[illegible]ლების" მაუზერებიდან. ოფიცერი თავის რაზმით ქუდ მოგლეჯილი უკან გარბის, ვინაიდან შეშინებულს ვერ გაურჩევია, საიდან ისვრიან. ამ რევოლიუციონერთა პატარა ჯგუფმა შიშის ზარი მოჰგვარა ოფიცერს. „დრუჟინელები" სცდილობენ, ჯარისკაცები არ დააზარალონ, მხოლოდ ოფიცრობას არავინ არ ინდობს, ასეთია ბრძანება მოსკოვის მუშათა დეპუტატების საბჭოსაგან — „ჯარისკაცებს ფრთხილად მოეკიდეთ, ისინი სალდათის შინელში იგივე მუშები და გლეხებია".

ბრძანებას ყველა ემორჩილება.

ტვერის ქუჩა პირდაპირია. სახლების აივნების მეტი ნაწილი ქუჩისკენაა. აქ უმთავრესად მოსკოვის ბურჟუები ბინადრობენ, მაგრამ აქაიქ რევოლიუციონერთა „დრუჟინის" პატარა ჯგუფები აქაც ახერხებენ ჯარის ნაწილებს ზურგში მოუარონ... მაუზერთა ზალპი იწვევს გააფთრებულ სიმხეცეს და ხმარებაში ადგილი ზარბაზნების ყუმბარებს დაეთმო. მტერი არა სჩანს, მაგრამ ყუმბარები მაინც ანადგურებენ ქუჩის გასწვრივ სახლების აივნებს, რომლებიც შემდეგ საზარლად გამოიყურებიან გაპარტახებულები...

ქალაქში ხმა გავარდა, რომ წითელ პრესნელების დრუჟინამ არტილერისტებს ზარბაზანი წაართვა; ეს იწვევს მებრძოლთა რიგებში დაუსრულებელ აღტაცებას და ბრძოლის ენერგია მტკიცდება...

ამ ხმას თან მოჰყვა მეორე უფრო გამამხნევებელი ხმა: რევოლიუციონ[illegible]-ერთ ქუჩაზე ხელში ჩა[illegible] მოსკოვის „ოხრანკის" უფროსი, რომელიც სიკვდილით იქვე [illegible] ბარიკადებთან... სიკვდილის განაჩენი ამ ჯალათს რევოლიუციონერთა სამსჯელმა გამოუტანა.

ტვერის და სადოვოი ქუჩების კუთხეში, სადაც რევოლიუციონური წითელი ჯვრის სანიტარები დაჭრილ ამხანაგებს უვლიდენ და პატრონობდენ, სასტიკი შეტაკებები ხდებოდა. ქუჩაში დაცემულ დაჭრილს ერთ დრუჟინელს ექიმი ეხმარება...

[illegible] მოვალეობა ხომ ყველასათვის ცხადია, მაგრამ მეფის ჯალათებმა ეს პატიოსანი ექიმი, გვარად ვოროზბიევი რევოლიუციის მოსარჩლედ მონათლეს... მას უბრალო დახმარების აღმოჩენის მიზეზით დაჭრილ მუშისათვის, პოლიციის ბოქაული ხმლით თავსა ჰკვეთს...

ბუტირკის ციხესთან დოლგორუკოვის, „ლესნოი" და „პალიხის" ქუჩების კუთხეში ნამდვილი ნადირობაა გამართული ყველაზე, ვინც ქუჩაზე გამოჩნდება. ამ ციხის ეზოში დამცველი ჯარის ნაწილია ჩასაფრებული; აქვე არიან აგრეთვე ციხეში მოსამსახურე ზედამხედველები. ყველანი ვინტოვკებით არიან შეიარაღებულნი, ქუჩაში გამოსვლას და აშკარა ბრძოლას ვერ ბედავენ,—რევოლიუციონურ შურის ძიების ეშინიანთ, მხოლოდ ციხიდან ქურდულად სისრულეში მოჰყავთ ტრეპოვის ბრძანება და ტყვიას არ ზოგავენ...

— ტკაც!—წაიქცა ქუჩაზე გამოსული ცნობის მოყვარე მოქალაქე; მას მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე მოჰყვა; 12 თუ 13 უდანაშაულო ადამიანები გამოასალმეს წუთისოფელს ასეთი ნადირობით ჯალათებმა ბუტირკის ციხის კარებიდან...

ასეთ სურათს წარმოადგენდა მოსკოვის ქუჩები.

1905 წლის დეკემბრის აჯანყების დროს იმ დაუსრულებელ მუშათა კლასის სისხლის ღვრას მეფის ჯალათების მიერ მხოლოდ 1917 წლის ოქტომბრის დიადმა რევოლუციამ მოუღო ბოლო.

დიდება 1905 წელს რევოლიუციაში დაღუპულ მებრძოლთ!

მუშა—უ. ჯაში.

მოხმარების მაგიერ ხელს გვიშლიან

(მთავარ მილიციის საყურადღებოდ)

ხშირი შემთხვევაა, როდესაც რომელიმე ღვინით გალეშილი მოქალაქე, ან ხულიგანი ქუჩაში წესრიგს არღვევს და მის წინააღმდეგ მილიციელი კანონიერ ზომებს ღებულობს (ე. ი. მიჰყავს ის კომისარიატში, რომ დამნაშავემ პასუხი აგოს კანონის წინაშე თავის უმსგავსო და ხულიგანური საქციელისათვის). რა თქმა უნდა, ყოველი პატიოსანი მოქალაქე ვალდებულია ასეთ შემთხვევის დროს დახმარება გაუწიოს მილიციელს, მაგრამ, სამწუხაროდ, ზოგიერთი მოქალაქე დახმარების მაგიერ თავიანთი უხეირო ჩარევით ადმინისტრაციის საქმეში ზოგჯერ ხელს უშლიან.

მაგალითად, ხულიგანი ჰირევულობს, იგინება, ულანძღება, არ მიჰყვება კომისარიატში მილიციელს და ზოგჯერ ხელითაც კი ეჯიბება.

მოთმინებიდან გამოსული მილიციელი იძულებული ხდება ხულიგანი ძალით წაიყვანოს. აი ამ დროს ზოგიერთები მოხმარების მაგიერ, პირიქით, მილიციელს უყვირიან: შენ, ამხანაგო, ნება არა გაქვს ძალით წაიყვანო! ძველი დრო არ გეგონოს და სხვ.

გათამამებული ხულიგანი მასვე იმეორებს: არ წამოვალ! ვერ წამიყვან! ნება არა გაქვს, ძველი დრო აღარ არისო და სხვა მრავალი ასეთები.

ერთი ვკითხოთ ამ ვაჟბატონებს: მაშ, როგორ მოიქცეს მილიციელი?—ნებით ხულიგანი არ მიჰყვება, ძალაც არ იხმაროს? აქ პასუხი ერთია:—ხულიგანთან ერთად უნდა დაისაჯოს მისი დამცველიც და არამკითხე აპეკუნი, რომელიც ხელს უშლის ადმინისტრაციას.

ერთი ასეთი შემთხვევა იყო ამას წინად მე-12 კომისარიატში. შეკრებილა აჟარებული ხალხი და ერთი აურზაურია. ხულიგანი ჰირევულობს ხალხიც მილიციელს უყვირის: ხელი არ ახლო, ნება არა გაქვს ძალით წაიყვანო!

ხულიგანმაც განიმეორა: მე შ[illegible] ვარ და შენ ნება არა გაქვს, რომ კომისარიატში წამიყვანო, ხვალ ფილიპე მახარაძესთან გიჩივლებ და სხვ. მე ძალიან დავინტერესდი და მივედი ახლოს, შევხედე ხულიგანს ვიცანი. ძველი პროფესიონალური ქურდი ბეჟანა კალანდაძე.

დროა, ამ უწესოებებს მოეღოს ბოლო.

მუშკორი მილიციელი.

გამოგზავნილი წერილებიდან

— **მხეცი კონდუქტორი.** ტრამვაის კონდუქტორი, ვინმე მახია ძალიან უხეშად ეპყრობა მგზავრებს და ხშირად უმიზეზოდ ლანძღვითაც უმასპინძლდება.

საჭიროა მისი ჭკუაზე მოყვანა.

მგზავრი.

— **ასეთი მსმენელი მუშფაკს არცხვენს.** ქართულ მუშფაკში სწავლობს ვინმე ჯუმბურ კახაია, რომელიც თავის ყოფა-ქცევით ქუჩის ბიჭს წარმოადგენს. ამასთან ერთად უყვარს „ტარიელ მკლავაძეობა". თავის სტიპენდიის უზნეო ქალებში და ლოთობაში ფლანგავს. ასეთი პირი უნდა რკინის ცოცხით გაიწმინდოს.

შ—არი.

— **„უბედური ბედნიერება".** კალინინის ქუჩა (ყოფ. ნიკოლოზის ქ.) ხელახლად მოკირწყლეს, შეასწორეს, მაგრამ, საუბედუროდ, იმოდენა სილა წააყარეს, რომ ქუჩაში სულ ან ტალახი, ან და მტვერის კორიანტელი სდგას და ხალხი მტვრით იხრჩობა. მოგვხედეთ.

ერთი მსხვერპლთაგანი.

— **სახლის პატრონი თავხედი.** [illegible] შესახვ. № 44 სახლის პატრონმა შამაია ოსიპოვმა ისარგებლა ჩემი ჯარში გაწვევით და ოჯახი კარში გამომიყარა. სასამართლომ ბინა ისევ მე მაკუთვნა, მაგრამ სახლის პატრონი არ მიცლის.

მათათო ბოხიკაშ[illegible]

მუშათა ქრონიკა

— **დამატებითი აღრიცხვა.** კულტკომისიამ დაადგინა მოხდეს დამატებითი აღრიცხვა ქეჩის ქარხანაში წერა-კითხვის უცოდინარ მუშებისა და ყველა წერა-კითხვის უცოდინარები გადაიგზავნოს სალიკვიდაციო პუნქტებში.

— **აქაც ვახდენთ აღრიცხვას.** ტყავტრესტის ქარხნის კულტკომისიამ დაავალა ამხ. ბაღდასაროვს ცენტრალური ფეხსაცმელების ქარხანაში მოახდინოს წერა-კითხვის უცოდინარ მუშა-მოსამსახურეთა აღრიცხვა.

— **საბავშვო ბაღის გახსნისათვის.** ვინაიდან საბავშვო ბაღის გახსნა სერიოზული ხასიათს ღებულობს, კულტ-კომისიამ დაადგინა გაიცნოს ეს საკითხი და დაისვას დღის წესრიგში მომავალ ფაბრკომის სხდომაზე.

— **სამკითხველოს გაფართოება.** ტყავ-ტრესტის ქარხნის კულტ-კომისიამ დაადგინა მოხდეს ქარხნის სამკითხველოში წიგნების რევიზია და გაფართოებული იქნას სამკითხველო.

წერილები სოფლიდან

განვახორციელოთ პარტიის დავალება

ჩვენი მიზანია მომავალ არჩევნებში მოსახლეობის რაც შეიძლება მეტ ნაწილმა მიიღოს აქტიური მონაწილეობა. ამასთან ერთად ჩვენ უნდა მივიღოთ ყოველივე ზომები, რომ ამ არჩევნებში სრული გამარჯვება ვარგუნოთ სოფლის ღარიბებს და საშუალო შეძლების გლეხობას. როგორც ვიცით, რუსეთის კომპარტიის ცეკას პლენუმზე, რომელიც შესდგა წარსულ ოქტომბერში, ღარიბი გლეხობის ორგანიზაციის საკითხი დიდი ყურადღებით იქნა განხილული და ამ მხრივ ჩვენ გვაქვს გარკვეული მითითებანი.

ცეკას პლენუმის რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ უნდა მოეწყოს ღარიბ გლეხთა ცალკე ჯგუფები. ეს ჯგუფები უნდა ღებულობდენ აქტიურ მონაწილეობას, როგორც არჩევნების სამზადისში და კანდიდატების შერჩევაში, ისე თემალმასკომების, გლეხკომების, კოოპერატივების და სხვა ორგანიზაციათა მუშაობაში სოფლად. მომავალ არჩევნების სამზადისის დროს პარტიის ამ დადგენილებას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს.

როგორც გაზეთებში მოთავსებულ ცნობებიდან სჩანს, ყველგან ხდება უპარტიო გლეხთა კონფერენციები, თემსაბჭოების გაფართოვებული კრებები და სოფლის საერთო ყრილობები, სადაც ალმასკომები აკეთებენ მოხსენებას თავიანთ მუშაობის შესახებ. მაგრამ ჯერ არ ყოფილა ცნობა, შესდგა თუ არა რომელიმე თემში ღარიბ გლეხთა კრება და სწარმოებს თუ არა ამ გაერთიანებისათვის რაიმე მუშაობა.

ეს უთუოდ ჩვენი საარჩევნო სამზადისის მნიშვნელოვან ნაკლად უნდა ჩაითვალოს. ამხანაგებს ადგილებზედ ეტყობა ჯერ კიდევ ვერ მოუცლიათ იმისათვის, რომ გაატარონ პარტიის დირექტივა. ეს ნაკლი აქედანვე უნდა გამოსწორდეს.

საჭიროა, რომ გლეხკორებმა მიაქციონ ამ საკითხს შესაფერი ყურადღება. მათ უნდა მიაწოდონ გაზეთებს ცნობა, შესდგა თუ არა მათ თემში ღარიბების კრება და, თუ არა, რა აფერხებს ასეთი კრებების მოწვევას.

თემებში მომუშავე ამხანაგებმა წინდაწინ უნდა შეადგინონ ღარიბ გლეხთა სია და ამ სიის მიხედვით მოიწვიონ ისინი კრებაზე. ამასთან ერთად ზედმეტი არ იქნება, თუ ასეთ კრების მოწვევის შესახებ გაკრული იქნება თემის სხვადასხვა თვალსაჩინო ადგილას საგანგებო განცხადება. ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო იქნება ღარიბ გლეხობის სათითაოდ ჩამოვლა და მათი კრებაზე გამოძახება.

ერთი სიტყვით უნდა მიღებულ იქნას ყოველივე ზომები სოფლის ღარიბ მოსახლეობის დასარაზმავად, როგორც არჩევნების დროს, ისე არჩეულ ორგანოთა ყოველდღიურ მუშაობაში აქტიურად ჩაბმის მიზნით. მაგრამ აქ შეიძლება ადგილი დაურჩეს ერთ მავნე გადახრას.

ჩვენი მიზანია მჭიდრო კავშირი გავაბათ საშუალო შეძლების გლეხობასთან. ჩვენ უნდა ვეცადოთ შევქმნათ სოფლად მთლიანი ფრონტი ღარიბ და საშუალო გლეხობისაგან. ამ ჩვენს მისწრაფებას შეუძლია ერთგვარი დაბრკოლება შეუქმნას ღარიბ გლეხთა გაერთიანებამ, თუ ეს გაერთიანება სწორათ არ იქნა გაგებული და შესრულებული.

ჩვენ ვაწყობთ ღარიბ გლეხობის ცალკე კრებებს, მაგრამ ეს კრებები არ უნდა იყოს დახურული. აქ თავისუფლად უნდა შეეძლოს დასწრება საშუალო შეძლების გლეხსაც. გარდა ამისა ღარიბ გლეხთა კრებაზე უნდა ირჩეოდეს სოფლის ყველა საჭირბოროტო კითხვები და უნდა გამოტანილ იქნას ისეთი დადგენილებები, რომელიც ხელს შეუწყობს ღარიბ და საშუალო შეძლების გლეხის დაახლოვებას.

ამნაირად საჭიროა რაც შეიძლება დაჩქარებით შევუდგეთ ღარიბ გლეხობის ცალკე ჯგუფებში გაერთიანებას და ამასთანავე ვეცადოთ, რომ ეს ჯგუფები არ იყვნენ კარჩაკეტილი, არამედ ხელს უწყობდენ მშრომელი სოფლის გაერთიანება-განმტკიცებას და საბჭოთა ხელისუფლების კიდევ უფრო გამაგრებას.

სოფლიშვილი.

გადასახადი სავსებით აკრეფილია

სურამის თემი (გორის მაზ.)

სას.-სამ. გადასახადი ყველგან ერთნაირად არ იკრიბება. გორის მაზრაში, მაგალითად, ზოგან ერთი მესამედიც არ არის აკრეფილი, ზოგან კი სრული 100 პროცენტით ამოწურულია გადასახადის აკრეფის საქმე. აქედან ჩვენ ის დასკვნა შეგვიძლია გამოვიტანოთ, რომ იმ ადგილებში, სადაც ჩატარებულია წინასწარი მუშაობა, გადასახადის შეკრეფის საქმეც წარმატებით მიმდინარეობს.

მაგალითისათვის საჭიროა მოვიყვანოთ ერთ-ერთი თემის საგადასახადო მდგომარეობა, რომელმაც წარსულ წელშიაც პირველი ადგილი დაიჭირა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის აკრეფაში მთელ გორის მაზრაში. ჩვენ ვლაპარაკობთ სურამის თემზე, რომელიც გორის მაზრის სხვა თემის მცხოვრებლებთან შედარებით ეკონომიურად გაცილებით დაბლა სდგას, მაგრამ მიუხედავად ამისა, სურამის თემის გლეხობამ მოლოდინს გადააჭარბა. ამჟამად გადასახადი სრულიად აკრეფილად უნდა ჩაითვალოს, თუ არ მივიღებთ მხედველობაში დარჩენილ სამას მანეთს, რომელიც არ არის შეკრეფილი აქნობამდე უმთავრესად იმ მიზეზით, რომ გადამხდელები ამჟამად არა სცხოვრობენ დასახელებულ თემში. ამნაირად ეს გამარჯვება აიხსნება იმით, რომ სურამის თემი დროზე შეუდგა გადასახადის აკრეფის სამზადისს. საჭიროა სხვა თემებმაც მაგალითი აიღონ სურამისგან მოქალაქეობრივ მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებაში.

ი. აბრამაშვილი.

წერილებიდან

ს. ღორეში (შორ. მ.)

— **შორს ეკლესიიდან.** ჩვენი ოთხწლედი სკოლა მოთავსებულია ეკლესიის გალავანში. რადგან მოწაფეებზე ცუდ გავლენას ახდენს წირვა-ლოცვა სხვა სარწმუნოებრივი ცერემონიები, გლეხებმა გადასწყვიტეს ააგონ ახალი შენობა და დაიარსონ შვიდწლედი სკოლა. განათლების კომისარიატმა ღორეშლებს შესაფერი დახმარება აღუთქვა.

ხარჯთ-აღრიცხვა უკვე შედგენილი და გადაგზავნილია თბილისში. ვიმედოვნებთ, რომ განათლების კომისარიატი გაამართლებს თავის დაპირებას.

ღ. ქ.

ცაგერი. (ლეჩხუმი.)

— **რათ დახურეს?** სამაღმასკომის დადგენილებით დაიხურა საბავშვო ბაღი. ეს იმ დროს, როცა განათლების განყოფილება სხვა ტიპის სკოლებს აფართოებს. 30 ბავშვი ბაღის გარეთ დარჩა, საკვირველია, რათ დასჭირდა აღმასკომს ბაღის მოსაწყობათ თანხების გაღება, თუ კი არ ქონდა მისი შენახვის იმედი?

უცნობი.

სამტრედია

— **საჭიროა ახალი კომისია.** სამტრედიის მე-3 ილორის კლუბის სარევიზიო კომისიას უკვე სამი წელიწადია მოხსენება არ გაუკეთებია კლუბის გამგეობის მუშაობის შესახებ. ხმები დადის გამგეობაში ყველაფერი რიგზე არ არისო. ამას წინათ შემდგარ საზოგადო კრებაზე გამგეობამ მოახერხა საკითხის მიჩქმალვა. საჭიროა ახალი სარევიზიო კომისია, რომ ყოველივე გაუგებრობა გაიფანტოს.

დამსწრე.

ს. პიპილეთი (რაჭა).

— **მამაცი მასწავლებელი.** ამას წინათ ადგილობრივ ქსენონში გამოცხადდა შეშინებული მოწაფე ვასილ ერისთავი, რომელმაც განაცხადა: „მასწავლებელმა [illegible] მეტრეველმა ისე დამიყვირა, გული გადამიტრიალდაო". ასეთი მაგალითები ხშირია პიპილეთის სკოლაში. გარდა იმისა, რომ მეტრეველი უვარგისია, როგორც პედაგოგი, მას არც სკოლის მოვლა-პატრონობის უნარი შესწევს. მინები დამტვრეულია, ოთახებში საშინელი სიცივეა, ბავშვებს ფული აქვთ, მაგრამ სახელმძღვანელოები ვერ უყიდნიათ და სხვა. შორს გლეხებისაგან ასეთი მასწავლებელი.

იასამანი.

დილიკაურის თემი (შორ. მ.)

— **როდის გაკეთდება?** ჩვენს სოფელში ჩამოვლის მდინარე ჩხუჯა. დილიკაურელ გლეხებს მჭიდრო ეკონომიური, ადმინისტრატიული და ნათესაური კავშირი აქვთ გაღმა მდებარე სოფლებთან, როგორიცაა საზანო, ზოვრეთი და სხვა. არც ხიდი და არც ბონდი მდინარეზე არ არის, რის გამოც გლეხებს სამი ოთხი ზომა ზედმეტი გზის გავლა უხდებათ. საჭიროა წყალის ორივე მხარეზე მდებარე თემალმასკომებმა აიღონ ინიციატივა ხიდის და ბონდის საზოგადოებრივ ძალებით გასაკეთებლათ.

ა. ხალაძე.

სოფლის ქრონიკა

— **სოფლად კულტურულ მუშაობის** გაცხოველების მიზნით, ახალციხის აღმასკომმა დაადგინა ყოველ სამ თვეში ერთხელ მოაწყოს მასწავლებელთა თათბირი.

— **ახალციხის აღმასკომმა** დაადგინა მოაწყოს ქოხ-სამკითხველოებისათვის ჟურნალ-გაზეთების დაუყოვნებლათ მოწოდების საქმე.

— **ახალქალაქის სამაზრო აღმასკომის** დადგენილებით ამ დღეებში დაიწყება მაზრაში გლეხკომის კვირეულის ჩატარება.

— **არხის გასაყვანად** სოფ. ვალეში, ახალციხის აღმასკომმა გადასდო ათი ათასი მანეთი.

— **წყალსადენი.** სოფ. ჩხამის (აჭარა) გლეხებს თავიანთ ხარჯზე გამოყავთ წყალსადენი.

— **ფიზკულტურა.** ოლადაურის თემის (ხულოს მაზრა) აღმასკომთან დაარსდა კომისია თემში ფიზკულტურის საქმის მოსაწყობათ.

— **საექიმო პუნქტი.** სოფ. ბობოყვათში (ქობულეთის მაზრა) გაიხსნა საექიმო პუნქტი.

ქალაქის სიახლოვე არ გვშველის

(ავჭალა, თბილ. მაზრა)

ავჭალის თემის ცენტრში, ქვემოავჭალაში, არ არის ტელეფონი, რაც ძლიერ აფერხებს თემის მუშაობას. მიუხედავად იმისა, რომ ქვემო-ავჭალა თბილისთან ასე ახლო არის და რკინის გზის ლიანდაგთან მდებარეობს, მაინც არ იქნა და ვერ ეღირსა ეს სოფელი ტელეფონს, რომლის გაყვანა აქ ძლიერ ადვილ საქმეს შეადგენს.

გარდა ტელეფონისა აქ გზები ძლიერ გაფუჭებულია. მაგრამ გზებს რომ თავი დავანებოთ, რაც ასე თუ ისე საკმაოდ დიდ ხარჯებს, შრომას და დროს მოითხოვს, ტელეფონი მაინც ეხლავე უნდა მოეწყოს, რომ თემს კავშირი ჰქონდეს ისეთ შორეულ სოფლებთან როგორიცაა: ცხვარიჭამია, მამკოდა, მშრალი ხევი, ლელუბანი და სხვები. გარდა ამისა ტელეფონის საშუალებით თემი დაუკავშირდება თბილისს.

ხშირია ისეთი შემთხვევა, რომ თემალმასკომის თავმჯდომარე ან დარაჯი უბრალო ცნობის მისაწოდებლად იძულებული ხდება ოცი, ოცდაათი ვერსი გაიაროს.

რა თქმა უნდა, ყოველთვის ცხენი არ მოიპოვება და ცუდ ამინდში ფეხით წასვლა შეუძლებელი ხდება. ყველა ამ დამაბრკოლებელ მიზეზების თავიდან აშორება შეიძლება ტელეფონის შემწეობით, რომლის მოწყობაც ამ თემში გადაუდებელ ამოცანას წარმოადგენს.

შ. ლორთქიფანიძე.

ჩვენს ბიბლიოთეკებში და კლუბებში

ზუბალაშვილის სახ. ბიბლიოთეკა.

ამ ბიბლიოთეკას ჰყავდა 14500 მკითხველი, უმეტესობა მკითხველებისა მოწაფეები არიან; ბიბლიოთეკას აქვს სულ 11845 წიგნი.

მკითხველებს უმეტესად აინტერესებდა პოლიტიკური ლიტერატურა და ბელეტრისტიკა. ერთ თვეში (ნოემბერში) წიგნთ-საცავს ჰყავდა 1947 მკითხველი.

ტრამვაის კლუბთან არსებული ბიბლიოთეკა.

ბიბლიოთეკაში მოხდა წევრების პერერეგისტრაცია. ამის შემდეგ წევრებათ ჩაეწერა 352 კაცი. აქედან 60 პროც. ტრამვაის მუშები არიან, პერერეგისტრაციამდე 500 კაცი ირიცხებოდა წევრებად. ბელეტრისტიკის და პოლიტ. ლიტერატურისადმი არის მიპყრობილი მკითხველის ინტერესი. 905 წლის რევოლიუციის აღსანიშნავად კლუბის დარბაზში გაიხსნა გამოფენა წიგნების, პლაკატების და სხვა.

ტრამვაელების კლუბი.

ნოემბერში მოხდა გამგეობის გადარჩევა, რასაც მოჰყვა კლუბის წევრების პერერეგისტრაცია. ხელ-ახალ რეგისტრაციამდე კლუბს ჰყავდა 800 წევრი, განსაკუთრებით მუშები, აქედან 615 მამაკაცი—158 დედაკაცი. ეროვნებით 231 ქართველი, 192 სომეხი, 292 რუსი და 72 სხვადასხვა ეროვნების.

კლუბთან არსებობენ სხვადასხვა წრეები. საკუთარი ძალებით შედგენილია სამი დრამწრე (ქართული, რუსული, სომხური), რომელშიაც შედის 51 კაცი. პოლიტწრე—სხვადასხვა პოლიტსკოლების მიერ შედგენილი, ლიტერატურულ-ინსცენიური წრე, სამხედრო წრე 30 წევრით, მუსიკალური წრე 21 კაცის შემადგენლობით, ქიმიური და პროფწრე.

ამ ძალების მიერ უკანასკნელი ხუთი თვის განმავლობაში დადგმულ იქმნა 20 საღამო-წარმოდგენა, 19 ლიტ. საღამო, ნაჩვენები იქმნა 25-დე კინო-სურათი, რამოდენიმე ბავშვთა წარმოდგენა და წაკითხულ იქნა ლექციები სოციალურ-გიგიენურ თემებზე. მუსიკალურ წრის მიერ დადგმულ იქნა რამოდენიმე კონცერტი.

905 წლის მოსაგონებლად გაიმართება 9 საღამო, რომელზედაც ძველი მუშები გამოვლენ მოგონებებით. გამოვიდა კლუბის ყოველთვიური კედლის გაზეთის მე-13 ნომერი.

ორჯონიკიძის სახელობის ბიბლიოთეკა.

ამჟამად ამ ბიბლიოთეკას ჰყავს აღრიცხვაზე 430 ხელის მომწერი უმეტესობა ბავშვები.

ბიბლიოთეკას აქვს 5820 წიგნი, საიდანაც 4948 წიგნი რუსულია, 827 ქართული დანარჩენი კი სომხური. მკითხველები უმეტესად ეტანებიან საზოგადო მეცნიერებას, ბელეტრისტიკას, ისტორიის და ტეხნიკურ ლიტერატურას.

საგზაო მშენებლობა

მანგლის-ჯავახეთის გზატკეცილი.

ეკონომიური ურთიერთობა ჯავახეთ-ბორჩალოს შორის მუდამ დიდი იყო. მაგრამ ამ მაზრების ეკონომიურად მჭიდრო დაკავშირებისათვის დიდ დაბრკოლებას წარმოადგენდა რიგიანი გზების უქონლობა. დღემდე ბორჩალო ჯავახეთს შორის მისვლა-მოსვლა სწარმოებს ცუდი საურმე გზებით და ბილიკებით.

საქ. გზატკეცილთა სამმართველოს გადაწყვეტილი აქვს გაიყვანოს ამ ორ მდიდარ კუთხეებს შორის ფართო გზატკეცილი.

გასულ შემოდგომაზე გამოკვლევას, გზატკეცილების გასაყვან ადგილების გამონაძებნად, სამმართველოს დავალებით აწარმოებდენ გზატკეცილების სამმართველოს უფროსის მოადგილე ინჟინერი გვარამაძე და მანგლისის გზატკეცილის უფროსი მთავარი ინჟინერი ჩხეიძე. ამჟამად გზის წინასწარი გამოკვლევა უკვე დამთავრებულია. გზატკეცილი, რომელიც გაყვანილი უნდა იქნეს კარაგანის ტბის მიმართულებით სიგრძით იქნება დაახლოებით—125—130 ვერსი. გზატკეცილის გაყვანა დაჯდება სულ 400 ათასი მანეთი.

სურამ-ძირულის გზატკეცილი.

სურამ ძირულის გზატკეცილის გასაყვანად მუშაობა გრძელდება მიმდინარე ზამთრის განმავლობაში. დეკემბერში სწარმოებდა ხაზების აღდგენა და სამუშაო პროფილების გადაღება. ამ ჟამად მიმდინარეობს მთაზე მომავალი [illegible] კათარეობა 2 საჟენის სი[illegible] [illegible] რაიონში.

ქრონიკა

თბ. ალმასკომში

— **ცეცხლთან ბრძოლა.** თბ. აღმასკომი ამ დღეებში ვერის რაიონში ხსნის ცეცხლის მქრობელ რაზმის განყოფილებას ქალაქში ცეცხლთან ბრძოლის გაადვილების მიზნით.

— **ავტომობილები.** თბ. აღმასკომი მოკლე ხანში გერმანიიდან მიიღებს 2 საგანგებო ავტომობილს ცეცხლის მქრობელ რაზმის საჭიროებისათვის.

სოც. დაზღვევის სამმართველოში

— **საქარხნო-საფაბრიკო და ადგილობრივი კომიტეტები,** სოც. დაზღვევის სამმართველომ გაანთავისუფლა სოციალურ დაზღვევის დარგში მუშაობისაგან.

— **დახმარება.** სოც. დაზღვევის სამმართველომ აჭარისტანის ჯანმრთელობის სახ. კომისარიატს დახმარების სახით გადასცა 2.500 მანეთი.

— **მოზარდთა დაზღვევა.** წვრილ წარმოებებში მყოფ შეგირდების დაზღვევის გასაადვილებლათ სამმართველომ დაადგინა გაავრცელოს მათ დამქირავებლებზე დაზღვევის შეღავათიანი (10 პროც.) ტარიფი.

თბ. დამზღვევ სალაროში

— **საზამთრო აგარაკებზე.** თბ. დამზღვევი სალარო 2 იანვარს სოხუმის სანატორიუმში აგზავნის დაზღვეულ ავადმყოფთა მეორე წყებას

— **ახალი დასაზღვევი წიგნაკები.** სალაროს სამმართველოს დადგენილებით დაზღვეულებს ახალი დასაზღვევი წიგნაკები დაურიგდებათ დაწესებულებათა ადმინისტრაციების საშუალებით.

სასოფლო-სამეურნეო ბანკში

— **სოფლის მეურნეობის** ასაღორძინებლად საქ. სასოფლო-სამეურნეო ბანკმა გასულ წელს გასცა სესხად 4.300 ათასი მანეთი.

— **სასოფლო-სამეურნეო ნდობის** ამხ-ბათა ინსპექტორების თათბირი შესდგება 2 იანვარს თბილისში.

კრებები და მოხსენებები

— **განათლების მუშაკთა სახლში** დღეს, საღამოს 7 ს., პროფ. თვალჭრელიძე წაიკითხავს ლექციას მინერალოგიის დარგში.

შემთხვევები

— **თავდასხმა.** სოფ. ქოსალოში (ყარაიაზის რაიონ.) თბილისისაკენ მომავალ ურმით ალი მამედ ოღლის თავს დაესხნენ 3 შეიარაღებული ბოროტმოქმედი და გაძარცვეს.

— **ოპერის თეატრიდან** გამოსვლის დროს 27 დეკ. ნიკიტა სუნდუკიანცს ჯიბიდან ამოაცალეს ოქროს საათი.

— **ქურდობა.** 29 დეკ. [illegible] შეს. № 12 გაქურდეს ერასტი რაბაზრიშვილის ბინა.

— ამავე დღეს „რაბოჩაია პრავდა"-ს შენობიდან მოიპარეს სხვადასხვა ნივთები.

— **ჯიბგირობა.** 29 დეკ. სახელმწიფო ვაჭრობის მაღაზიაში ივანე ომიაძეს ჯიბიდან ამოაცალეს 24 მ.

— ამავე დღეს ორთ. სადგურზე სახ. უნივ: სტუდ. გარსევან კალანდაძეს ჯიბიდან ამოაცალეს მიწა-ტყის კავშირის წიგნაკი № 495 და ფულად 20 მან. და სხვა საბუთები.

განათლების ფრონტზე

ღარიბი მოწაფეები—სახელმწიფო ხარჯზე

დუშეთის სამაზრო აღმასკომმა აღძრა შუამდგომლობა განათლების კომისარიატის წინაშე, რათა დუშეთის მაზრის ღარიბ მცხოვრებთა მოსწავლე შვილები, რიცხვით 50 ქალი და 50 ვაჟი აყვანილ იქნენ სახელმწიფო ხარჯზე.

ახალციხის მაზრის განათლების

განყოფილების გამგედ განათლების კომისარიატის დადგენილებ[illegible] ნიშნა ამხ. ბურჭულ[illegible] ლეთ ამხ. [illegible] [illegible]კებში მცხოვრებ ქართველებისათვის გაიხსნას ქართული სკოლები და გაეწიოთ კულტურული დახმარება, რადგან აღნიშნულ რესპუბლიკებში მცხოვრები ქართველები დიდ გაჭირვებას განიცდიან ამ მხრივ.

ახალი სკოლა

სოფ. ილორში (სენაკის მაზრა) შვიდ წლიანი სკოლის საალმშენებლო კომისიამ შუამდგომლობა აღძრა განათლების კომისარიატის წინაშე, [illegible] ჯების მიზნით [illegible] გაწევის შესახებ.

[illegible]ბიაში გახსნის

[illegible]ატის დად[illegible] [illegible]ა კერძო სას[illegible] [illegible] მთელ საქარ[illegible]

საბინაო გადასახადი

თბილისში მიზნობრივი საბინაო გადასახადი შემოღებული იქნა მიმდინარე 1925 წლის აპრილიდან. საბინაო გადასახადი ხდება არა მშრომელ ელემენტებს. 1925 წლისათვის საბინაო გადასახადი ნავარაუდევი იყო 74 ათასი მანეთის რაოდენობით, მაგრამ შინამრეწველებთან გათანაბრების გამო მებაღეებს შეუმცირდათ გადასახადი და გადასახადის ჯამმაც 70 ათას მანეთამდე დაიკლო.

მიზნობრივი საბინაო გადასახადის შეკრებას ფრიად დამაკმაყოფილებელი შედეგი მოჰყვა. მიმდინარე წლის დეკემბრის შუა რიცხვებამდე თბილისის გადამხდელთაგან შემოტანილ იქნა 67.400 მანეთი ანუ მთელი გაწერილი გადასახადის 96 პროცენტი.

როგორც გადასახადის აკრეფის გამოცდილება გვიჩვენებს, გადასახადის ნაწილი თითქმის ყოველთვის აუკრეფელი რჩება. ხშირად გადაუხდელი გადასახადების რაოდენობა 10—15 პროცენტს აღწევს. მოსალოდნელი იყო, რომ მიზნობრივი საბინაო გადასახადის 10 პროცენტი ანუ 7 ათასი მანეთი მაინც აუკრეფელი დარჩებოდა, მაგრამ მიზნობრივი გადასახადის აკრეფის დროს ეს მოლოდინი არ გამართლდა და გადასახადის აკრეფამ სარეკორდო—96 პროც. მიაღწია.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საბინაო გადასახადის აკრეფა სრულიადაც არ გაძნელებულა. გადამხდელებს ეს გადასახადი უფრო მეტი ხალისით შეაქვთ. მრავალ გადამხდელს ხვედრი გადასახადი დანიშნულ ვადაზე უფრო ადრე შეუტანია. მიმდინარე 1925—26 სამეურნეო წლის საბინაო გადასახადი ჯერჯერობით გაწერილიც არ არის, მიუხედავად ამისა, ალმასკომის საგადასახადო ქვეგანყოფილებას ეხლავე მიმართავენ გადამხდელები, რომელთაც სურთ გამოარკვიონ მათზე შეწერილ საბინაო გადასახადის რაოდენობა.

ხელოვნება

ინაშვილის გასტროლები

„რიგოლეტო"

„რიგოლეტოს" პარტია მოითხოვს ფსიქოლოგიურ დამუშავებას. აქ არის 3 სტადია ამ როლის განვითარებაში. პირველ აქტში—რიგოლეტო არის ჰერცოგის საზიზღარი მასხარა. უკვე პირველ აქტის ბოლოში ეს ადამიანი ხედავს გარყვნილ ჰერცოგის წინაშე შესრულებულ როლის სისაძაგლეს და გამყიდველობას. რიგოლეტოს ეშინია თავისი ქალიშვილის—ჯილდას ბედის და იმის შემდეგ, რაც ჯილდა გახდება გარყვნილ ჰერცოგის მხეცური ქეიფის მსხვერპლი, რიგოლეტოში იღვიძებს საშინელი შურისძიების გრძნობა. ყველა ეს სამი მომენტი გადმოცემულია ნიჭიერი მსახიობის მიერ მხატვრულ ფორმებში.

სცენაზე ვხედავთ არა აქტიორს, არამედ ცოცხალ სახეს. ასევე დასრულებულია მიმიკა, სიმღერა. ამ პარტიაში უკვე აღარ არის მელოდეკლამაციური ხასიათი, რიგოლეტოს პარტია დამახასიათებელია იტალიურ საოპერო რეპერტუარისათვის და აქ საჭიროა მეტი ხმოვანება სიმღერის დროს, მეტი ტემპერამენტი და დრამატიზმი. ამ მხრივ ინაშვილის შესრულება ყველგან ერთნაირი არ იყო.

საუცხოვო იყო პირველი დიალოგი ჰერცოგთან და სცენა პარაფუჩილესთან. შემდეგი სცენა ჯილდასთან უკვე მოითხოვს უფრო ხმოვან სიმღერას. იგივე საჭიროა სასახლის სცენაში კარისკაცებთან. ეს პარტია ყველაზე უფრო ძნელი პარტიაა რიგოლეტოსათვის. აქ საჭიროა მეტი დრამატიზმი. მხოლოთ სცენა მარულლოსთან (კარისკაცი) მოითხოვს ლირიულ შესრულებას. ყველა 3 აქტში ეს ყველაზე უკეთესი სცენაა ნიჭიერ მსახიობის შესრულებაში. კარგია უკანასკნელი სცენა. გარეგნული შეხედულება, კოსტიუმები კარგია.

პირველათ ამ სეზონში ჰერცოგის პარტია შეასრულა სინიცკიმ. ეს საერთოთ სერიოზული მსახიობია. ხმით სარგებლობის უნარი საშუალებას აძლევს მას დაჩრდილოს დეფექტები სიმღერაში. ტყუილ-უბრალოთ უხვევს გვერდს მსახიობი პარტიტურის შინაარსს და სცდილობს მოახდინოს ეფექტი. ეს რომ არ იყოს—სიმღერა უკეთესი გამოვიდოდა. საჭიროა აღინიშნოს ახალგაზრდა ლოტბარის მელიქ-ფაშაევის უაღრესად მუსიკალური დირიჟორობა.

მუსიკოსი.

სახელმწიფო ოპერა

ტრილბი

იურასოვსკის ოპერის „ტრილბის" შეტანა სახელმწიფო ოპერის აკადემიურ თეატრის რეპერტუარში აიხსნება მხოლოდ იმით, რომ დაკმაყოფილებულ იქნას საზოგადოების ლტოლვა სიახლისადმი, ვინაიდან ამ მელოდრამის შინაარსი სრულიად არ შეეფერება თანამედროვე სამხატვრო მოთხოვნილებებს. მისი მუსიკა არ არის ღრმა, მაგრამ ოპერამ მაინც კარგი შთაბეჭდილება დასტოვა როგორც შესრულების, ისე დადგმის მხრივ. ეს დრამიდან აღებული სიუჟეტი შენახულია თითქმის მთლიანად, მაგრამ ოპერა ვერ ახდენს ისეთ შთაბეჭდილებას, როგორც თვით დრამა. იურასოვსკის ოპერა შეიძლებოდა ჩაგვეთვალა მუსიკალურ დრამად, მივეკუთვნებინა თანამედროვე იტალიურ სკოლისათვის. ოპერაში სიმძიმის ცენტრი გადატანილია ორკესტრში და უნდა ითქვას სიმართლე ორკესტრში ბევრი კარგი ადგილებია. ვოკალური მხარე კი უმთავრესად მელოდეკლამაციური ხასიათისაა, ოპერაში ბევრი რეჩიტატივებია,—სჭარბობს მონოლოგები და დიალოგები. თითქმის არ არის არიები (გარდა ტრილბის არიოზოსი მე-3 აქტში). ოპერაში ორი ცენტრალური პარტიაა: ტრილბის და სვენგალის, ორივე პარტია ძალიან ძნელია, მოითხოვს ხმის ტეხნიკის ზედმიწევნით ცოდნას, მუსიკალობას და ფსიქოლოგიურ მიდგომას. ორივე პარტიაში ბევრია დრამატიული ადგილებია. ბოკოვამ (ტრილბი) ამ პარტიაშიაც დაგვანახა თავისი უდიდესი დრამატიული ნიჭი. „ტრილბის" შესრულებაში მოცემულია დიდძალი რეალური განცდანი. სიმღერაში ბევრია გულწრფელობა და განცდა. ისეცკი—სვენგალლი ერთობაშათ იპყრობს აუდიტორიას. მესამე აქტიდან მან მოგვცა იმაჟ, პატივმოყვარე ადამიანის მხატვრული სახე. განსაკუთრებით აღსანიშნავია ისეცკის სცენიური მხარე—ტრილბის ჰიპნოზის სცენა.

არ შეიძლება დამაკმაყოფილებლად ჩაითვალოს სინიცკის მიერ ბელლი-ბიგოტის პარტიის შესრულება. მსახიობმა ვერ მოგვცა ახალგაზრდა ინგლისელის მხატვრული სახე, ხმაც მოისუსტებდა მაღალ რეგისტრებში. დანარჩენი პარტიები უმნიშვნელოა. ოპერაში არის ეფექტიანი ადგილები (ტრილბის ჰიპნოზი და სხვა) დადგმა საინტერესოა, დაცულია რეალობა. მხოლოდ უნდა აღინიშნოს, რომ ხმის გაძლიერების მიზნით საჭირო არ არის სცენის ასე უხვათ მორთვა ნოხებით და რბილი დგმით.

მ. ბ.

— **ლირიკა, პოემები.** რედაქციამ მიიღო სანდრო შანშიაშვილის ახლად გამოსული წიგნის პირველი ტომი: ლირიკა, პოემები. წიგნი სუფთადაა გამოცემული.

— **ვ. კრიგერის გასტროლი.** კვირას, 3 იანვარს, ოპერის თეატრში გაიმართება მოსკოვის დიდი თეატრის პრიმა-ბალერინას ვ. კრიგერის პირველი გასტროლი.

— **„ტრილბი".** დღეს ოპერის თეატრში მეორეთ წარმოდგენილი იქნება ოპერა: „ტრილბი".

— **კამერულ თეატრში**— მხიარულ კომედიების საღამო.

— **ცირკში** დღეს ძმ. ეფიმოვების გასტროლი.

— **ვ. კარატიგინის გარდაცვალება.** ლენინგრადში გარდაიცვალა ცნობილი მუსიკალური კრიტიკოსი ვ. გ. კარატიგინი.

— **„ველაბრის ჯურღმულებში".** მ. ხუხუნაიშვილმა დასწერა კინო-სცენარი „ველაბრის ჯურღმულებში" 1905 წ. რევოლიუციონურ მოძრაობიდან.

— **ვერა ორლოვას კონცერტები.** თბილისში ჩამოვიდა მომღერალი ქალი ვერა ორლოვა, რომელიც ახლო ხანში გამართავს კონცერტებს.

— **1905 წ. რევოლიუციის აღსანიშნავად** მბეჭდავთა კლუბში კვირას, 3 იანვარს წარმოდგენილი იქნება პიესა: „9 იანვარი".

— **სანიტთეატრში** შაბათს, 2 იანვარს წარმოდგენილი იქნება ახალი სანიტ-პიესა „მეძაობის მსხვერპლი".

— **კონსერვატორიის** დარბაზში ამ დღეებში გაიმართება ახალი ორიგინალურ სიმღერების შემსრულებლის ტ. ტეტოევის საღამო.

— **სომხური ოპერა.** სომეხ კომპოზიტორმა სპენდიაროვმა დასწერა ახალი ოპერა „ალმასტ"-ი. სიუჟეტი აღებულია ოვანეს თუმანიანის პოემიდან „თომკა-ციხის აღება".

— **ხელოვნების მუშაკთა ტრადიციული დღე.** ოთხშაბათს, იანვრის 4, სახელმწიფო ოპერის თეატრში გაიმართება დიდი წარმოდგენა-საღამო მრავალფეროვანი პროგრამით.

დღეს კინოებში

— აპოლო—„სიყვარულის [illegible]ლებით".
— პალასი—„ამერიკელი ქალის თავგადასავალი".
— სოლეი—„დიადი მატადორი".
— არფასტო—„იგივე".
— მინიონი—„დოროტი ვერნონი".
— [illegible]—„იგივე".

კინო

„ხაჯი მურატი“

დერბენტიდან დაბრუნდა საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობის კინო ფაბრიკის გადამღები განყოფილების გამგე ამხ. სურგუნოვი, რომელიც წასული იყო დაღესტანში იმის გამოსარკვევათ, თუ რა პირობებში შეიძლება დიდი კინო-ფილმის „ხაჯი-მურატი“-ის გადაღება.

დაღესტანის რესპუბლიკის უმაღლესმა ორგანოებმა დახმარება აღუთქვეს სახელმწიფო კინო-მრეწველობას სურათის გადაღებაში ისტორიული მუზეუმი კინო-მრეწველობას დაუთმობს იარაღებს, კოსტიუმებს, დროშებს და ნიშნებს. სურათში მონაწილეობას მიიღებენ დაღესტანის ნაციონალური ცხენოსანი ნაწილები. ამას გარდა სურათის გადაღებაში ფართო მონაწილეობას მიიღებენ აულების მცხოვრებლები.

უბედური შემთხვევა.

საქართველოს სახელმწიფო კინო-მრეწველობის სურათ „აზრბეიჯანი“-ს საბოლოო სცენის გადაღების დროს, სამშაბათს, 29 დეკემბრს მოხდა უბედური შემთხვევა: რეჟისორი ი. პერესტიანი, რომელიც თამაშობდა პროფესორის როლს, იდგა ნავთის ჭის პირას. გაუგებარი მიზეზის გამო აფეთქდა გაზი. დაშავდენ რეჟისორი ი. პერესტიანი, მისი თანაშემწე პ ბარსუდაროვი და ოპერატორი ტარტაკოვსკი. მათ ტანისამოსს ცეცხლი გაუჩნდა. დაშავებულებს პირველი სამედიცინო დახმარება გაუწია ფინკელშტეინმა.

მეორე დღეს პერესტიანი და მისი თანაშემწე გამოემგზავრენ თბილისში.

ჩვენი სურათები სპარსეთში.

23 დეკემბრიდან თავრიზში აჩვენებენ საქართველოს კინო-მრეწველობის სურათს „სამი სიცოცხლე“ და „სურამის ციხე“. მიღებული ცნობების თანახმად, სურათებმა დიდი ინტერესი გამოიწვია.

„მჭედელი მიქავა.“

რეჟისორი ბეკ-ნაზაროვი შეუდგა სურათ „მჭედელ მიქავა“-ს მონტაჟს სურათი მოსკოვში გამოშვებული იქნება იანვრის 20 ს.

„ვინ არის დამნაშავე“.

25 დეკემბრიდან მოსკოვის სამ კინო-თეატრში დაიწყო სურათ „ვინ არის დამნაშავე“-ს ჩვენება.

თბილისში სურათი ნაჩვენები იქნება იანვრის შუა რიცხვებში.

მეცნიერება და ტეხნიკა

ტინ-ხაგანის აკლდამა.

საფრანგეთ-ამერიკის ექსპედიციამ რომელსაც ხელმძღვანელობენ დეპროროკა და პროფ. რეიგასსი, შუა აზიის უდაბნოში, ხოგგარში, ტამანრასსეტის ახლო აღმოაჩინა სამარხი, რომელშიც იპოვეს ძველი კუბო (სარკოფაგი) რომელშიც ნახეს მუმია (შემუმრული ნეშტი), აუარებელი ძვირფასი თვლები, მრავალრიცხოვანი საგნები, გაკეთებული ოქროდან. სამარხში იპოვეს სხვადასხვა ავეჯი და შიშველი ქალის ქვის ქანდაკება.

მეცნიერების ერთი ნაწილი ფიქრობს, რომ სამარხი ეკუთვნის უძველეს დროს, რომ სამარხში ნაპოვნი მუმია—ეს არის დედოფალ ტინ ხაგანის მუმია. ტინ ხაგანი იყო მფლობელი ხოგგარის სამეფოსი, რომელიც მეცნიერების აზრით არის ნაწილი უხსოვარ დროში დაღუპული ატლანტიდის (ატლანტიდა, ძველი გადმოცემებით, აერთებდა აფრიკასა და ამერიკას).

მეცნიერების მეორე ჯგუფი ამტკიცებს, რომ ტინ-ხაგგანი სრულიად [illegible] არის უძველესი დროის [illegible] ხოგგარის სამეფოსი, არამედ ის [illegible] ხესის, რომელ[illegible] წარმოადგენს ტუარეგთა (უდაბნოს მცხოვრებნი) წარჩინებული გვარეულობა. შემდეგ ისინი ამტკიცებენ, რომ ტინ-ხაგგანი ცხოვრობდა მე-15 საუკუნეში და რომ მისი სამარხი ახლა კი არ არის აღმოჩენილი, არამედ მის შესახებ წინადაც იცოდენო.

დაძირული განძი.

ამერიკამ და ინგლისმა განაახლო ცდები დაძირულ გემების ამოსაღებათ მათზე მყოფ განძეულობასთან ერთად ცდებს ფართე ხასიათი აქვს და სწარმოებს მრავალ ახლად გამოგონებულ ტეხნიკურ მოწყობილობათა საშუალებით. ჩქარის ტემპით სწარმოებს მუშაობა 1803 წ. ჰოლანდიის ნაპირებთან დაღუპულ ხომალდის „კარლოს 1-ლი“-ს ამოსაღებათ. ამ ხომალდზე დაიღუპა 100 მილიონათ ღირებული ოქრო, ნაპოლეონის მიერ ჰოლანდიაში გაგზავნილი.

შოტლანდიის ნაპირებთან სწარმოებს მუშაობა ინგლისური გემის „როიალ შარტერ“-ის ამოსაღებათ. ამ გემზე არის 375.000.000 მ. ოქრო. აფრიკის ნაპირებთან დაძირულ გემ „დოროტეიაზე“ არის 100.000.000 ოქროს ფრანკი, გაგზავნილი კრიუგერის მიერ ინგლისელებისა და ბურების ომის დროს. დაბოლოს კეთილი იმედების კონცხთან სწარმოებს მუშაობა 12 დაძირული გემის ამოსაღებათ. ეს გემები დატვირთული არიან ძვირფასი ქვებით.

მსოფლიოს სიდიდე.

უკანასკნელ დრომდი არსებულ შეხედულებას, რომ სამყარო უსაზღვროა, თითქოს უარყოფს უკანასკნელი გამოკვლევები.

კაროლინის (ამერიკაშია) უნივერსიტეტის პროფ. გენდერსონმა გამოიანგარიშა, რომ ვარსკვლავთ სამყაროს სიდიდე ათჯერ უფრო მეტია ვიდრე მანძილი დედამიწასა და მზეს შორის, ე. ი. უდრის 1500 ტრილიონ კილომეტრს (ტრილი[illegible] ათასი მილიარდი).

პროფ. აინშ[illegible]ლობის თეორიის მიხედვით გამოიანგარიშა, რომ მსოფლიოს [illegible] უნდა უდრიდეს 100 მ[illegible] (სინათლის [illegible] წელი—მანძილი, რომ[illegible] ერთი [illegible] განმავლობაში გადის მზის სხივი), რაც მეტრიულ საზომზე გადმოტანით შეადგენს 950 ტრილიონ კილომეტრს. ე. ი. ერთი მეოთხედით ნაკლებია, ვიდრე გენდერსონმა გამოიანგარიშა.

სიცივის საზღვართან.

ჰოლანდიელი მეცნიერი კამერლინგ ონნესი უკვე 35 წელიწადია ისწავლის თავის ლაბორატორიაში ლეიდენში უმცირესი ტემპერატურის მიღწევის შესაძლებლობას.

ფიზიკაში სიცივის უკიდურეს საზღვრათ ითვლება ტემპ. 273 გრადუსი ნულს ქვევით, ე. წ. აბსოლიუტური ნული.

ეს ტემპერატურა ჩვენს პირობებში წარმოადგენს მხოლოდ საზღვარს, რომელსაც შეგვიძლია მივუახლოვდეთ, მაგრამ მისი მიღწევა შეუძლებელია. კამერლინგ ონნესმა მრავალრიცხოვანი ცდების შემდეგ მიაღწია ტემპერატურის 272,1 გრადუსს ნულს ქვევით, ე. ი. სიცივის უკიდურესი საზღვრის მიღწევას აკლია მხოლოდ გრადუსის ცხრა მეათედი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

მოგვეცემა თუ არა ხელფასი

კითხვა:

ჩემი ქმარი მსახურობდა წარმოკავშირში, ბორჩალოს მაზრაში, სოფ. მარნეულში. გაუგებრობის გამო ის იქნა დაპატიმრებული საქმის გამორკვევამდე. საქმე ჯერაც სასამართლოს არ გაურჩევია: ჩემ ქმარს ჰქონ და წარსული ნამსახურის თვენახევრის ჯამაგირი ასაღები.

მერგება თუ არა წარსული და სხვა თვების ჯამაგირი.

ან. ჩოჩიევი.

პასუხი

[illegible]ნახმად შრომის კანონთა კოდექსის მუხ. 47-ის და ს | კ. შრომის [illegible]მატის 1925 წ. 16 იანვრიდან განმარტების მუხ. 1-ის—დამქირავებელს აქვს უფლება შეაჩეროს შრომის ხელფასის და სხვა ჯილდოთა გაცემა იმ მოსამსახურისთვის, რომელიც პასუხისგებაშია მიცემული სისხლის სამართლის წესით მანამდე, სანამ ის იქნებოდეს მცამართლებული ბრალდებისაგან ანდა გასამართლებული სათანადო სასჯელის მისჯით.

ამისათვის კი შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიის დასტური სრულებით საჭირო არ არის. ამგვარათ მასთან ანგარიშის გასწორება ხდება საქმის საბოლოოდ დამთავრების შემდეგ. (იხ. იქვე მუხ. 3).

მთავრობის მოქმედებანი, და განკარგულებანი

დადგენილება № 65

[illegible]ულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდევინების სფეროში თანამდებობის პირთა ბოროტმოქმედების წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. სასოფლო-სამეურნეო გადასახადის გადახდევინების სფეროში ფინანსთა სახალხო კომისარიატის აგენტების ბოროტმოქმედებაზე შეტანილ საჩივრისა და თვით ამ ბოროტმოქმედების განსახილველად დაარსებულ იქნეს კომისია სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის ამხ. თოდრიას თავმჯდომარეობით. კომისიაში შევლენ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატისა და ს | კ. ფინსახკომის რწმუნებულის წარმომადგენელნი.

2. კომისიას დაეკისრება გაიმგზავროს ხოლმე იმ ადგილას, სადაც აღმოჩნდება 1 მუხლში აღნიშნული ბოროტმოქმედება, ადგილობრივ გამოიკვლიოს იგი და დამნაშავე პასუხისგებაში მისცეს.

3. კომისიამ თავისი მოქმედების შედეგი უნდა მოახსენოს სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმს.

[illegible]ულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ფ. მახარაძე.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ს. თოდრია.

1925 წლ. დეკემბერი 15.
თბილისი—სასახლე

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— სახ. უნივერსიტეტის გაერთიანებულ კომ. უჯრედთა ბიურო აცხადებს უჯ. წევრთა საყურადღებოთ, რომ დღეს, 31 დეკემბერს, (ხუთშაბათს) საღამოს 5 საათზე, მოწვეულია კომ. უჯრედთა არაჩვეულებრივი დახურული კრება. ყველა ამხანაგების დასწრება სავალდებულოა.

გაერთ. კომ. უჯრედთა ბიურო.

— საქ. კომპარტიის თბილის. კომიტეტის საქმეთა მმართველობა სთხოვს თბილისის კომიტეტის ყველა წევრებს და კანდიდატებს შემოიარონ თბილისის კომიტეტში მანდატების მისაღებათ.

— ნორჩ პიონერთა თბილისის ბიურო ამით იტყობინება, რომ შაბათს, 2 იანვარს, დილის 10 საათზე (ნ. პ. თბილისის ბიუროს შენობაში, რუსთაველის პრ. № 20), მოწვეულია პიონერ მომუშავეთა მორიგი თათბირი. დასწრება რაიონული ინსტრუქტორების, მათი თანაშემწეების და აგრეთვე პიონერთა ჯანმრთელობის დაცვის შტატში მყოფ ექიმთა სავალდებულო

ნ | პ. თბილისის ბიურო.

— შაბათს, 2 იანვარს, საღამოს 5 ნახ. საათზე ქალაქის რაიკომის ბინაზე შესდგება **რაიონულ პარტსკოლების ხელმძღვანელთა კრება.**

დასწრება სავალდებულოა შემდეგი ამხანაგებისთვის:

შანშ-ზაროვი, კვინტალიანი, მატეოშვილი, ყანდარელი, მრიკოტენკო, ბიძინაშვილი, მოროზოვი, მაისურაძე, მურადიანი, პატაშვილი, გარსოვი, ძუძუკინი, საფარიანი, ჯაბაძე, ჩოდრიშვილი, რაჩიმუკინი, ავაქოვი, პატარაძე, როჟდესტვენსკი, აგოიანი, რუდინკო, შლიკოვი, გორიაჩევი, ხითაროვი, მანიაშვილი, ხარიტონოვი, ვოსკანოვი, მინაევიჩი, ხუნცარია. ბორიაკი, ბოსიკაშვილი.

ქალაქის რაიკომი.

— მეორე რაიკომი იწვევს: დღეს, 31 დეკემბერს, საღამოს 5 საათზე, შესდგება **რაიკომის პრეზიდიუმის სხდომა.**

დასწრება სავალდებულოა პრეზიდიუმის ყველა წევრებისა და კანდიდატებისთვის.

მდივნის მაგ.—წითლიძე.

კოოპერატიული კომისიის სხდომა

დღეს, 31 დეკემბერს, შუადღის პირველ საათზე, თბილისის კომიტეტის ბინაზე შესდგება თბილისის კომიტეტის **კოოპერატიული კომისიის სხდომა**

სავალდებულოა შემდეგი ამხანაგების დასწრება: ბოლქვაძე, ერისთავი, ქიბუროა (ცეკავშირი), ბენო კალანდაძე, პეტროვა, ფესიჩენა, ელბაქიანი (ს. პროფ საბჭო). გამყრელიძე, თავდიშვილი (წარმოკავშირი), აკიმოვი, იესელევიჩი, მესხი, მურადოვი (მე-3 რაიონი).

თავმჯდომარე ნ. სვანიძე.

განცხადებები

[illegible]ლოვით დამწუხრებულნი შვილები: ოლღა, სერგო, მიშა, გრიშა [illegible] საშა; რძლები: დარია, მარიკა, ელიჩკა და ოლია მგალობლ[illegible] ლ.ბი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნ[illegible] რომ შაბათს 2 იანვარს იქნება გადახდილი დაუვ[illegible]

მარიამ ანდრიას ას[illegible]
მგალობლიშვილის

ორმოცი დღის წირვა და პანაშვი[illegible] 10 საათ[illegible] და პანაშვიდი 12 საათზე ქ. [illegible] სასაფლაოზე.

1003—1—1

[illegible] ნიკოლაშვილისა, ამბაკო და დალისტა ნიკოს ძენი ნიკოლაშვილები, თავიანთი ცოლშვილით, თეკლინა ნიკოს ასული მურუ[illegible] მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს პირველის [illegible] ძვირფასი ქმრის და მეორეთა დაუვიწყარი მამის

ნიკო სვიმონის ძის ნიკოლაშვილის

გარდაცვალებას, დასაფლავება მოხდება კვირას 3 იანვარს სოფელ ბუგეულში (რაჭის მაზრა). ნ. 511 1—1

რუსთაველის თეატრი
დღეს, 31 დეკემბერს
დეზერტირკა
დასაწყისი 8 საათ[illegible] დასასრული 10 ნახ. საათზე.
შაბათს, 2 იანვარს
სადღესასწაულო წარმოდგენა
ჰამლეტ
3—3 ორივე შემადგ[illegible] ნ. 496

სახელმწიფო ოპერა
დღეს, 31 დეკემბ[illegible]
ტრილბი
[illegible] იანვარს
ქარ[illegible] მსახიობის დღე
[illegible]აისი
ნ. 509

მოწაფეთა საყურადღებოთ
გამოვიდა და იყიდება
ფ. ი. მიხალევსკის
„პოლიტიკური ეკონომიის დაწყებითი კურსი“
(ქართულ ენაზე)
მისამართი: გაზ. „კომუნისტი“-ს მთავარი კანტორა, რუსთაველის პროსპექტი, № 24, მეორე სართული.
0—12

აპოლო
ართისტლო
სოლეი

საუკეთესო სურათი
სიყვარულის თვალები
უკრავს სიმფონიური ორკესტრი რომანოვსკის ხელმძღვანელობით სოლო—მალუნცევი. ბილეთების ფასი პირველ სეანსამდე: პარტერი—35 კ., ამფიტეატრი—25 კაპ., მეოთხე ადგილები—20 კაპ.
სეზონის საუკეთესო სურათი
[illegible]
დიადი-მარადიული
სპეციალური მუსიკალური პროგრამა. არფასტრში სოლო სკრიპკაზე —იაკობ ბროდსკი. სოლეიში სოლო სკრიპკაზე—რეიზნერი.
ჩქარა: „მხედარი უაილდ-ვესტიდან“ (ვინ არის დამნაშავე)
0—10 ნ. 445

ხელისმომწერლებმა
ყოველგვარი ცნობებისათვის
უნდა მიმართონ
„კომუნისტი“-ს
მთავარ კანტორას
რუსთაველის პროსპექტი № 24
ტელეფონი № 10—49

მიიღება ხელის მოწერა 1926 წ. ჟურნალზე
1926 წ. „ეკონომისტი“ 1926 წ.
(საქ. უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ყოველთვიური ორგანო)

ჟურნალის მთავარი ამოცანაა თანამედროვე ეკონომიის უმნიშვნელოვანესი საკითხების გარჩევა-გარკვევა და ეკონომიური პოლიტიკის ძირითადი ამოცანებისა და ეკონომიური ცხოვრების ცალკე საკითხების თეორეტიულად დასაბუთება.

ჟურნალში შემოღებულია შემდეგი მუდმივი განყოფილებანი

- I. სტატიები: ეკონომიური პოლიტიკის, ფინანსების, ჩვენი სახალხო მეურნეობისა და მსოფლიო მეურნეობის საკითხებზე.
- II. ნარკვევები და შენიშვნები: მრეწველობის, სასოფლო მეურნეობის, ფინანსების, ვაჭრობის, კურორტების და სხვა სპეციალურ საკითხებზე.
- III. თეორეტიული საკითხები: გარჩევა და გაშუქება თეორეტიულ ეკონომიის ცალკე საკითხებისა.
- IV. ტრიბუნა: სადისკუსიო წერილები სხვადასხვა ეკონომიურ საკითხებზე.
- V. მიმოხილვები: სამეურნეო მიმოხილვები, როგორც საქართველოსი, ისე საბჭოთა სოც. რეს. კავშირისა და ბურჟუაზიულ ქვეყნების.
- VI. ეკონომიური ქრონიკა: აღნიშვნა საყურადღებო მოვლენებისა როგორც საქართველოს, ისე საბჭოთა რესპუბლიკების და ბურჟუაზიულ ქვეყნების სამეურნეო ცხოვრებაში
- VII. ბიბლიოგრაფია: როგორც ქართულ, ისე სხვა ენებზე გამოსულ ეკონომიურ ლიტერატურის სისტემატიური გაშუქება და კრიტიკული დაფასება.

ხელის მოწერის პირობები

ერთი წლით ღირს 10 მან., ნახევარი წლით—5 მან. და სამი თვით 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება დროებით შემდეგი მისამართით: თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24 მეორე სართული გაზ. „კომუნისტის“ კანტორაში.

რედაქციის დროებითი მისამართი: თბილისი, სასახლე, ჟურ. „ეკონომისტი“ ნ. 507 1—1

გამოვიდა
უმაღლეს ეკონომიურ საბჭოს ოფიციალურ გამოცემით
საამშენებლო სამუშაოთა
საგაკვეთილო დებულების
პირველი და მეორე წიგნი, რომელნიც შეიცავენ
I—VI და VII-IX } განყოფილებებს

ხელის მოწერა და წიგნის შეძენა შეიძლება სარედაქციო კომისიის მდივანთან საქართველოს გზატკეცილების სამმართველოში (ივ. მაჩაბლის ქ. № 8.) თარხნიშვილთან.

ნის. 510—1—1

საფინანსო კურსები

საქართველოს ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარიატი რესპუბლიკურ და ადგილობრივ ფინანსების დარგში და აგრეთვე სამეურნეო ორგანიზაციებისათვის სათანადოთ მომზადებულ მუშაკთა კადრის შესაქმნელად ხსნის საფინანსო კურსებს, სადაც მსმენელთა მომზადება ნაკარაუდევია მოსკოვის საკავშირო საფინანსო კურსების პროგრამით.

საფინანსო კურსებზე მუშაობა წლიურად იქნება ცხრა თვის განმავლობაში და დაყოფილია ორ სემესტრათ. მეცადინეობა საღ[illegible] მობით. [illegible] კურსების მსმენელმა უნდა გად[illegible] თვეში 15 მან.

კურს[illegible] იქნებიან მიღებული უფასო [illegible]

საფინანსო [illegible] მსმენელად ჩაწერა [illegible] 11 იანვრამდე: 1) ს. ს. ს. [illegible] ფინანსთა კომისარიატში [illegible], ყოფილი ლორის მელიქ[illegible] [illegible] განყოფილების გამგესთან და 2) თბილის[illegible] საფინანსო განყოფილების გამგესთან.

[illegible] საჭირო ცნობების მიღება იქვე.

ნ. 513 2—1 [illegible]ქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიატი

ქ. თბილისის მ[illegible]რაიონ. სასამართლო აღმასრულებელ[illegible]. ს. სვიატოდუხოვი

ამით აცხადებს, რ[illegible]ს 7 იანვარს 1926 წ. დღის 12 საათზე კ[illegible]წანისში საჯარო ვა[illegible]ით გაყიდის ივანე და გიგო ძაგანიების მოძრავ ქონებას: ფ[illegible] საკერავ მანქანას, ძროხას, დეკეულს და ჯორს შეფასებულს 290 მანეთ[illegible], საურთიერთო ნდობის საზოგადოების ვალის დასაკმაყოფილებლად [illegible]მად ქ. თბილისის მე 2 უბნის სახალხო სასამართლოსაგან 1 ოქტომბერ[illegible] 1925 წ. თარიღით, № 3491 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა.

1006 1—1

ქ. თბილისის მე[illegible]რაიონ. სასამართლოს აღმასრულ[illegible]ი ქ. ს. ძამოევი

ამით აცხ[illegible] [illegible] № 14, გურჯან[illegible] მოძრავ ქონ[illegible] ლისის საურ[illegible] სამხედრო ცენტრი თანახმად ქ. [illegible] შუა ნაწილი, 1926 წ. თა[illegible]. თათრების სამ-

[illegible] 1926 წ. დღის 11 საათზე სახლში [illegible] იაკობ იაკაშვილის [illegible] ეს ნაყოფი [illegible] მანეთად, თბი[illegible] რის რევოლიუციის მონა[illegible]

ლ. მიროტაძე.

გამოვა
1-ლ იანვარს მუშა-მოსამსახურის ჯიბის
ტაბელ-კალენდარი
1926 წლის, შრომის კოდექსით

ფასი მხოლოდ 10 კაპეიკი. დაწესებულებებს და მუშათა ორგანიზაციებს დათმობა. ს. შრომის სახ. კომ. მიერ დამტკიცებული უქმე და დასასვენებელ დღეების ჩვენებით. ზომა-წონის მეტრიული სისტემის შედარება რუსულ ზომა-წონასთან. გამოცემა ს. შრ. სახ. კომ. გამომცემლობის. თბილისი, რუსთაველის, 9, ტელ. 5—91.

951 4—4

თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების [illegible]
31 დეკემბერი 1925 წ.

წარსულ წლებში, ახალი წლის შესახვედრად, მიუხედავად აკრძალვისა, ადგილი ჰქონდა უმიზნოდ სროლას, რაც იწვევდა მშვიდობიან მოქალაქეთა შეუდრეობისა და უშიშროების დარღვევას. ამის გამო, თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილება ამით აფრთხილებს ქალ. თბილისის და მის რაიონებში მცხოვრებთ, რომ

სროლის წარმოება ახალი წლის აღსანიშნავად

კატეგორიულად იკრძალება

და ის პირნი, რომლებიც შემჩნეული იქნებიან ამ გაფრთხილების დარღვევაში მიცემულნი იქნებიან სასტიკ პასუხისგებაში.

თბილისის აღმასკომის ადმინისტრატიული განყოფილების უფროსი ხმალაძე

განყოფილების საერთო საადმინისტრაციო ქ | განყოფილების უფროსი კილურაძე

ნ. 512 1—1

ელექტრონით და [illegible]
სამკურნალო
საწოლებით რენტგენი [illegible]
მიხეილ გედევანიშვილის [illegible]
ნერვიულ დაავადებულ ავადმყოფთათვის, რომე[illegible]იკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ
მიღება 2—3 და 6—8 სათ. თბილისი, ყორღან[illegible]ის ქ. № 20.

კინო აპოლლო
ამ დღეებში
მერი პიკფორდი
სურათში
„უკანა კარებიდან“

საჭიროა
კარგი მიკროსკოპები

ყოველთვის ვყიდულობ (არის გასაყიდიც) ყოველგვარ გეოდეზიურ, საინჟინრო, სახაზვე, მიწის საზომ ინსტრუმენტებს და აპარატებს და მათ ნაწილებს.

თბილისი, მე-7-ე უბანი, რეადოვის ქუჩა № 24. იკითხეთ სახლის მეპატრონე 9-დან საღამოს 5 საათამდე, შეიძლება წერილობითაც.

ავადმყოფების მიღებას
პროფესორი
გ. წინამძღვრიშვილი
აწარმოებს დილის 9 ს-დან სრულ 10 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე. კვირა დღეს არც ავადმყოფებს იღებს და არც რაიმე განმეორებითი რჩევებს აძლევს. ყოფ. ელისაბედის ქ. № 7, ხიდის მახლობლად ტელეფ. 14—56 989 25—1

მედიცინის დოქტორი
ა. ა. მოხსე
დაბრუნდა და განაახლა მიღება. მოზრდილთა და ბავშვთა შინაგანი და ნერვიულ სისტემის ავადმყოფობანი
მიღება დილის 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე, გარდა კვირა დღისა.
კამოს ქ. № 17, ზემო სართული ყოფ. დიდი მთავრის ქ., გორონცოვის ხიდის მახლობლად). 25—1

ექიმი გ. მ. ფხალაძე
კანისა და ვენერიული სნეულებანი
(სიფილისი „606“—„914“)
ავადმყოფების მიღება: კაცების—დილით 7—9 სათ.—საღამოთი 7—9 სათ. ქალების—საღამოთი 6—7 სათ. მისამართ: მოსკოვის ქ. № 4, ყოფ. კაბინეტი რეხო მახაბლისა (ზემმელის აფთიაქის პირდაპირ).

ტომსკის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი
დ. ე. პაპიტაშვილი
იღებს ავადმყოფთ შინაგან სნეულ. ყოველ დღე საღამოს 5—7 საათამდე.
კრილოვის ქ. № 8. 625 25—1

ექიმი ი. ა. შაფერ
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი
ავადმყოფების მიღება 2—3 სათ. და 6—8 სათ. კურსანტების ქ. (ყოფ. კადეტის ქ.) № 6, მესამე სართული.

ექიმი პ. ი. ჯალალოვი
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი სიფილისი, შეშხაპუნება „914“
წორეის და მისი შედეგების წამლობა ავადმყოფები მიიღება დილის 7—9 საათ საღამოს 5-დან 9-მდე. მისამართი კამოს ქ. № 19 (ყოფილი დიდი მთავრის ქ.) ვო-რონცოვის ყოფილი ძეგლის მახლობლად

ექიმი არსენ ვადაჭკორია
დაბრუნდა აგარაკიდან და ღებულობს ქალთა და შინაგან სენით ავადმყოფთ. აგრეთვე უწევს სამეანო დახმარებას
დილის 8—10 ს., საღამოს 4—7 ს. ოლღას (ლენინის ქუჩა) № 35.

ექიმი ი. ი. ჭეიშვილი
სიფილისი, ვენერიული და კანის ავადმყოფ- იღებს ავადმყოფ. დილ. 8—9 საათ. და საღ. 6—7 საათ. კამოს ქუჩა № 72 (ყოფილი დიდი მთავრის ქუჩა).

ექიმი ა. ს. ფუნ-ირტელი
მიხეილის პროსპექტი, № 10, (ვორონცოვის ხიდის მახლობლად ყოფ. ბო-მონდი).
ყოფ. საექიმო, სიფილისის და ქირურგიულ ავადმყოფობათა (სიმსივნეების, ბუასილის, სქესობრივი სისუსტე, ტრიპერის) სპეციალისტი. ავადმყოფების მიღება დილის 8 საათიდან 12 საათამდე და 4—7 საათამდე

ექიმი ი. ი. ბერიშვილი
ვენერიული, საშარდე—სასქესო ორგანოების, სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 9—12 საათ. საღამოთი 5—8 საათ.
ქალებისთვის 12—1 საათ.
სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ მიხეილის შესახვევი № 8.

ექიმი მალაევი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება თვალების სნეულებაში. მიღება დილის 8—9 საათამდე, საღამოს 7—9 საათამდე.
სასვლე[illegible] სამკურნალო, ელისაბედის ქ., 47.

ექიმი თოდაძე
ქირურგიული და უროლოგიური ავადმყოფობანი (თირკმლები-ბუშტები, შარდის ბუშტი, შარდსადინარი, მამაკაცის სქესობრივი უძლურება,—მკურნალობა [illegible] ბის თანამედროვე მეთოდებით და სხვ. ცისტოსკოპია, ურეთროსკოპია, პიელოგრაფია.
დილის 8—9 საათ., საღამოს 4—6 საათამ. ბელგიის ქუჩა № 1.

ექ. ე. მ. მძ ნარიშვილი
ხიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება. დღის 1—2 ს. და საღამოს 6—8 ს. ქალებს და ბავშვებს 5—6 ს.
რუსთაველის პროსპექტი № 18—10 შესავალი კოუხენმეტერ ის ქუჩიდან.

ექიმი ა. დ. კეკელია
სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება.
პლეხ. პროსპ. № 116 „ნოეს“ [illegible]
მიღება 8—11 დილ., 6—[illegible]
მიღება დილის 9 საათიდან [illegible] და საღამოს 4—6 საათამდე. [illegible] ვის—დღის 1—2 საათამდე.

ექიმი გ. ა. ლუკოვეცკი
სიფილისი, კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
ავადმყოფების მიღება დილის 9 საათიდან —11 საათამდე და საღამოს 4 საათიდ 6—6 საათამდე. ქალების მიღება 1 საათიდან —2 საათამდე.
საპიორის ქუჩა № 85, ყოფილი კადეტთა კორპ. უკან.

დოქტორი გ. მეგრაბიანი
ფილტვების, გულის და ციების
წამლობა ხელოვნური მთის მზით სპნეიმოტორაქსით და ტუბერკულინით, რენტგენის, და სინათლის-ელექტრონის სამკურნალო კაბინეტში—იღებს 9—1 საათ. დილ, 5—8 საღ. ბებუთოვის ქუჩა, № 23.

ექიმი ნ. ა. ჯანდიერი
შინაგანი, ბავშვთა და ქალთა სნეულებანი
მიღება ავადმყოფ. დილით 8-ნახ.—9 ნახ. საათამდის, საღამოთი 4—7 საათამდის ყოველდღე.
სომხის ბაზარი, № 3. ერევნის მოედნიდან მეორე სახლი. 25—1

კბილის ექიმი
ფ. თ. რატიან თუხარელის
კბილის და ღრძილის ავადმყოფობა ხელოვნური კბილები. მიღება 12—4 საათამდე და 5—8 საათ. ბარიატინის ქუჩა № 18 (ლექსანდრე დროვის ბაღის პირდაპირ).

სტუდ. აგრ. გ. გ. მაჭავარიანს
გიპოვეთ თქვენი სალექციო წიგნაკი. მოგვაკითხეთ რაჭა, გლოლა გ. ბიძიშვილი.
1008 1—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა და მეტრიკული მოწმობა ვლადიმერ რომანოზის ძე მაისაშვილის სახელზე, ჩაითვალოს გაუქმებულად. 1002—1—1

დაიკარგა მოწმობა გაცემული ოზურგეთის სოც. უზრ. განყოფ. № 642 კირილე ივანეს ძე კალანდარაშვილის სახელზე. ჩ. გ.

დაიკარგა დაზღვევის წიგნაკი № 82 თამარ შიუკაშვილის სახელზე ჩ. გ.

დაიკარგა დაზღვევის წიგნაკი, უვადო ბილეთი და ცხენის მოწმობა ინჯგიას სახელზე. ჩ. გ. 929 1—1

დაიკარგა პირადი წიგნაკი ფ. № 4 მიღებული წითელ ქალაქის აღმასკომიდან № 875 კოტე მიხას ძე შაქარაშვილის სახელზე. ჩ. გ. 998 1—1

დაიკარგა პირადი წიგნაკი № 204 და პროფკავშირის დროებითი წიგნაკი № 1154 ლუკა კელეპტარიშვილის სახელზე, ჩ. გ.

დაიკარგა პროფ. კავშირის წიგნაკი № 4046 რაფიელ მარკოზის ძე თავაძის სახელზე, ჩ. გ. 994 1—1

დაიკარგა სამხედრო წიგნაკი, მოცემული მაზრის სამხედრო კომისარიატის მიერ. ა. ანთაძის სახელზე, ჩ. გ. 995 1—1

დაიკარგა სახელოსნო პატენტი და პასპორტი მიკირტიჩ იარალოვის სახელზ. ჩ. გ.

დაიკარგა საქორწინო მოწმობა 1911 წ. № 833 იაკობ ალექსის ძე გაბილევის და ევგენია სტეფანეს ასული კუჩინას სახელზე ჩ. გ. 1000 1—1

დაიკარგა პირადობის წიგნაკი, მოცემული მე-8 სამილ. რაიონში გიორგი ცეცხლაძის სახელზე. ჩ. გ. 999 1—1

დაიკარგა სამხედრო რეგისტრაციის ფურცელი, მოცემული თბილისის მეათე რაიონის სამხედრო მაგიდის მიერ № 804 და სხვადასხვა ქაღალდები ივანე დავითის ძე თვარაძის სახელზე, ჩ. გ.

სტამბა „ზარია ვოსტოკა“-ს საშ. წულუკიძის